

The New **ECONOMIST**

DOI suffix: 10.36962/NEC20032025

INTERNATIONAL SCIENTIFIC-
PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,
PRECISE AND REVIEWED

N3, 2025, VOL 20, ISSUE 3

**Economy is the basis
of everything!**



ISSN 2667-9752 (ONLINE)

ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეგულირებადი და
რეგულირებადი ყოველკვარტალური
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი

ეკონომიკისი

**The Magazine “The New Economist”
HAS BEEN REVIEWED:**

In “Georgian Reviewed Magazine” –
P.L.L.E. Institute of Techninform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University
(Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus
(Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy,
Finances and International Trade (Nursultan).

**ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.**

Tel.: +995 (32) 2 990 576;

Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

**ქურნალი „ახალი ეკონომისტი“
რეფერირებულია:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში“.
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა და**
რისერჩ გეიტსის ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,
(ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული
უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო
ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,

0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. N5

ტელ.: +995 (32) 2 990 576;

მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com

web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge

The New **ECONOMIST**

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N3 (78), 2025, VOL.20, ISSUE 3.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Phasis..

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA (Corresponding Member of Georgian National Academy of Science); IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Central European University); NATIA TURNAVA (President of the National Bank of Georgia); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA (Prezident of the Academy of Phasis); MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part); VASIL KIKUTADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA; LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy

and Water Supply Regulatory Commission (GN-ERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Academician of Georgian National Academy of Science; Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); AVTANDIL SILAGADZE (Academician of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Responsible Secretary); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI; LAMARA QOQIAURI; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Technical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI; NIKO CHIKHLADZE; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Chancellor of Sukhumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE; MICHAEL JIBUTI (Academician of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.



ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი N3 (78), 2025, ტ. 20, გამომც. 3

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;
ფაზისის აკადემიის წევრი.

სარედაქციო კოლეგია: მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალაშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); იური ანანიშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); გივი ბაღიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი); სიმონ ბელაშვილი; რამაზ ბერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ ბრიგოლანი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); შოთა ვეშაძე; ნუგზარ თოდუა; გორა თუთხარიძე (ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნაშვილი (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი); ნამიბ ისაზაძე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გიბ კვაშილავა (ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი); მურთაზ კვირკვალი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი); ვასილ კიკუტაძე; კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); ეკატერინე ლომია; რევაზ ლორთქიფანიძე; ლეო მგელაძე; ელგუჯა მამკაბიშვილი; დავით

ნარმანი (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლი-აშვილი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ანტონი სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი); ალექსანდრე სიჭინავა; ბაქ სპირაშვილი; ლეო ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); სლავა ფათელავა; ლევან ძისტაური; ლამარა ქოძი-აური; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; დავით ჩარქაიშვილი; ნიკო ჩიხლაძე; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი); ჯამალ ჯანჯღაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე; მიხეილ ჯი-ბუტი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკაშვილი.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2025წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 15 ლარი



SCIENCE

Gia Kvashilava

A Brief Overview of the Sumerian Economy (Based on Ancient Written Records) -----7

Shota Veshapidze, Levan Kereselidze, Lela Jamagidze, Ramaz Futkaradze

Georgia's Strategic Priorities in Regional Integration
Amid Global Challenge ----- 19

Davit Basiashvili, Slava Fetelava

Crown Jewel Obligation and its Defense on Sustaining Competitive Equilibrium----- 34

Vasil Khizanishvili

The Political and Socio-Economic Situation of Israel in 1948-1972 ----- 42

David Oboladze

Developing Sport Satellite Accounts in Georgia:
Methodological Approach, Challenges, and Perspectives ----- 53

Lela Kintsurashvili

Labor Market Trends in the Age of Artificial Intelligence ----- 62

Salome Tsikelashvili

Economic Potential and Future Development Trends of the BRICS Countries----- 71

Giorgi Oboladze

Get smarter responses, upload files and images, and more ----- 80

STUDENTS VISION

Gvanca Chigladze

NFT as a Tool for Ownership Transformation in the Digital Economy ----- 89

CONGRATULATION

Ramaz Gvelesiani – 70 ----- 98

მეცნიერება

ბია კვაშილავა

შუმერის ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა
(უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით) -----7

შოთა ვეშაიძე, ლელა ჯამაგია, ლევან კარისელიძე, რამაზ ფუტყარაძე

საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები რეგიონულ ინტეგრაციაში
გლობალური გამოწვევების ფონზე ----- 19

დავით ბასიაშვილი, სლავა ფათელავა

„Crown Jewel“-ის ვალდებულება და მისი დაცვა კონკურენტული
წონასწორობის შენარჩუნებაზე ----- 34

ვასილ ხიზანიშვილი

ისრაელის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური
მდგომარეობა 1948-1972 წლებში ----- 23

დავით ოზოლაძე

საქართველოს სპორტის სატელიტური ანგარიშების შემუშავება:
მეთოდოლოგიური მიდგომა, გამოწვევები და პერსპექტივები ----- 53

ლელა კინწურაშვილი

შრომის ბაზრის ტენდენციები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ----- 62

სალომე ციყელაშვილი

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი და
სამომავლო განვითარების ტენდენციები ----- 71

ბიორგი ოზოლაძე

ნავთობგაზის სფეროში რისკის შეფასების გამოწვევები ----- 80

სტუდენტური ხელვა

გვანცა ჭილაძე

NFT როგორც საკუთრების ტრანსფორმაციის
ინსტრუმენტი ციფრულ ეკონომიკაში ----- 89

მილოცვა

რევაზ გველესიანი - 70 ----- 98



A BRIEF OVERVIEW OF THE SUMERIAN ECONOMY (BASED ON ANCIENT WRITTEN RECORDS)

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February August 21, 2025
Published: September 11, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20032025-7

Gia Kvashilava

PhD in Economics,
Caucasus International University
President of the Academy of Phasis,
ORCID ID: 0000-0002-8511-0203
E-mail: gia.kvashilava@tsu.ge



ABSTRACT

This study discusses the main components of the Sumerian economy: agriculture, temple and palace economies, trade, labour organization, accounting systems, and redistribution mechanisms. The Sumerian economy, which flourished in southern Mesopotamia during the 4th–3rd millennia BC, represented one of the earliest organized economic systems. Agriculture, developed on the fertile soils created by the Tigris and Euphrates rivers, supported the cultivation of staple crops such as barley, wheat, and dates. Temples and palaces, as economic centres, managed land ownership, taxation, and resource redistribution. Sumer engaged in trade with regions such as Anatolia (modern-day Turkey), Elam (southwestern Iran), the Indus Valley (modern-day Pakistan/India), and the Arabian Peninsula (Dilmun, modern-day Bahrain). Strict labour organization and accounting records inscribed in cuneiform ensured efficient management. Institutional frameworks reduced transaction costs, fostering trust and stability in relevant institutions. Despite significant economic achievements, the Sumerian economy remained vulnerable due to soil salinization and external threats. Sumerian bureaucracy, irrigation systems, and writing profoundly influenced the economic and social development of ancient civilizations.

Keywords: Sumerian economy, agriculture, temple and palace economy, institutions, trade, irrigation systems, accounting, writing system.

REFERENCES

1. Adams, R. M. (2004). Reflections on the Early Southern Mesopotamian Economy. In: G. M. Feinman and L. M. Nicholas, eds., *Archaeological Perspectives on Political Economies*. Salt Lake City, UT: University of Utah Press, pp. 41–60.
2. Algaze, G. (2014). *Ancient Mesopotamia at the Dawn of Civilization: The Evolution of an Urban Landscape*. Chicago: University of Chicago Press.
3. Chilachava, T.; Kvashilava, G.; Pochkhua, G. (2023), Mathematical Model for the Proto-Kartvelian Population Dynamics, Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Vol. 37, pp. 7–10.
4. Chilachava, T.; Kvashilava, G.; Pochkhua, G. (2024), Mathematical Model Describing the Transformation of the Proto-Kartvelian population, *Journal of Mathematical Sciences (N.Y.)*, Vol. 280, Issue 3, Springer, 2024, pp. 300–308.

5. Chilachava, T.; Kvashilava, G.; Pochkhua, G. (2024), Mathematical and Computer Models of the Transformation of the Proto-Kartvelian population into the Svan and Georgian-Colchian Populations, Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Vol. 38, pp. 19–22.
6. Chilachava, T.; Kvashilava, G.; Pochkhua, G.; Dzidziguri, T.; Sulava, L. (2024), Research of Nonlinear Dynamic System Describing Interaction between Colchian-Georgian and Svan Population, *Proceedings XXIV, Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*, Tbilisi, pp. 3–13.
7. Crawford, H. (1998). *Dilmun and Its Gulf Neighbours*. Cambridge: Cambridge University Press.
8. Hudson, M. (2004). The Development of Money-of-Account in Sumer's Temples. In M. Hudson & C. Wunsch (Eds.), *Creating Economic Order: Record-Keeping, Standardization, and the Development of Accounting in the Ancient Near East*. International Scholars

Conference on Ancient Near Eastern Economies, Bethesda: CDL Press, Issue 4, pp. 303–329.

9. Liverani, M. (2006). Uruk: The First City. London: Equinox Publishing.

10. Kvashilava, G. (2021). On the origin and development of economics, mathematics, and the art of writing. *New Economist*, Vol. 16(1), pp. 44–56 (in Georgian).

11. Kvashilava, G. (2022). On the History of Some Problems of Economic Security According to Ancient Greek and Latin Sources, *The New Economist* 17 (2), pp. 46-53 (in Georgian).

12. Kvashilava, G. (2023). On the issue of mathematical and economic accounting systems (based on archaeological monuments dated to the 9th–1st millennia BCE). *Issues of Linguistics*, 2021–2022, pp. 84–125 (in Georgian).

13. Kvashilava, G. (2023). On the Accounting Systems (According to Monuments of the Ancient Near East). *Proceedings XXIII*. Tbilisi: Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, pp. 28–34.

14. Kvashilava, G. (2024). On the Development of Economic relations and Origin of Graphic Signs (According to Archaeological Materials Dated Back to 3.3 million – 10,000 years ago), *The New Economist* 19 (2), pp. 11-22 (in Georgian).

15. Kvashilava, G. (2024). A Brief Overview of the Origin and Development of the Science of Economics, *Business-Engineering*, pp. 106–109 (in Georgian).

16. Kvashilava, G. (2024). The Role of the Development of Economic Relations in the Formation of Mathematics and Writing System. Doctoral dissertation in Economics, Georgian Technical University, Tbilisi, 163

pp (in Georgian).

17. Kvashilava, G. 2025, The Origin and Development of Agriculture – The First Economic Revolution, *The New Economist* 20 (1), pp. 60-70.

18. Kvashilava, G., and Sekhniashvili, D. (2022). Economics in prehistoric times. *Business-Engineering*, Vol. 3–4, pp. 230–234 (in Georgian).

19. North, D. C. (1981). *Structure and Change in Economic History*. New York and London: W. W. Norton & Co.

20. North, D. C. (1990). *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge: Cambridge University Press.

21. Postgate, J. N. (2015). *Early Mesopotamia: Society and Economy at the Dawn of History*. London: Routledge.

22. Ratnagar, S. (2004). *Trading Encounters: From the Euphrates to the Indus in the Bronze Age*. New Delhi: Oxford University Press.

23. Scheidel, W. (2017). *The Great Leveler: Violence and the History of Inequality from the Stone Age to the Twenty-First Century*. Princeton: Princeton University Press.

24. Sichinava, M. (2012). Sikli/shekel or skill?! *Taxes*, Vol. 7, pp. 52–55 (in Georgian).

25. Stol, M. (2016). *Women in the Ancient Near East*. Boston: De Gruyter.

26. Van De Mieroop, M. (2016). *A History of the Ancient Near East, ca. 3000-323 BC*. Oxford: Blackwell Publishing.

27. Williamson, O. E. (2000). The New Institutional Economics: Taking Stock, Looking Ahead. *Journal of Economic Literature*, 38(3), pp. 595–613.

შუმერის ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა (შეველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით)

გია კვაშილავა

ეკონომიკის დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი,

ORCID ID: 0000-0002-8511-0203

E-mail: gia.kvashilava@tsu.ge

აბსტრაქტი

ამ შრომაში განიხილულია შუმერის ეკონომიკის ძირითადი კომპონენტები: სოფლის მეურნეობა, ტაძრებისა და სასახლეების ეკონომიკა, ვაჭრობა, შრომის ორგანიზაცია, აღრიცხვის სისტემა და გადანაწილების მექანიზმები. შუმერის ეკონომიკა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ შუამდინარეთში ყვაოდა, ერთ-ერთ ყველაზე ად-

რეული ორგანიზებული სისტემა იყო. სოფლის მეურნეობა, რომელიც განვითარებული იყო მდინარეების, ტიგროსისა და ეფრატის მიერ შექმნილ ნაყოფიერ ნიადაგებზე, უზრუნველყოფდა ძირითადი პროდუქტების, მაგ., ქერის, ხორბლისა და ფინიკის მოყვანას. ტაძრები და სასახლეები, როგორც ეკონომიკური ცენტრები, მართავდნენ მიწის საკუთრებას, გადასახადებსა და რესურსების

გადანაწილებას. შუმერი ვაჭრობდა ისეთ რეგიონებთან, როგორებიცაა სამხრეთ კავკასია, ანატოლია (თანამედროვე თურქეთის მხარე), ელამი (თანამედროვე ირანის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი), ინდის ხეობა (თანამედროვე პაკისტანის მხარე) და არაბეთის ნახევარკუნძული (დიღმუნი, თანამედროვე ბაჰრეინი). შრომის მკაცრი ორგანიზაცია და ლურსმული დამწერლობით ჩანერილი აღრიცხვითი ფორმები უზრუნველყოფდა ეფექტურ მართვას. გარკვეულმა ინსტიტუციურმა ჩარჩოებმა შეამცირა ტრანზაქციული ხარჯები, რაც ზრდიდა სათანადო ინსტიტუტების ნდობასა და სტაბილურობას. შუმერში მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიღწევების მიუხედავად, მისი ეკონომიკა მყიფე რჩებოდა, რაც განპირობებული იყო მინის დამლაშებითა და გარე საფრთხეებით. შუმერულმა ბიუროკრატიამ, სარწყავმა სისტემებმა და დამწერლობამ დიდი გავლენა მოახდინა უძველესი ცივილიზაციების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: შუმერის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ტაძრებისა და სასახლეების ეკონომიკა, ინსტიტუტები, ვაჭრობა, სარწყავი სისტემები, აღრიცხვა, დამწერლობა.

შესავალი

დაახლოებით ძვ.წ. 4500-1900 წლებში ქვეყანა შუმერი მდებარეობდა სამხრეთ შუამდინარეთის ისტორიულ რეგიონში, თანამედროვე ერაყის სამ-

სრეთ-ცენტრალურ ნაწილში და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ურბანულ ცივილიზაციად. ის შუმერულ ენაზე იწოდებოდა როგორც „ქიენგი“, ან „ქიენგირი“, რაც „კეთილშობილ მბრძანებელთა ქვეყანას“ აღნიშნავდა, ხოლო მისი ენა „ემეგირი“ – „კეთილშობილთა ენას“. ტერმინი „შუმერი“ პირველად 1869 წლის 17 იანვარს ებრაული წარმოშობის, ფრანგ-გერმანელმა ასირიოლოგმა, ჟიულ ოპერტმა (1825–1905) გამოიყენა. შუმერული ენა იყო არასემიტური და არაინდოევროპული, აგლუტინაციური ენის იზოლატი. გარკვეული ენათმეცნიერული კვლევების მიხედვით, შუმერულს პროტო-ქართველურ ენასთან ვაკავშირებთ და სამრეთ კავკასიას კი შუმერების წინარესამშობლოდ მივიჩნევთ [3–6; 11–13].

შუმერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორგანიზებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში. შუმერის ეკონომიკა ეფუძნებოდა სოფლის მეურნეობას, ტაძრებისა და სასახლეების ინსტიტუტებს, ტექნოლოგიებს, ვაჭრობასა და რთულ ადმინისტრაციულ მართვის სისტემას.

1. სოფლის მეურნეობა

შუმერის ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობა იყო, რომელიც მდინარეების – ტიგროსისა (იდიგნა) და ეფრატის (ბურანუნი) – მიერ შექმნილ ნაყოფიერი ნიადაგების ამოშრობითა და დამუშავებით ვითარდებოდა. არქეოლოგიური მონაცემები აჩვენებს, რომ დაახლოებით ძვ.წ. 3500



ნლიდან შუმერებმა განავითარეს რთული სარწყავი სისტემები, რომლებიც 3000 ჰა-ზე მეტ ფართობს მოიცავდა, რამაც უზრუნველყო სტაბილური ჭირნახულის (მაგ., პურის) მიღება და მოსავლიანობის ზრდა ადგილობრივი მშრალი კლიმატის პირობებში [1]. ძირითადი კულტურები იყო ქერი, ხორბალი, სეზამი, ფეტვი, ლობიო და ბარდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ფინიკის პალმა, რომელიც საკვებასა და სამშენებლო მასალას იძლეოდა [17].

ტექნოლოგიური ინოვაციების თვალსაზრისით, შუმერებმა პირველებმა გამოიყენეს სათესი გუთანი (seeder plough), რომელიც საშუალებას აძლევდა თესვა და ხვნა ერთდროული პროცესი ყოფილიყო. ეს ინოვაცია, რომელიც თიხის ფირფიტებზეა აღწერილი, მიუთითებს ტექნოლოგიურ წინსვლაზე, რამაც ხელი შეუწყო შუმერებს თესვის ეფექტურობა გაეზრდათ და გაეფართოებინათ სარწყავი მიწები [2]. ასევე ფერმერთა სპეციალიზაციამ (მაგ., მიწის მუშები, სარწყავი სისტემის მმართველები) გააუმჯობესა შრომის დანაწილება, რაც ეკონომიკის მდგრადობას უზრუნველყოფდა [1; 13]. ამ პროცესმა შესაძლებელი გახადა შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებს მიეღოთ ჭარბი მოსავალი, რაც საფუძველი გახდა ურბანიზაციისა და ვაჭრობის განვითარებისთვის [9].

მიწის საკუთრების სტრუქტურის თვალსაზრისით, უმეტესი მიწა ტაძრებსა და სასახლეებს ეკუთვნოდა, თუმცა არსებობდა მიწის კერძო საკუთრების მაგალითებიც, რაც დასტურდება თიხის ფირფიტების ჩანაწერებით [22]. სარწყავი არხებისა და ნალსაცავების მოვლა-პატრონობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო,

რამაც მოითხოვა ცენტრალიზებული მართვა და მუშახელის ორგანიზება [17].

შუმერულ სოფლის მეურნეობაში ძირითადი პროდუქტები მრავალფუნქციური იყო, მათი გამოყენება ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

- **ქერი** გამოიყენებოდა როგორც ძირითად საკვებად (პურის, ფაფისა თუ ლუდის დასამზადებლად), ისე – გადახდის საშუალებად შრომის ანაზღაურებაში, გადასახადებსა და სავაჭრო გარიგებებში, რაც მას უნივერსალურ „ვალუტად“ აქცევდა [22];

- **ხორბალი** მნიშვნელოვანი კულტურა იყო, რომლისგან მზადდებოდა მაღალი ხარისხის საკვები, პური და სხვა ცომეული. ის ზოგჯერ ტაძრებში შესანიშნავად ან რელიგიური რიტუალებისთვის იყო განკუთვნილი. ხორბალი ქერთან შედარებით ნაკლებად გავრცელებული იყო, მაგრამ – უფრო ძვირადღირებული მარცვლეული, რადგან მისი მოყვანა მოითხოვდა უფრო ხელსაყრელ პირობებს, ნაყოფიერ ნიადაგსა და უკეთეს ირიგაციის სისტემას, რაც შუმერის მშრალ კლიმატში გარკვეული გამოწვევა იყო.

- **ფინიკი** იყო მაღალკალორიული, მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტი, რომელსაც ფართოდ მოიხმარდა მოსახლეობა. მისგან ამზადდებდნენ ჩირს, სიროფსა და სასმელებს. ფინიკის პალმები ასევე იძლეოდა სამშენებლო მასალას (ხე, ფოთლები). ის, როგორც გამძლე და მარტივად გადასაზიდი პროდუქტი, მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი იყო, განსაკუთრებით სპარსეთის ყურის რეგიონში (დილმუნში, თანამედროვე ბაჰრეინში) იყიდებოდა. ფინიკის მაღალი მოსავლიანობა და შენახვის მარტივი პირობები მას ეკონომიკურად მომგებიან



თიხის ფირფიტა, რომელიც ძვ.წ. XIV საუკუნით თარიღდება, აღმოჩენილია უგარიტში, დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე.

ფირფიტის ზედა ნაწილი შეიცავს ხურიტულ ჰიმნის ტექსტს, ხოლო მის ქვედა ნაწილში ჩაწერილია რიცხვები და ტექნიკური აღნიშვნები, რომლებიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს უძველეს მუსიკალურ პარტიტურას იმ მელოდისა, რომლის თანხლებითაც ჰიმნი უნდა შესრულებულიყო.

„მე გავაკეთე შესაწირავი ქალღვთაებისთვის, რომ ის სიყვარულში გულს გამიხსნის, და რომ ჩემი ცოდვები მომიტეგოს. დაე, ჩემი ტკბილი სეზამის ზეთის ქილები მას მოეწონოს, რომ მან კარგად შემომხედოს, და ნაყოფიერი გამზადოს.“

როგორც მარცვლეულის ყანები ყვავიან, ქალწულმა ქალებმა ქმრებთან ერთად შვილები გააჩინონ. და ისინი, ვინც ჯერ კიდევ ქალწულები არიან, ერთ დღეს შვილებთან ერთად აკურთხოს.“

გია კვაშილავას თარგმანი

საქონლად აქცევდა. თიხის ფირფიტების წარწერებში ნახსენებია ფინიკის ბაღები, რომლებიც ხშირად ტაძრების ან მდიდარი მიწის მფლობელების საკუთრებაში იყო [2].

- **ლობიო და ბარდა** მნიშვნელოვანი პარკოსანი კულტურები იყო, რომლებსაც ძირითადად დაბალი სოციალური ფენები მოიხმარდნენ, ასევე – პირუტყვის საკვებად.

- **სეზამის ზეთი** გამოიყენებოდა საკვებად, განათებაში, კოსმეტიკაში, რელიგიურ რიტუალებსა და სამკურნალო მიზნებისთვის. სეზამის ზეთი, ისევე როგორც ფინიკი, ექსპორტისთვის მნიშვნელოვანი პროდუქტს წარმოადგენდა, რადგან ის ადვილად გადასაზიდი იყო. თიხის ფირფიტებზე ნახსენებია სეზამის მინდვრები, რომლებიც ძირითადად ტაძრების ან ბომონდის (მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფის) კონტროლს ექვემდებარებოდა.

- **მატყელი** გამოიყენებოდა მაღალი ხარისხის ქსოვილების დასამზადებლად, რომელიც ტაძრებისა და ბომონდისთვის იყო განკუთვნილი. მისგან დამზადებული ქსოვილები, შეღებილი თუ ორნამენტებით გაფორმებული, მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი იყო, რომელიც განსაკუთრებით ელამსა (თანამედროვე ირანის სამხრეთ-დასავლეთ მხარესა) და ანატოლიაში (თანამედროვე თურქეთის რეგიონში) იყიდებოდა. თიხის ფირფიტების წარწერებზე დაფიქსირებულია, რომ ქსოვილების წარმოება ხშირად ტაძრების ან სამეფო სასახლეების მიერ იყო ორგანიზებული, სადაც ძირითადად მუშაობდნენ ქალი ხელოსნები [18].

ამრიგად, აღნიშნულმა პროდუქტებმა შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება, არამედ გლობალური სავაჭრო ქსელების ფორმირება, რამაც ხელი შეუწყო შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული ჩანაწერები და არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ შუმერებმა შექმნეს მაღალორგანიზებული სისტემა სოფლის მეურნეობის მართვისა და მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებისთვის.

2. ტაძრისა და სასახლის ეკონომიკა

შუმერულ საზოგადოებაში ტაძრები სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრების ცენტრები იყო, რაც დადასტურებულია უამრავი არქეოლოგიური მასალით, მათ შორის თიხის ფირფიტების ჩანაწერებით, რომლებიც ასახავს მათ ადმინისტრაციულ ფუნქციებს [22]. ტაძრები ფლობდნენ დიდი მიწის ნაკვეთებს, მართავდნენ

სარწყავ სისტემებს, ინახავდნენ მარცვლეულსა და სხვა პროდუქტებს, ახდენდნენ მოსავლის გადანაწილების დროს კონტროლს [1]. ისინი ასევე იყვნენ მსხვილი დამსაქმებლები, სადაც მუშაობდნენ ქურუმები, ხელოსნები, მუშები და ჩამწერები [17]. ტაძრის ეკონომიკა (temple economy: [15]) ფუნქციონირებდა როგორც ცენტრალიზებული გადანაწილების სისტემა: გლეხები აწვდიდნენ მოსავალს, ხოლო ტაძარი ანაწილებდა მას მუშებსა და ღარიბებს შორის, რაც ნაწილობრივ ასახულია ურისა და ლალაშის წერილობით არქივებში [8].

ტაძრები ხელს უწყობდა სოციალური პირობების გაძლიერებას. მაგ., ტაძრები აწყობდნენ რელიგიურ ფესტივალებს, რომლებიც იზიდავდა მომლოცველებს, რაც ადგილობრივ ეკონომიკას, განსაკუთრებით ხელოსნობასა და ვაჭრობას აძლიერებდა [9].

სასახლეებმა, რომლებიც მმართველ ბომონდს ეკუთვნოდა, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დაიწყეს მსგავსი ეკონომიკური ფუნქციების აღება. მეფეები და მმართველები აკონტროლებდნენ მიწის ნაკვეთებს, აგროვებდნენ გადასახადებს ძირითადად ნატურის სახით (მაგ., მარცვლეული, მსხვილფეხა საქონელი) და ორგანიზებას უწევდნენ სამხედრო კამპანიებსა თუ სამშენებლო პროექტებს [2].

ტაძრისა და სასახლის ეკონომიკა ხშირად გადაჯაჭვული იყო, რაც ქმნიდა ცენტრალიზებული მართვის ინსტიტუციურ სისტემას, სადაც რესურსების გადანაწილება და კონტროლი ხორციელდებოდა თიხის ფირფიტებზე მოცემული აღრიცხვის სისტემის საშუალებით [13]. გარდა ამისა, ტაძრისა და სასახლის საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ძალაუფლების ბალანსის მაგალითი, სადაც მეფეები ხშირად იყვნენ რელიგიურ ავტორიტეტს თავიანთი მმართველობის ლეგიტიმაციისთვის, რაც დადასტურებულია ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ჩანაწერებში [15]. ამით ჩანს, თუ როგორ უზრუნველყოფდა ეს ინსტიტუტები ეკონომიკურ სტაბილურობასა და რესურსების ეფექტურ განაწილებას. ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტრანზაქციული ხარჯების შემცირებასა და სოციალური ნდობის გაძლიერებაში [16; 23].

3. ვაჭრობა და გარე ურთიერთობები

შუმერში ეკონომიკა დიდწილად ეფუძნებოდა ვაჭრობას, სავაჭრო ქსელებს. მას არ ჰქონდა ბუნებრივი რესურსები, როგორცაა ხე-ტყე და ლითონები, რის გამოც ვაჭრობა აუცილებელი იყო

და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა [2]. შუმერი თავად ვერ აწარმოებდა საკმარის ლითონებსა და სხვა საჭირო ნედლეულს. ამის სანაცვლოდ, ის სხვა რეგიონებს აწვდიდა აგრარულ პროდუქტებსა და ხელოსნურ ნაწარმს, რის გამოც ჩამოყალიბდა სავაჭრო მარშრუტები, რაც დადასტურებულია თიხის ფირფიტების წარწერებითა და არქეოლოგიური მონაცემებით.

არქეოლოგიური გათხრების მიხედვით გამოვლინდა, რომ შუმერები ვაჭრობდნენ ისეთ რეგიონებთან, როგორებიც იყო ანატოლია, ირანის ზეგანი, დილმუნი, ინდის ხეობა და არაბეთის ნახევარკუნძული [18; 22]. თიხის ფირფიტების წარწერებზე ამოკითხული მასალა მიუთითებს, რომ დილმუნი იყო შუამავალი შუმერისა და ინდის ხეობის ცივილიზაციათა შორის. ის ხელსუწყობდა ნედლეულისა და საქონლის გადაზიდვას (Crawford 1998).

ვაჭრობა ძირითადად სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ ტაძრების მიერ იყო ორგანიზებული, თუმცა კერძო ვაჭრებიც არსებობდნენ. ამის მაგალითია „დამგარის“ (ვაჭრის) ინსტიტუტი. პროფესიონალი ვაჭრები, რომლებიც მოგზაურობდნენ შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების (მაგ., ური, ლარსა) სახელით და ახორციელებდნენ საერთაშორისო ვაჭრობას [22]. თიხის ფირფიტებზე შემონახული სავაჭრო ჩანაწერები, მაგ., ძვ. წ. 2350-2200 წლების დოკუმენტები, აჩვენებს

საქონლის რაოდენობას, ფასებს (ძირითადად „შეკლის“ ერთეულებში) და გარიგების პირობებს, რაც მიუთითებს აღრიცხვის სისტემის სიზუსტეზე [8]. ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო მარცვლეული, ფინიკი, სეზამის ზეთი, მატყლი და ხელნაკეთი ნივთები, ხოლო საიმპორტო საქონელი – ხე-ტყე (თანამედროვე ლიბანის რეგიონიდან), ოქრო, სპილენძი (სამხრეთ კავკასიიდან), ვერცხლი (ანატოლიიდან) და ძვირფასი ქვები, როგორიცაა ლაპის ლაზული/„ლურჯი საფირონი“ (თანამედროვე ავღანეთის ბადახშანის რეგიონიდან) [2]. სავაჭრო ქსელებმა ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ გაცვლას, არამედ წერიტი სისტემების გავრცელებას, რაც ხაზს უსვამს ვაჭრობის როლს პროტო-გლობალიზაციის პროცესში [13].

წერილობითი მასალის მიხედვით, ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი სავაჭრო მარშრუტები:

- სახმელეთო გზა ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის მიმართულებით (მანძილი დაახლოებით 1000–2000 კმ), რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა ლითონების (ოქროს, სპილენძის, კალას), ხე-ტყისა და სხვა ნედლეულის იმპორტისთვის, რაც შუმერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო [22; 2; 13];

- სახმელეთო გზა ურიდან ან ურუქიდან ელამის დედაქალაქ სუსის მიმართულებით (მანძილი





თარგმანი: „ეა-ნასირს ესაუბრე, ასე [ამბობს] ნანი. როცა წახვედი, შემდეგი დაპირება მომეცა, შენი [შემდეგი] სიტყვებით: „მე მივცემ კარგ ზოდებს იგმილ-სინს“. შენ წახვედი, [მაგრამ] რაც მე შემპირდი, არ შეასრულე. ჩემს მაცნეს ცუდი ზოდები გამოუყავი და შენი [შემდეგი] სიტყვებით [უთხარი]: „თუ [თქვენ] გინდათ მისი წაღება, აიღეთ, თუ არ გინდათ მისი წაღება, წადით!“ მე, ვინ მიგაჩნისარ? ... და ასე დამცინე! მე ვუბრძანე «თავად-აზნაურებს» – შენს წარმომადგენლებს – ჩემი «კაპიტალი» მიეღოთ, მაგრამ შენ დამცინე და [არა]ერთხელ, [არამედ ისინი] ცარიელი ხელებით ორჯერ გამოუშვი უცხო ადგილიდან. მათ შორის, ვინც დილმუნში მიდიოდა. ვინ მომექცა ასე? შენ, შენ დასცინე ჩემს მაცნეს! ყველა იმ ვერცხლის შესახებ, რაც შენს გამო მე დავხარჯე, სისულელეებს ლაპარაკობ. უფრო მეტიც, შენ გამო მე თვითონ გადავუხადე თვრამეტი ტალანტი სპილენძი სასახლეს და შუმი-აბუმმა [ასევე] მისცა თვრამეტი ტალანტი სპილენძი. გარდა იმ სპილენძისა, რომლისთვისაც ჩვენ შამაშის ტაძრისთვის დალუქული დოკუმენტი გავაკეთეთ. იმ სპილენძთან დაკავშირებით: როგორ მომექცე? შენ ჩემი «კაპიტალი» უცხო ადგილზე შეინარჩუნე! შენ გმართებს, რომ ჩემი «კაპიტალი» სრულად დამიბრუნო! გაიგე, რომ შენგან ცუდი ხარისხის სპილენძს არ მივიღებ! ჩემს ეზოში მე თითოეულ [სპილენძის ზოდს] ცალ-ცალკე შევარჩევ და [მასზე] საკუთრებას მოვიპოვებ. ასევე, რადგან შენ დამცინე, [ამას] მწუხარებად გადაგიქცევ!“

3750 წლის წინანდელი თიხის ფირფიტის წარწერა (გია კვაშილავას თარგმანი).
თიხის ფირფიტა აღმოჩენილია ურში, ერაყში და ინახება ბრიტანეთის მუზეუმში

დაახლოებით 300-400 კმ), რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა მარცვლეულის, ქსოვილებისა და სხვა საქონლის ექსპორტისთვის [18];

- საზღვაო მარშრუტი სპარსეთის ყურის, დილმუნის გავლით ინდის ხეობის (მოჰენჯო-დაროსა და ჰარაპას ცივილიზაციების, თანამედროვე პაკისტანის რეგიონის) მიმართულებით (მანძილი დაახლოებით 2000 კმ.), რომელიც გამოიყენებოდა ძვირფასი ქვებისა და სანელებლების იმპორტისთვის [18].

ეს სავაჭრო ქსელები და საქონლის გაცვლა მოითხოვდა ძლიერ ლოგისტიკას, მათ შორის ტრანსპორტის, უსაფრთხოების, შეიარაღებული დაცვისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ორგანიზებას [22]. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, რამაც დიდი გავლენა იქონია შუამდინარეთისა და მეზობელი რეგიონების გაძლიერებაზე [13].

4. შრომის ორგანიზაცია და სოციალური სტრუქტურა

შრომის ორგანიზაცია ძირითადად ტაძრების მიერ ხორციელდებოდა. მაგ., ურის III დინასტიის (ძვ.წ. 2112–2004 წწ.) დროინდელი ჩანაწერები ასახავდა მუშათა რაოდენობას, სამუშაო დღეებსა და რაციონს. ის განსაზღვრავდა შუმერის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას.

შუმერულ ეკონომიკაში შრომა მკაცრად იყო ორგანიზებული. მოსახლეობის უმრავლესობა, დაახლოებით 80-90%, სოფლის მეურნეობაში იყო

დაკავებული, ძირითადად ქერისა და ხორბლის კულტივაციაზე [1]. დანარჩენი მოსახლეობა, მათ შორის ქურუმები, ჩამწერები (მნიგნობრები) და ხელოსნები, ძირითადად ტაძრებსა და სასახლეებში მუშაობდნენ. ეს ინსტიტუტები არა მხოლოდ აკონტროლებდნენ წარმოებას, არამედ უზრუნველყოფდნენ ეკონომიკური რესურსების მართვასა და საქმიანობის კოორდინაციას [22].

შუმერულ საზოგადოებაში არსებობდა სოციალური იერარქია. ზედა ფენას წარმოადგენდა მმართველი ბომონდი, მათ შორის მეფეები და ქურუმები, რომლებიც პოლიტიკურ და რელიგიურ ძალაუფლებას აერთიანებდნენ. შუა ფენა მოიცავდა თავისუფალ მოქალაქეებს, როგორებიც იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები და მცირე მიწის მესაკუთრეები. ქვედა ფენაში შედიოდნენ მუშები, მათ შორის მონები, რომლებიც ხშირად ომის ტყვეები ან ვალის გამო მონობაში ჩავარდნილი პირები იყვნენ. მონები ძირითადად დასაქმებული იყვნენ სოფლის მეურნეობის სექტორში ან ტაძრების მშენებლობაში. თუმცა მონობა შუმერულ საზოგადოებაში არ იყო ინსტიტუციონალიზებული, როგორც ეს გვხვდება მოგვიანებით რომის იმპერიაში. მონების მდგომარეობა ზოგ შემთხვევაში შეიძლება გაუმჯობესებულიყო. შრომის ანაზღაურება ხშირად ნატურით, მაგ., მარცვლეულით, ქსოვილით ან ზეთით ხდებოდა. თიხის ფირფიტებზე შემორჩენილი ჩანაწერები მიუთითებს, რომ ანაზღაურების გადაწყვეტილებები ხშირად ცენტრალიზებულ ინსტიტუტებთან იყო დაკავშირებული, რაც გვიჩვენებს ინსტიტუციონალური მართვის მნიშვნელობას [13].

განსაკუთრებული საყურადღებოა ქალთა საქმიანობა. „ნადიტუ“ – ხშირად დაუქორწინებელი ქალები (მზის ღმერთ შამაშისა და მისი ცოლის – აიას ტაძრის მსახურები), რომლებიც, ძირითადად, წარმოშობით მაღალი სოციალური ფენებიდან იყვნენ და ტაძარში მსახურებდნენ, ხასიათდებოდნენ დამოუკიდებლობითა და ქონების მართვის უფლებით. ისინი ჩართულნი იყვნენ ქსოვაში, ტყავისა და მარცვლეულის გადამუშავებასა და ვაჭრობაში, რაც მიუთითებს გარკვეულ გენდერულ თანასწორობაზე შუმერულ საზოგადოებაში [21]. „ნადიტუების“ ეკონომიკური აქტიურობა ასევე დაკავშირებული იყო ტაძრების ეკონომიკურ ქსელთან [22].

5. წერიტი, აღრიცხვისა და გადახდის სისტემები

ძვ.წ. 8500–3500 წწ-ში შუამდინარეთში გამოიყენებოდა წრის, ბირთვის, კონუსის, ცილინდრისა და სხვა ფორმის თიხის ფიგურა-სიმბოლოები (tokens), რომლებიც კონკრეტულ საქონლს (მაგ., მარცვლეულს, ცხოველებს) აღნიშნავდა და მის რაოდენობას აღრიცხავდა. ეს სიმბოლოები ნოტიო თიხის სფეროსებრივ ჭურჭლში (bullae) ინახებოდა და ხშირად აღნიშნული ჭურჭლის გარე ზედაპირზე იბეჭდებოდა. ეს იყო ყველაზე ადრეული სააღრიცხვო სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ეკონომიკური მართვის პროცესის გამარტივებას, რაც ლოგისტიკის საფუძველი იყო შუმერულ ეკონომიკაში და უზრუნველყოფდა ტრანზაქციების უსაფრთხოებას. ძვ.წ. 3500–3000 წლებში შუმერებმა დაიწყეს ამ ფიგურა-სიმბოლოების ფორმების თიხის ფირფიტებზე გამოსახვა, რაც თანდათან უფრო აბსტრაქტულ სიმბოლოებად გარდაიქმნა და ლურსმული დამწერლობის ნიშნებად ჩამოყალიბდა. ეს პროცესი „ტექნოლოგიური ევოლუციის“ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს [10; 11; 12; 13].

სამეურნეო და ადმინისტრაციული შინაარსის წერილობით დოკუმენტებში აღმოჩნდა: ჩანანერები მუშათა დასაქმების შესახებ, ანგარიშები სამუშაო ძალის, ხვნისა და ფარცხვის სამუშაოების შესახებ, ცნობები მუშების ავადმყოფობის შესახებ, უწყისები მუშათა შრომის ანაზღაურებისა და მარცვლის გაცემის შესახებ, შემოსავლისა და გასავლის საბუთები, ქვითრები კურიერებზე გაცემული პროდუქტების შესახებ, ჩანანერები ფურაჟის გაცემის თაობაზე, საქონლის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების, ვაჭრობისა და მნიშვნელოვანი გარიგების (კერძო საკუთრების გადაცემის) აღრიცხვა, ქვითრები

კურიერებზე გაცემული პროდუქტების შესახებ, სასესხო ხელშეკრულებები, სასამართლო გადაწყვეტილებების კრებულები, ცნობები საირიგაციო გადასახადის, დავების გადაწყვეტის, ბალანსის, გამოსასყიდი თანხის, პროცენტიანი სესხისა და ვალის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიებისა და საკვები რაციონის შესახებ, საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო შეთანხმებების გეგმები, საბუთები სახლის, ბაღის, მიწის ნაკვეთის, ცხოველების ყიდვისა და ჩუქების შესახებ, საქორწინო, მემკვიდრეობისა და განქორწინების დოკუმენტები, სამედიცინო ტექსტები (რეცეპტები), კალენდრები და სხვა [13].

„წერიტი სისტემა არის ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური და რელიგიური ორგანიზაციების მართვა-გამგეობის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენებით ადამიანთა შორის მყარდება გარკვეული ურთიერთობები მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოების დროს და რითაც ისინი გადასცემენ ერთმანეთს გარკვეულ ინფორმაციასა და იდეებს აღნიშნულ სფეროში მათი მიღწევების შესახებ. წერიტი სისტემა, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის სახეობა, თავდაპირველად გაჩნდა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა-დახვეწისა და საქონლის დათვლა-აღრიცხვის საჭიროების გამო, რაც ცივილიზაციის ისტორიაში კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო“ [13].

შუმერები იყენებდნენ „ვერცხლის შეკელს“ [20], როგორც გადახდისა და ღირებულების გაზომვის ერთეულს, თუმცა ფიზიკური ფული (მონეტები) ჯერ არ არსებობდა. გადახდები ხშირად ბარტერულ სისტემაზე იყო დაფუძნებული, სადაც ვერცხლი, ქერი ან სხვა პროდუქტები გამოიყენებოდა როგორც გადამცვლელი საშუალება.

„ამ პროცესმა ჩამოაყალიბა შესაბამისი ინსტიტუტები და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციები (საეაჭრო გილდიები და სხვა). შრომის დანაწილებამ შექმნა სხვადასხვა სპეციალობები. ... „ურბანული ეკონომიკური“ საქმიანობის განვითარებისთვის დაიწყო ინსტიტუციური სისტემებისა და ცენტრალური ორგანიზაციების გაუმჯობესება, სამუშაოთა შესრულების, დაგეგმვის, ვაჭრობისა და დაბეგვრის კონტროლის გაძლიერება, რესურსების, საქონლის წარმოების, შეგროვებისა და განაწილების, მიღებისა და გატანის, შემოსა-



შუმერული ტექსტი: **na-ni u₃-na-a-du₁, 60 še gur e-la-ak-šu-qir-ra ħe₂-na-ab-šum₂-mu na-mi-gur-re gu₂-na-kam tukum-bi nu-na-an-šum₂ e₂-a-ni-ta ib₂-su-su**

თარგმანი: „ნანის უთხარი: 60 გური ქერი ელაქშუყირს მისცეს. გამოსავალი არაა, [ეს მისი] მძიმე ტვირთია. თუ-კი [იგი] არ მისცემს [ქერს მას], [მაშინ ის] გადაიხადოს თავისი შინამეურნეობიდან.“

4100–4000 წლის წინანდელი თიხის ფირფიტის წარწერა (გია კვაშილავას თარგმანი). თიხის ფირფიტა აღმოჩენილია გირსუში, ერავში და ინახება სტამბოლის არქეოლოგიურ მუზეუმში, თურქეთში

ვლებისა და ხარჯების, გადასახადებისა და შესანიშნავების აღრიცხვა, არქიტექტურული ცენტრების, ტაძრების, სასახლეებისა და საზოგადოებრივი შენობების აგებისა და მიწის რეგისტრაციის, ფართობისა და ა.შ., ღირებულების გამოთვლა და სხვა“ [13].

აღრიცხვის სისტემა საშუალებას აძლევდა ტაძრებისა და სასახლეების მეთაურებს თვალყური ედევნებინათ საქონლის მარაგის, გადასახადებისა და ვაჭრობისთვის. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბიუროკრატიისა და ეკონომიკური მართვის განვითარებაში [22]. შუმერულ ეკონომიკაში ტაძრები, სასახლეები, აღრიცხვის სისტემა და „დამგარის“ ინსტიტუტი ფუნქციონირებდნენ როგორც ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ამცირებდნენ ტრანზაქციულ ხარჯებსა და ხელს უწყობდნენ ეკონომიკური სისტემის სტაბილურობას.

დ. ნორთის ინსტიტუციონალური თეორიის საფუძველზე, ეს ინსტიტუტები შეიძლება განვიხილოთ როგორც ფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც ამცირებდნენ ტრანზაქციულ ხარჯებს შემდეგი მიმართულებებით [15; 16]:

- **ინფორმაციული ხარჯები.** შუმერულ ეკონომიკაში ინფორმაციული ხარჯების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეფექტური ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფაში. ტაძრებისა და სასახლეების წარმომადგენლები პასუხისმგებელნი იყვნენ გადასახადების შეგროვებაზე, რომლებიც ძირითადად ნატურით, მაგ., ქერის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახით გადახდა ხდებოდა. ამავდროულად, ისინი

ხელმძღვანელობდნენ რესურსების განაწილებას, რაც ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. აღრიცხვის სისტემა, რომელიც თიხის ფირფიტებზე ჩანაწერების სახით იყო მოცემული, გამოიყენებოდა ვაჭრობისა და გადასახადების ზუსტი დოკუმენტაციისთვის. ამ ფირფიტებში ფიქსირდებოდა ისეთი დეტალები, როგორიცაა საქონლის რაოდენობა, ფასი და გარიგების პირობები. ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ჩამწერები, ანუ მნიგნობრები, აქტიურად იყენებდნენ ბუღალტრულ ანგარიშებს, რათა შეემცირებინათ ინფორმაციული გაურკვევლობა და გაეფართოებინათ გამჭვირვალობა ვაჭრებს, ტაძრებისა და სასახლეების წარმომადგენლებს შორის. აღრიცხვის ეს სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებდა ინფორმაციულ ასიმეტრიას, რომელიც შეიძლება არსებობდა გლეხებს, ქურუმებსა და მმართველებს შორის [8].

ამგვარად, თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული მონაცემები ხელს უწყობდა ეკონომიკური ურთიერთობების სიზუსტესა და სანდოობას, რაც უზრუნველყოფდა რესურსების ეფექტურ მართვასა და განაწილებას.

- **აღსრულების ხარჯები.** შუმერულ ეკონომიკაში აღსრულების ხარჯების მართვა ტაძრებისა და სასახლეების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო. ეს ინსტიტუტები პასუხისმგებელნი იყვნენ გადასახადებისა და შრომითი ვალდებულებების აღსრულებაზე, რაც უზრუნველყოფდა ეკონომიკური სისტემის სტაბილურობასა და ფუნქციონირებას. თიხის ფირფიტებზე შემონახული წარწერები შეიცავს ინფორმაციას გადასახადების შესახებ, მაგ.,

„60 გური ქერი“. აღრიცხვა გადასახადის ამკრეფებს საშუალებას აძლევდა თვალყური ედევნებინათ ვალდებულებების შესრულებაზე და გარიგებების დარღვევა ან „ფარული ქმედებების რისკი“ („moral hazard“) შეემცილებინათ. ეს მიუთითებს, რომ ამ ინსტიტუტებს გააჩნდათ კარგად ორგანიზებული სტრუქტურა გადასახადების შეგროვების მონიტორინგისა და აღსრულებისთვის.

ამგვარად, ეს პრაქტიკა ზრდიდა ეკონომიკური სისტემის ეფექტურობას, რადგან უზრუნველყოფდა რესურსების სწორად განაწილებასა და მართვას, ხელს უწყობდა საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობას.

• **კონტრაქტის ხარჯები.** კონტრაქტის ხარჯების მართვა ტაძრების, როგორც რესურსების გადაწვევის ცენტრების, ერთ-ერთი ფუნქცია იყო. ისინი ხელს უწყობდნენ „კონტრაქტების“ დადებას კერძო პირებს თუ ორგანიზაციებს შორის; მაგ., მოსავლის (როგორცაა ქერი ან ხორბალი) მიწოდების სანაცვლოდ, მათ საკვებს ან სხვა აუცილებელ საშუალებებს უწვავდნენ. ეს პროცესი ამცირებდა მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებულ სათანადო ხარჯებს, რადგან ტაძრები მოქმედებდნენ როგორც შუამავლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გარიგებების გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ამგვარი ცენტრალიზებული სისტემა ამცირებდა ტრანზაქციულ ხარჯებს, რაც ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო ეფექტურსა და ორგანიზებულს ხდიდა. შედეგად, ტაძრების მიერ შექმნილი სტრუქტურა უზრუნველყოფდა შუმერული ეკონომიკური სისტემის მდგრადობასა და ეფექტურობას, რაც მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების სტაბილური ფუნქციონირებისთვის.

• **ქონებრივი უფლებები.** ქონებრივი უფლებების განსაზღვრა და დაცვა ცენტრალიზებული ინსტიტუტების, განსაკუთრებით ტაძრებისა და სასახლეების ერთ-ერთი ფუნქცია იყო. ტაძრები და სასახლეები ფლობდნენ მიწისა და სხვა ძირითადი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც მათ საშუალებას აძლევდა, განესაზღვრათ და დაარეგულირებინათ ქონებრივი უფლებები. ისინი აკონტროლებდნენ მიწის გამოყენებასა და მისგან მიღებულ შემოსავალს, რაც უზრუნველყოფდა ეკონომიკური რესურსების ცენტრალიზებულ მართვას. გარდა ამისა, „დამგარის“ ინსტიტუტი, რომელიც ვაჭრებისა და შუამავლების როლს ასრულებდა, მართავდა ექსპორტისა და იმპორტის გარიგებებს. ეს სტრუქტურა ხელს უწყობდა საქონლის საკუთრების უფლებების განსაზღვრასა და დაცვას, რაც

მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობის განვითარებისა და სტაბილურობისთვის. ქონებრივი უფლებების მკაფიო განსაზღვრა ამცირებდა კონფლიქტებისა და დავების რისკს, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა ეკონომიკური სისტემის ეფექტურობასა და სანდოობას.

ამგვარად, ეს ინსტიტუტები ქმნიდნენ სტაბილურ ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობდა ეკონომიკური ურთიერთობების გამართულ ფუნქციონირებას.

• **სოციალური ნდობა.** სოციალური ნდობის განმტკიცება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოების ეკონომიკური სისტემის სტაბილურობაში, ხოლო აღრიცხვის სისტემა ამ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუციური მექანიზმი იყო. თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული ჩანაწერები, რომლებშიც აღრიცხულია გადასახადები, ვაჭრობის დეტალები თუ სხვა გარიგებები, უზრუნველყოფდნენ ეკონომიკური ტრანზაქციების გამჭვირვალობას. ეს ჩანაწერები საშუალებას აძლევდა გლეხებს, ქურუმებსა და მმართველებს, ჰქონოდათ ზუსტი ინფორმაცია გარიგებების შესახებ, რაც ამცირებდა უთანხმოებებისა და დავების წარმოშობის რისკს [22].

ამგვარად, აღრიცხვის სისტემა არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობას ზრდიდა, არამედ საზოგადოებაში სოციალური ნდობის განმტკიცებასაც უწყობდა ხელს.

6. გადანაწილების სისტემა, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი

შუმერში გადანაწილების სისტემა წარმოადგენდა ცენტრალიზებულ ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც ძირითადად ტაძრების მიერ ორგანიზებულ იყო და მიზნად ისახავდა რესურსების (მაგ., მოსავლის, საკვებისა და ქსოვილების) გადანაწილებას მუშებსა და სოციალურად გაჭირვებულ ჯგუფებს (მაგ., ღარიბებს) შორის [22].

ამ სისტემის ანალიზისთვის გამოვიყენეთ დნორთის ინსტიტუციონალური ეკონომიკის თეორია, რომლის მიხედვითაც ინსტიტუტები, როგორც ფორმალური და არაფორმალური წესების ერთობლიობა, ხელს უწყობენ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას [16]. ამ კონტექსტში, გადანაწილების სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ასრულებდა შემდეგ ფუნქციებს:

• **სოციალური კონფლიქტის შემცირება.** ტაძრების მიერ რესურსების (მაგ., საკვები, ქსოვილები) გადანაწილება ითვალისწინებდა გადასახადების (მაგ., მოსავლის 10%-ის) შეგროვებას, რაც და-



ფიქსირებულია თიხის ფირფიტებზე არსებულ წარწერებში [8]. ეს პრაქტიკა ამცირებდა სოციალურ უთანასწორობას, რადგან რესურსები გადანაწილებოდა არა მხოლოდ ბომონდს, არამედ მუშებსა და ღარიბებს შორის, რაც ხელს უწყობდა სოციალურ სტაბილურობასა და კონფლიქტების პრევენციას [19].

• **ეკონომიკური ეფექტურობის უზრუნველყოფა.** აღრიცხვა-გადანაწილების სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა გადასახადების შეგროვებას, რაც დადასტურებულია თიხის ფირფიტების ჩანაწერებში, საშუალებას აძლევდა ტაძრებსა და სასახლეებს განაწილებინათ რესურსები, როგორცაა მარცვლეული მუშებსა და სხვა დამოკიდებულ ჯგუფებს შორის [17]. ეს პროცესი ზრდიდა შრომის პროდუქტიულობას, რადგან უზრუნველყოფდა მუშების საკვებითა და მატერიალური რესურსებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობისა და სხვა ეკონომიკური საქმიანობების განვითარებას.

• **შეზღუდული სოციალური მობილობა.** ტაძრის მიერ რესურსების განაწილებამ ხელი შეუწყო ზოგიერთი მოქალაქის, განსაკუთრებით, ხელოსნების ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებას [21]. თუმცა ეს პროცესი იყო სოციალური მობილობის შეზღუდული ფორმა, რადგან რესურსების განაწილება ძირითადად დამოკიდებული იყო ტაძრის სტრუქტურებზე და არა ინდივიდუალურ ინიციატივებზე. ამასთან ეს მექანიზმი ხელს უწყობდა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც დადასტურებულია ტაძრებისა და სარწყავი არხების მშენებლობის მაგალითებით, რომლებიც დაფინანსებული იყო გადანაწილების სისტემის მეშვეობით [22].

7. გამოწვევები და შეზღუდვები

შუმერის ეკონომიკა, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი მიღწევებისა, აღმოჩნდა მყიფე სისტემა, რომელიც განიცდიდა როგორც გარემოსდაცვით, ასევე სოციალ-ეკონომიკურ გამოწვევებს. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო სარწყავი სისტემების მოვლა-პატრონობა, რომელიც მოითხოვდა მუდმივ ზრუნვასა და კოორდინაციას. გრძელვადიან პერსპექტივაში ინტენსიური სარწყავი აქტივობა გამოიწვია ნიადაგის სალინიზაციის (მარილიანობის) ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიწის ნაყოფიერება და, შესაბამისად, მოსავლიანობა. ამ ფაქტს ადასტურებს რ. ადამსის კვლევა, რომელიც აღნიშნავს, რომ სამხრეთ შუამდინარეთში სარწყავი აგარარული სისტემების

განვითარებამ გარემოსდაცვითი შეზღუდვები გამოიწვია, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე [1]. ამასთან, ჯ. პოსტგეიტი აღნიშნავს, რომ სალინიზაცია იყო გრძელვადიანი პროცესი, რომელმაც შუმერული სოფლის მეურნეობის მდგრადობა საფრთხის ქვეშ დააყენა [17].

გარდა ამისა, სოციალ-პოლიტიკური გამოწვევების კონტექსტში, შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებს (მაგ., ური, ურუქი) შორის ომები და გარე შემოსევები, განსაკუთრებით ელამიდან, ხშირად არღვევდა ეკონომიკურ სტაბილურობას. მ. ლივერანი მიუთითებს, რომ ამგვარი კონფლიქტები ხშირად იწვევდა ვაჭრობის ქსელებისა და რესურსების გადანაწილების პროცესის რღვევას (disruption), რამაც გაართულა ცენტრალიზებული ინსტიტუტების (ტაძრებისა და სასახლეების) ფუნქციონირება [9].

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს შუმერულეებმა შექმნეს ურბანული დასახლებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს სხვა ცივილიზაციების, მათ შორის აქადის, ბაბილონისა და ასურეთის ეკონომიკურ სისტემებზე. ამ თეზის მხარდასაჭერად, ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ შუმერული სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და აღრიცხვის სისტემების ინოვაციებმა ხელი შეუწყო ეკონომიკური ცოდნის გავრცელებასა და ინსტიტუციონალური მოდელის განვითარებას მეზობელ რეგიონებში [13].

ძირითადი შედეგები

შუმერის ეკონომიკა, რომელიც ძვ.წ. IV–III ათასწლეულებში სამხრეთ შუამდინარეთში ყვაოდა, ერთ-ერთი ადრეული ორგანიზებული ეკონომიკური სისტემა იყო, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცივილიზაციის განვითარებაზე. ის ეფუძნებოდა სოფლის მეურნეობას, ტაძრისა და სასახლის ინსტიტუტებს, ვაჭრობასა და შრომის მკაცრ ორგანიზებასა და აღრიცხვის სისტემას.

• **სოფლის მეურნეობა.** ტიგროსისა და ეფფრატის ნაყოფიერ ნიადაგებზე განვითარებულმა სარწყავმა სისტემებმა და ინოვაციებმა, როგორცაა სათესი გუთანა, უზრუნველყო ჭარბი მოსავალი (ქერი, ხორბალი), რამაც ხელი შეუწყო ურბანიზაციასა და ვაჭრობის განვითარებას. მიწის უმეტესი ნაწილი ტაძრებსა და სასახლეებს ეკუთვნოდა, რაც ცენტრალიზებულ მართვას განაპირობებდა.

• **ტაძრისა და სასახლის ეკონომიკა.** ტაძრები და სასახლეები იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ცენტრები, რომლებიც მართავდნენ მიწის მფლობელობას, გადასახადებსა და რესურსების

გადანაწილებას. ისინი ფუნქციონირებდნენ, როგორც გადანაწილების სისტემები, რაც ამცირებდა სოციალურ უთანასწორობასა და ხელს უწყობდა სტაბილურობას.

• **ვაჭრობა.** შუმერები აქტიურად ვაჭრობდნენ ანატოლიის, ელამის, ინდის ხეობისა და არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებთან, რითაც ავსებდნენ ბუნებრივი რესურსების (ხე-ტყე, ლითონები, ძვირფასი ქვები) დეფიციტს. „დამგარის“ ინსტიტუტი და თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებული ჩანაწერები უზრუნველყოფდა ვაჭრობის ეფექტურ მართვას.

• **აღრიცხვის სისტემა.** ლურსმულმა დამწერლობამ და თიხის ფირფიტებზე დაფიქსირებულმა ჩანაწერებმა (მაგ., გადასახადები, შემოსავალ-გასავალი, ვაჭრობა) შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული აღრიცხვის სისტემა, რომელმაც შეამცირა ტრანზაქციული ხარჯები და გაზარდა გარიგებების გამჭვირვალობა.

• **ინსტიტუციონალური ანალიზი.** დ. ნორთის თეორიის გამოყენებით, შუმერული ინსტიტუტები (ტაძრები, სასახლეები, „დამგარი“) ამცირებდნენ ინფორმაციულ, აღსრულებისა და სახელშეკრულებლო ხარჯებს, რაც ზრდიდა ეკონომიკურ ეფექტურობასა და ნდობას. თანამედროვე თეორიების (უილიამსონის, თამაშთა თეორია, ქცევითი ეკონომიკა) ჭრილობი, ეს ინსტიტუტები წარმოადგენდნენ მონინავე მექანიზმებს სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობისთვის.

• **გამოწვევები.** შუმერულ ეკონომიკას, მიუხედავად მაღალი ორგანიზებულობისა, მნიშვნელოვან გამოწვევებთან უნევდა გამკლავება. მიწის დამლაშება, რომელიც ხანგრძლივი სარწყავი სისტემების გამოყენებისა და არასათანადო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შედეგი იყო, და მუდმივი გვალვები აფერხებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას. გარდა ამისა შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები (ურუ, ურუქი და ლაგაში), ხშირად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რაც შიდა დაპირისპირებას იწვევდა. ამავე დროს, მათ არ შეუქმნიათ ერთიანი სამხედრო ძალა, რაც მათ დაუცველს ხდიდა გარე შემოსევებისგან. შუმერები ვერ ახერხებდნენ თავდაცვის ეფექტურ ორგანიზებას. ომები მეზობელ ხალხებთან ზრდიდა ეკონომიკური სისტემის არასტაბილურობას, რადგან ის არღვევდა ვაჭრობას, რესურსების მიწოდებასა და შრომის ორგანიზაციას. ეს გამოწვევები ხაზს უსვამდა მდგრადი განვითარების მნიშვნელობას, რაც გულისხმობდა გარემოსდაცვითი რესურსების რაციონალურ მართვას, თავდაცვითი მექანიზმ-

ბის გაძლიერებასა და სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებას. მიწის ნაყოფიერების შენარჩუნება და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადამწყვეტი იყო შუმერული ეკონომიკის სტაბილურობისთვის. ამ ფაქტორებმა, ნაყოფიერების დაკარგვასთან ერთად, გამოიწვია შუმერის ეკონომიკისა და პოლიტიკური სტრუქტურის თანდათანობითი დასუსტება, რამაც საშუალება მისცა მის არამონათესავე ხალხებს, როგორებიც იყვნენ აქადელები და მოგვიანებით ბაბილონელები, დომინირებულიყვნენ შუამდინარეთის რეგიონში. ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ აქადელთა მმართველი სარგონის (ძვ. წ. 2334–2279 წწ.) დრო შუმერული ავტონომიის დასასრულის დასაწყისი იყო. მოგვიანებით, ჰამურაბის (ძვ. წ. 1792–1750 წწ.) მიერ ბაბილონის აღზევებისას საბოლოოდ შუმერულ საზოგადოებამ ეს გამონეგები ვერ დასძლია, გაითქვია მის ტერიტორიაზე მოსულ ხალხებთან და იდენტობა დაკარგა, თუმცა მისი კულტურული მემკვიდრეობა, როგორიცაა სოფლის მეურნეობის ცოდნა, დამწერლობა და რელიგიური ტრადიციები გარკვეულ დრომდე შენარჩუნდა.

დასკვნა

შუმერის ეკონომიკა, თავისი ცენტრალიზებული ინსტიტუტებით, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და აღრიცხვის სისტემებით, წარმოადგენს ცივილიზაციის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს. მისმა ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით ტაძრებმა, სასახლეებმა და „გადამწერთა სკოლებმა“, საფუძველი ჩაუყარა პრეეკონომიკური პრაქტიკების განვითარებას, მათ შორის აღრიცხვის, ვაჭრობისა და საგადასახადო სისტემებს. თანამედროვე ეკონომიკური თეორიების (ნორთის ინსტიტუციონალიზმი, უილიამსონის ტრანზაქციული ხარჯები, ქცევითი ეკონომიკა) გამოყენებით ჩანს, რომ შუმერულმა ინსტიტუტებმა ეფექტურად უზრუნველყვეს სოციალური სტაბილურობა და ეკონომიკური ეფექტურობა. თუმცა, მიწის დამლაშობამ და გარე საფრთხეებმა გამოავლინა შუმერული ეკონომიკური სისტემის მყიფეობა, რაც თანამედროვე საზოგადოებებისთვის მნიშვნელოვან გაკვეთილს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვითი მართვის თვალსაზრისით. შუმერული ეკონომიკის მემკვიდრეობა, განსაკუთრებით აღრიცხვის, ვაჭრობისა და ინსტიტუციური მართვის სფეროებში, ხაზს უსვამს მის უნივერსალურ მნიშვნელობას ცივილიზაციათა ისტორიაში.



GEORGIA'S STRATEGIC PRIORITIES IN REGIONAL INTEGRATION AMID GLOBAL CHALLENGE

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: August 24, 2025
Published: September 11, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20032025-19



Shota Veshapidze

Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University ORCID iD:
<https://orcid.org/0000-0003-0933-3648> E-mail:
shota.veshapidze@tsu.ge



Lela Jamagidze

Doctor of Economics, Associate Professor, Ivane
Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0008-1103-9476>
E-mail: lela.jamagidze@tsu.ge



Levan Kereselidze

Doctor of Business Administration,
Assistant Professor, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
ORCID iD: <https://orcid.org/0009-0003-8879-2339>
E-mail: levan.kereselidze@tsu.ge



Ramaz Futkaradze

Doctor of Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: ramaz.putkaradze@tsu.ge



ABSTRACT

Relevance of the topic: The contemporary global context represents a polycrisis reality encompassing armed conflicts, climate change, energy security concerns, economic instability, and growing technological inequality. These realities place particular emphasis on the importance of regional integration, especially for small and medium-sized countries such as Georgia. Located at a strategically significant geographic crossroads between East and West, Georgia views regional integration as a strategic path to development and a means of strengthening its position within the global system. The current geopolitical and economic environment, including the impact of the COVID-19 pandemic and the Russia-Ukraine war, presents both new risks and a necessity for deepened international cooperation for Georgia.

Goal of the study: The aim of the study is to explore modern trends in regional integration and to identify Georgia's strategic priorities in this process. Based on the analysis, the goal is to determine Georgia's targeted directions for economic, political, and social development, which will support the country in achieving sustainable development under global challenges.

Subject of the research: The subject of the research is Georgia and its participation in regional integration processes. It is studied through the lenses of the modern forms of regional integration, theoretical paradigms, and their economic and political impact on Georgia's development.

Theoretical and practical significance: Theoretically, the paper contributes to the analysis of integration theories under modern conditions and offers a discussion of a practical implementation model based on the example of Georgia. Practically, the results of the research can play a significant role in the planning of national economic policies, foreign strategies, investment attraction mechanisms, and the education system. Moreover, the paper is useful for academic programs related to global economics, international relations, and business administration.

Findings and discussion: The research revealed that regional integration presents both challenges and opportunities for Georgia. The country's active engagement in platforms such as the EU Association Agreement and DCFTA, TRACECA, the Middle Corridor, and Black Sea regional cooperation provides opportunities for economic diversification, trade expansion, energy independence, and the strengthening of its transit function. The share of EU countries in Georgia's export structure and the volume of foreign direct investment have increased over the last decade, indicating a positive economic impact from integration. However, challenges remain, including internal institutional weaknesses, occupied territories, and excessive dependence on certain markets. Achievements in the energy and transportation sectors highlight Georgia's potential to become a key hub in regional infrastructure networks.

Conclusion: Regional integration represents a vital path for Georgia's long-term development and active participation in the global system. However, success in this process requires a consistent economic strategy, strengthened institutional reforms, and public consensus on Western integration. Georgia's success will largely depend on how effectively it manages the allocation of resources, handles geopolitical risks, and develops an inclusive economic model.

Keywords: Georgia, regional integration, economic development, European Union, global challenges, transit potential, Black Sea region, single market, infrastructure projects.

REFERENCES:

1. Adarov, A., & Havlik, P. (2016). Benefits and costs of DCFTA: Evaluation of the impact on Georgia, Moldova and Ukraine. The Vienna Institute for International Economic Studies (wiiw). <https://wiiw.ac.at>
2. Baier, S. L., & Bergstrand, J. H. (2007). Do free trade agreements actually increase members' international trade? *Journal of International Economics*, 71(1), 72–95. <https://doi.org/10.1016/j.jinteco.2006.02.005>
3. Badinger, H., & Breuss, F. (2011). The quantitative effects of European post-war economic integration. *Review of World Economics*, 147(2), 207–247. <https://doi.org/10.1007/s10290-011-0084-3>
4. Balassa, B. (1961). *The theory of economic integration*. Homewood, IL: Richard D. Irwin. https://api.pageplace.de/preview/DT0400.9781136646317_A23860489/preview-9781136646317_A23860489.pdf
5. Baldwin, R. (2016). *The great convergence: Information technology and the new globalization*. Harvard



University Press.

6. Baldwin, R., & Wyplosz, C. (2020). *The economics of European integration* (6th ed.). London: McGraw-Hill Education.

7. Basilia, T., Silagadze, A., & Chikvaidze, T. (2001). *Post-socialist transformation: Georgian economy at the turn of the 21st century* (V. Papava, Ed.). Tbilisi. (In Georgian)

8. Beyer, R., Li, C. Y., & Weber, S. (2025). *Economic benefits from deep integration: 20 years after the 2004 EU enlargement* (IMF Working Paper). International Monetary Fund.

9. Colacito, R., & Croce, M. M. (2010). The short and long run benefits of financial integration. *American Economic Review*, 100(2), 527–531. <https://doi.org/10.1257/aer.100.2.527>

10. Collyer, M., Hinger, S., & Schweitzer, R. (2020). Politics of (Dis)Integration – An introduction. In S. Hinger & R. Schweitzer (Eds.), *Politics of (Dis)Integration* (pp. 1–18). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-030-25089-8_1

11. De Grauwe, P. (2018). *Economics of monetary union* (12th ed.). Oxford: Oxford University Press.

12. El-Agraa, A. M. (2011). *The European Union: Economics and policies* (9th ed.). Cambridge: Cambridge University Press.

13. Emerson, M., & Kovziridze, T. (2019). *EU–Georgia DCFTA: Results after 5 years and perspectives*. 3DCFTAs.eu. <https://3dcftas.eu/op-eds/eu-georgia-dcfta-results-after-5-years-and-perspectives>

14. European Commission. (2012). *EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA)*. https://policy.trade.ec.europa.eu/eu-trade-relationships-country-and-region/countries-and-regions/georgia_en

15. Felipe, J., Kumar, U., & Abdon, A. (2014). How rich countries became rich and why poor countries remain poor: It's the economic structure ... duh! *Japan and the World Economy*, 29, 46–58.

16. Freund, C., & Ornelas, E. (2010). Regional trade agreements. *Annual Review of Economics*, 2, 139–167. <https://doi.org/10.1146/annurev.economics.102308.124451>

17. Fuenfzig, M. (2016). *A quantitative assessment of the proposed China–Georgia free trade agreement*.

18. Gehler, M. (2022). Integration and disintegration: Different types of Europeanization... In *Reconsidering Europeanization*. De Gruyter.

19. Government of Georgia. (2023, August 15). *On*

the approval of the National Transport and Logistics Strategy of Georgia... <http://matsne.gov.ge/document/view/5895599>

20. Grossman, G. M., & Helpman, E. (1991). *Innovation and growth in the global economy*. MIT Press.

21. Gurova, I. (2014). *World economy*. Tbilisi. (In Georgian)

22. Haas, E. B. (1970). The Study of Regional Integration... *International Organization*, 24(4), 607–646. <http://www.jstor.org/stable/2706149>

23. Jamagidze, L. (2019). Import of institutions in the field of Georgia-EU trade relations. *Economy and Business*, (3), 199–216. (in Georgian)

24. Jamagidze, L. (2020). Trade policy directions in response to new challenges... *Globalization and Business*, (9), 70–76. (in Georgian)

25. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport... *The New Economist*, 20(2), 40–53.

26. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations... *The New Economist*, 20(1), 8–23. (In Georgian)

27. Lomia, E., 2021. China's Belt And Road Initiative And Georgia: A Short Overview. *Journal of Liberty and International Affairs*, 7(3), pp.373–385

28. Lomia, E., 2020. The Evaluation of Russia's foreign policy towards Georgia following the 'Rose Revolution'. *Journal of Liberty and International affairs*, 6(1), pp.112–128

29. Lomia, E. and Karchava, L., 2021. Georgian ethno-political conflict as a subject of confrontation between the USA and Russia. *Journal of Liberty and International Affairs*, 7(2), pp.90–102

30. Machlup, F. (1977). *A history of thought on economic integration*. New York: Columbia University Press.

31. Masclanis, F. (2025). Georgia's integration into the European Union: A synergy of mutual interests. *Globalization and Business*, 19. <https://doi.org/10.35945/gb.2025.19.012>

32. Mekvabishvili, E. (2021). *Challenges of economic crisis in the world and in Georgia*. Tbilisi. (in Georgian)

33. Mgebrishvili, M. (2020). *Economic analysis of Georgia's free trade agreements with EU and China*. PMC Research Center. (in Georgian)

34. Papava, V. (2001). Georgia's international economic function. *Social Economy*, (5). (in Georgian)

35. Papava, V. (2020). *Becoming European: Chal-*



lenges for Georgia in the twenty-first century. iUniverse.

36. Papava, V. (2020, August 6). Georgia's European way during the period of pandemic deglobalization. *Rondeli Blog*. <https://gfsis.org.ge/blog/view/1091>

37. Papava, V. (2021, October 18). On pseudo deglobalization, Silk Road of global value chains... *Eurasia Review*. <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia/>

38. Papava, V. (2025). The Middle and Zangezur Corridors: Alternatives... *International Core Academy of Sciences and Humanities*. <https://www.coreacad.org/upload/file/20250914/6389340983450501816257595.pdf>

39. Papava, V., & Tapladze, T. (2012). On economic relations between Georgia and Russia. *Ekonomisti*, (1).

40. Pelkmans, J. (2016). *European integration: Methods and economic analysis* (4th ed.). Harlow, UK: Pearson Education.

41. Putkaradze, R. (2017). *The European Free Trade Association and Georgia*. (In Georgian)

42. Schmitter, P. C., & Lefkofridi, Z. (2015, July 8–10). *Neo-functionalism as a theory of disintegration*. 22nd CES Conference.

43. Shengelia, T. (2022). Economic development of the South Caucasus countries during the COVID-19 pandemic. *Collected Papers*, 363–370.

44. Silagadze, A., & Zubiashvili, T. (2015). Parameters of the EU and post-Soviet Georgia's economy. *International Journal of Business and Management Studies*.

45. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid depression and search for a new paradigm. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 16(1), 121–125.

46. Silagadze, A., Mekvabishvili, E., Gaganidze, G., Atanelishvili, T., & Chikviladze, M. (2024). Adaptation of economic policies... *Scientific Bulletin of Mu-*

kachevo State University, 11(4), 106–119. <https://doi.org/10.52566/msu-econ4.2024.106>

47. Silagadze, A., Mekvabishvili, E., Gaganidze, G., Atanelishvili, T., & Chikviladze, M. (2024). Long-term consequences of socio-economic and tax policies... *Scientific Herald of Uzhhorod University*, (56), 2422–2433. <https://doi.org/10.54919/physics/56.2024.242wm2>

48. Tinbergen, J. (1954). *International economic integration*. Amsterdam: Elsevier. <https://repub.eur.nl/pub/15343/SECOND%20PART.PDF>

49. Venables, A. J. (2003). Winners and losers from regional integration agreements. *The Economic Journal*, 113(490), 747–761. <https://doi.org/10.1111/1468-0297.t01-1-0015>

50. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). *Contemporary international economic relations of Georgia: Monograph*. Tbilisi: Smarty. (In Georgian)

51. Veshapidze, S., Jamagidze, L., Kereselidze, L., Putkaradze, R., Daudishvili, T., Kitashvili, S., & Megreladze, G. (2025). *Georgia's European integration prospects: Monograph*. Tbilisi: Smarty. (In Georgian)

52. Veshapidze, S., Kereselidze, L., & Tsirdava, N. (2024). *Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia*. (In Georgian)

53. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(4), 152–157.

54. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). Georgia's international economic relations... *Ekonomisti*, (1), 58–69.

55. Viner, J. (1950). *The customs union issue*. Carnegie Endowment for International Peace.

56. World Bank. (2023). *The Middle Trade and Transport Corridor: Policies and Investments to Triple Freight Volumes and Halve Travel Time by 2030*

57. WIPO. (2025). *Global Innovation Index 2025*.



საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები რეგიონულ ინტეგრაციაში გლობალური გამოწვევების ფონზე

შოთა ვეშაბიძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ლელა ჯამაგაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ლევან კერესელიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

რამაზ ფუტყარაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა: თანამედროვე გლობალური კონტექსტი წარმოადგენს პოლიკრიზისულ რეალობას, რომელიც მოიცავს შეიარაღებულ კონფლიქტებს, კლიმატის ცვლილებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ არასტაბილურობას და ტექნოლოგიური უთანასწორობის ზრდას. ეს ყოველივე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული ინტეგრაციის პროცესებს, ქმნის ახალ მოთხოვნებს და შესაძლებლობებს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის ქვეყნებისათვის, როგორცაა საქართველო. ქვეყანა, რომელიც მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, განიხილავს რეგიონულ ინტეგრაციას როგორც განვითარების სტრატეგიულ გზას და გლობალურ სისტემაში საკუთარი პოზიციის განმტკიცების საშუალებას. თანამედროვე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტი, მათ შორის COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა, საქართველოსთვის წარმოშობს როგორც ახალ რისკებს, ისე თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას.

ნაშრომის მიზანი: კვლევის მიზანია, გაანალიზოს რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს ჩართულობის სტრატეგიული პრიორიტეტები ამ პროცესში. ის მიზნად ისახავს ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების მიზნობრივი მიმართულებები, რაც დაეხმარება ქვეყანას გლობალური გამოწვევების პირობებში მდგრადი განვითარების მიღწევაში. კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის ობიექტია საქართველო და მისი მონაწილეობა რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში, ხოლო საგანი — რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე ფორმები, თეორიული პარადიგმები და მათი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა საქართველოს განვითარებაზე.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი ავითარებს ინტეგრაციის თეორიების ანალიზს თანამედროვე პირობებში და იძლევა კონკრეტულ მაგალითზე (საქართველო) მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის მოდელის განხილვას. პრაქტიკულად, კვლევის შედეგებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო სტრატეგიების, ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმების და განათლების სისტემის დაგეგმვის პროცესებში. გარდა ამისა, ნაშრომი იქნება სასარგებლო აკადემიური პროგრამებისთვის, რომლებიც ეხება მსოფლიო ეკონომიკას, საერთაშორისო ურთიერთობებს და ბიზნეს ადმინისტრირებას.

შედეგები და დისკუსია: კვლევამ გამოავლინა, რომ რეგიონული ინტეგრაცია საქართველოსთვის არის ერთდროულად გამოწვევაც და შესაძლებლობაც. ქვეყნის აქტიური მონაწილეობა ისეთ პლატფორმებში,

როგორიცაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA, TRACECA, შუა დერეფანი და შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობა, იძლევა ეკონომიკური დივერსიფიკაციის, სავაჭრო ექსპანსიის, ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერების საშუალებას. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში ევროკავშირის ქვეყნების წილი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა ბოლო ათწლეულში, რაც მიუთითებს ინტეგრაციის პოზიტიურ ეკონომიკურ გავლენაზე. იმავდროულად, გამონაკვეთად რჩება: შიდა ინსტიტუციური სისუსტეები, ოკუპირებული ტერიტორიები და გლობალურ პარტნიორებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება. შრომის ბაზრის და მცირე მენარმეობის მიმართულებით რეგიონულმა ინტეგრაციამ შექმნა ახალი შესაძლებლობები, თუმცა რჩება პროფესიული განათლების გაუმჯობესების და შრომის მობილობის გაზრდის საჭიროება. ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სექტორებში მიღწეული შედეგები მიუთითებს საქართველოს პოტენციალზე გახდეს მნიშვნელოვანი კვანძი რეგიონულ ინფრასტრუქტურულ ქსელებში.

დასკვნა: რეგიონული ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს გრძელვადიანი განვითარებისა და გლობალურ სისტემაში აქტიური მონაწილეობის აუცილებელ გზას. თუმცა ამ პროცესში წარმატების მიღწევისთვის საჭიროა თანმიმდევრული ეკონომიკური სტრატეგია, ინსტიტუციური რეფორმების გაძლიერება და საზოგადოებრივი კონსენსუსი დასავლურ ინტეგრაციაზე. საქართველოს წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს იგი რესურსების ოპტიმალურად განაწილებას, გეოპოლიტიკური რისკების ეფექტიან მართვას და ინკლუზიური ეკონომიკური მოდელის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რეგიონული ინტეგრაცია, ეკონომიკური განვითარება, ევროკავშირი, გლობალური გამოწვევები, სატრანზიტო პოტენციალი, შავი ზღვის რეგიონი, ერთიანი ბაზარი, ინფრასტრუქტურული პროექტები.

შესავალი

თემის აქტუალობა. დღევანდელი მსოფლიო დინამიკურად ცვალებად, პოლიკრიზისულ რეალობაშია მოქცეული, სადაც ისეთი გლობალური გამოწვევები, როგორიცაა შეიარაღებული კონფლიქტები, კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ციფრული უთანასწორობა, გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა და სოციალური პოლარიზაცია, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ერთობლივი მოქმედების გარდაუვალ აუცილებლობას აჩვენებს. ამ პროცესების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება რეგიონული ინტეგრაცია, როგორც მრავალმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმა.

2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკაში შეინიშნება რეგიონალიზაციის და ინტეგრაციის პროცესების ახალი ტალღა. აღნიშნულ პროცესებს კიდევ უფრო მეტი სისწრაფე და მნიშვნელობა შეეძინა COVID-19-ის პანდემიის, ასევე 2022-2024 წლების გეოპოლიტიკური დაძაბულობების ფონზე (რუსეთ-უკრაინის ომი, ენერგორესურსების გადანაწილების გეოპოლიტიკა, გლობალური მიწოდების ჯაჭვების ცვლილება და ა.შ.). ამის ფონზე რეგიონული ინტეგრაციის ძველი მოდელები ცვლილების საჭიროების წინაშე დგას, ხოლო ახალი და მოქნილი თანა-

მშრომლობის ფორმები ექცევა სახელმწიფოების ინტერესის ცენტრში.

საქართველო, რომელიც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ პოზიციაზეა მოქცეული — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელ გზაზე, — რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში ჩართვას როგორც ეკონომიკური განვითარების, ისე გეოპოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად აღიქვამს. საქართველოსთვის აქტუალური გახდა არა მხოლოდ ევროპულ სტრუქტურებთან და ევროკავშირთან დაახლოება, არამედ სხვა რეგიონულ ინიციატივებში აქტიური მონაწილეობა: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC), ევრაზიული სივრცის გარკვეული ფორმატები, აზიის ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის ჩინეთის "ერთი სარტყელი, ერთი გზის" ინიციატივა. რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში საქართველოს ჩართულობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კრიტიკული ასპექტების გამო, როგორიცაა: ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმიზაცია, სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაცია, სატრანზიტო პოტენციალის რეალიზება, ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და საგარეო ინვესტიციების მოზიდვა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მკაფიოდ

განისაზღვროს ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტები გლობალურ და რეგიონულ დონეზე, რათა მაქსიმალურად იქნას ათვისებული არსებული შესაძლებლობები და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი არსებული გეოპოლიტიკური რისკები.

კვლევის სიახლე. ნარმოდგენილი კვლევა ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით აანალიზებს რეგიონული ინტეგრაციის პროცესების თანამედროვე ტენდენციებს და საქართველოს როლს ამ პროცესში. კვლევის სიახლე გამოიხატება შემდეგში: ინტეგრაციის ახალი ფორმებისა და მექანიზმების შესწავლაში; საქართველოსთვის ეკონომიკური შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში თანამედროვე რეგიონულ კონტექსტში; ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში; რეგიონული თანამშრომლობის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების შეფასებაში; ინტეგრაციის გავლენის ანალიზში საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებზე.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე თავისებურებების ანალიზი და საქართველოს მონაწილეობის პრიორიტეტების იდენტიფიცირება, რაც დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას. დასახული მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია: რეგიონული ინტეგრაციის ფორმებისა და თეორიული საფუძვლების სისტემატიზაცია; ინტეგრაციის გავლენის შეფასება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე; საქართველოს ინტეგრაციის ისტორიული და მიმდინარე პროცესების ანალიზი; საქართველოს ძირითადი პარტნიორების როლის შეფასება რეგიონულ კონტექსტში; ინტეგრაციის შესაძლებლობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ეფექტიანობის შეფასება: სავაჭრო ურთიერთობები, FDI, ინფრასტრუქტურა; ინტეგრაციის მომავალი ტენდენციების ანალიზი და სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის ობიექტია საქართველო და მისი ჩართულობა რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში. კვლევის საგანს კი შეადგენს რეგიონული ინტეგრაციის თანამედროვე თავისებურებები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ნაშრომში გამოყენებული იქნება მრავალმხრივი მეთოდოლოგიური მიდგომა: თეორიული ანალიზი – ინტეგრაციის ძირითადი თეორიების და პარა-

დიგმების შესასწავლად; დოკუმენტური კვლევა – ოფიციალური შეთანხმებებისა და ორგანიზაციების ანგარიშების საფუძველზე; სტატისტიკური ანალიზი – მონაცემების გამოყენება ინტეგრაციის ეფექტურობის შეფასებისთვის; კომპარატიული ანალიზი – საქართველოს შედარება სხვა რეგიონულ სახელმწიფოებთან. კვლევის მნიშვნელობა. თეორიული თვალსაზრისით ნაშრომი შეავსებს რეგიონული ინტეგრაციის თეორიულ ბაზას საქართველოს მაგალითზე და გააფართოებს ნარმოდგენას თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის ტრანსფორმაციის შესახებ. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს: საქართველოს საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვაში; რეგიონულ და საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქვეყნის ინტერესების უკეთ წარმოსაჩენად; საგანმანათლებლო და აკადემიური დისციპლინების სწავლების პროცესში (მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ბიზნესი და სხვ.).

1. რეგიონული ინტეგრაციის თეორიული საფუძვლა. ეკონომიკური ინტეგრაციის სარგებელი

რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა. ის გულისხმობს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პროცესს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ დონეზე, რაც მიზნად ისახავს საერთო ინტერესების გარშემო რესურსების კონსოლიდაციასა და განვითარების საერთო სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

რეგიონული ინტეგრაცია მრავალგანზომილებიანი ცნებაა და მისი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, თუ როგორ ვაკვირდებით მას — ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული თუ კულტურული ჭრილიდან. მისი ძირითადი მიზნებია: ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა (ეკონომიების მასშტაბის პრინციპზე დაყრდნობით); ვაჭრობის ხელშეწყობა და საბაჟო ბარიერების შემცირება; ინვესტიციების მოზიდვა და ახალი ბაზრების ათვისება; გეოპოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცება; რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფა (გუროვა, 2014). რეგიონული ინტეგრაციის შესახებ მეცნიერებაში არსებობს ორი ძირითადი მიდგომა: ეკონომიკური მიდგომა — ინტეგრაციას განიხილავს, როგორც თავისუფალი ვაჭრობის და საბაჟო კავშირის შექმნის პროცესს (კლასიკური ლიბერა-

ლური ეკონომიკური თეორიების საფუძველზე); პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომა — აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელზე, არამედ ინტეგრაციის პოლიტიკურ ასპექტებზე: გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებზე, სუვერენიტეტის საკითხსა და საერთო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე.

რეგიონული ინტეგრაციის თეორიები ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გაჩნდა საჭიროება საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების გამონახვისა. გამოირჩევა ბელასასა და ვაინერის თეორიები. ჯ. ვაინერმა პირველმა შეიმუშავა "ვაჭრობის გადანაცვლებისა" (trade creation) და "ვაჭრობის გადართვის" (trade diversion) ცნებები. ვაინერის მოდელი სტატიკურია - წარმოების ფაქტორები, ტექნოლოგია და ცოდნა, ასევე, გემოვნება და სხვა ეკონომიკური ცვლადები მის მოდელში მუდმივია. ის საბაჟო კავშირის ფარგლებში ვაჭრობის შექმნისა და ვაჭრობის გადართვის ეფექტებს ახასიათებს. ვაჭრობის შექმნა ნაკლებად ეფექტიანი სამამულო დარგებიდან საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების მეტად ეფექტიანი დარგებისკენ ვაჭრობის გადანაცვლებას უკავშირდება, ხოლო ვაჭრობის გადართვა მაღალეფექტიანი მესამე ქვეყნების დარგებიდან წევრი ქვეყნების ნაკლებად ეფექტიანი დარგების მიმართულებით ვაჭრობის გადანაცვლებაა. სარგებლისა და დანაკარგების შეფასება სწორედ ამ ორი ეფექტის შეჯერებით ხდება. (Viner,1950).

მისგან განსხვავებით, ბ. ბალასას მოდელი ეკონომიკური ინტეგრაციის წარმოაჩენს როგორც დინამიკურ პროცესს, როდესაც ქვეყნები მოტივირებული არიან თანდათანობით გააღრმავონ ეკონომიკური ინტეგრაცია სავაჭრო ინტეგრაციიდან პოლიტიკურ ინტეგრაციამდე. ეს მოდელი შესაძლებლობას იძლევა გაანალიზდეს ინტეგრაციის მრავალმხრივი მიმართულებები, როგორც ეკონომიკური, ისე ინსტიტუციური და პოლიტიკური, ამასთან, შეფასდეს ამ პროცესში პოლიტიკის კოორდინაციის როლი და მისგან გამომწვეული არაერთგვაროვანი შედეგებიც. (Balassa,1961).

ნეოფუნქციონალიზმი წარმოადგენდა რეაქციას ფუნქციონალიზმის ნაკლებობაზე. ე.ჰაასის მტკიცებით, ინტეგრაცია იწვევს "გადაღინების ეფექტს" (spill-over effect) – ეკონომიკური ინტეგრაცია მექანიკურად გადადის პოლიტიკურ ინტეგრაციაზე. (Haas,1970).

ლიბერალური ინტეგრაციის მოდელელები აქცე-

ნტი კეთდება ინსტიტუციური ჩართულობის, ღია ბაზრების, სამართლებრივი ჩარჩოების გაძლიერების და დემოკრატიული პროცესების სინერგიაზე. ევროკავშირი აღიქმება როგორც ასეთი ტიპის წარმატებული მაგალითი. (Masclanis, 2025).

რეალისტური თეორიები ინტეგრაციას განიხილავენ, როგორც სახელმწიფოების ძალაუფლების ბალანსის ინსტრუმენტს და არა მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გზას. დღეს მნიშვნელოვანია ახალი რეგიონალიზმი და ტრანსრეგიონალიზმი. ცივი ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა ახალი რეგიონალიზმის ტალღა – ინიციატივები, რომლებიც არ ეფუძნებოდა მხოლოდ ეკონომიკურ უპირატესობებს, არამედ ითვალისწინებდა პოლიტიკური, უსაფრთხოების, კულტურული, ეკოლოგიური და გლობალური მმართველობის საკითხებსაც. ახალი რეგიონალიზმისთვის დამახასიათებელია: რეგიონული ინიციატივების მრავალმხრივობა და არაიერარქიული ბუნება; კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა; გლობალიზაციასთან ადაპტაციის მცდელობა, და არა მისგან თავის დაღწევა. ტრანსრეგიონალიზმი კი წარმოადგენს პროცესს, როდესაც რეგიონული ინტეგრაცია სცდება ერთი რეგიონის გეოგრაფიულ საზღვრებს და ცდილობს სხვადასხვა რეგიონის დაკავშირებას საერთო პროექტებისა და პლატფორმების საფუძველზე (მაგ., „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, „ბრიკსი“ (BRICS), რომელიც ამჟამად უკვე ათ ქვეყანას აერთიანებს და სხვა).

რეგიონული ინტეგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაზე, რადგან ცვლის ვაჭრობის გეოგრაფიულ სტრუქტურას; ქმნის ახალ სატრანზიტო დერეფნებსა და ენერგეტიკულ ალიანსებს; აჩენს კონკურენტულ ზონებს და ნორმატიულ განსხვავებებს; გავლენას ახდენს გლობალურ ძალთა ბალანსზე. რეგიონული ინტეგრაცია ასევე გარდაქმნის მსოფლიო ეკონომიკის მმართველობის სტრუქტურებს: რეგიონული გაერთიანებები ხშირად იქცევიან გლობალური მოლაპარაკებების სუბიექტებად (მაგ., EU, WTO-ში, ან ASEAN საგარეო ვაჭრობის მოლაპარაკებებში).

ეკონომიკური ინტეგრაციის გავლენის შედეგები უკავშირდება იმას, თუ რა სახის ცვლილებები მოხდება ვაჭრობის მიმართულებებში, წარმოების სპეციალიზაციის სტრუქტურაში, მსპ-ს ზრდაში, კონკურენციაში, ამოქმედდება თუ არა მასშტაბის ეფექტი და ვაჭრობის პირობების ცვლილება იქნება



თუ არა დადებითი. ინტეგრაციით გამოწვეული სარგებელი, უმთავრესად, შემდეგ მაჩვენებლებში ვლინდება:

1. საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდა – ინტეგრაციის ფარგლებში ტარიფებისა და არასაბაჟო ბარიერების შემცირება უწყობს ხელს ექსპორტისა და იმპორტის და მთლიანად სავაჭრო ბრუნვის ზრდას. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მნიშვნელოვნად ზრდიან ორმხრივ სავაჭრო ნაკადებს, რაც ეტაპობრივად, დროთა განმავლობაში მიიღწევა.

2. მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავება – ქვეყნები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს შემთხვევითად არ ქმნიან, არამედ ერთიანდებიან იმ პარტნიორებთან, ვისთანაც უკვე აქვთ მჭიდრო სავაჭრო და სტრატეგიული თანამშრომლობა (Baier & Bergstrand, 2007). რეგიონული ინტეგრაციის შედეგად, ნევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო დამოკიდებულება იზრდება. ეს აისახება ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებით და კონკრეტული რეგიონების წილის ზრდით საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობაში.

3. ინვესტიციების მოზიდვა – ინტეგრირებული ბაზარი, სტაბილური მარეგულირებელი გარემო და საერთო წესების მოქმედება ქმნის ხელსაყრელ პირობებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ზრდისთვის. ამის ეკონომიკური სარგებელი გამოიხატება როგორც ინვესტიციების მოცულობის ზრდით, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნითა და ტექნოლოგიური ტრანსფერით.

4. პროდუქტიულობის გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდა – როგორც წესი, ეკონომიკურ ინტეგრაციას რესურსების უკეთესი განაწილება და ტექნოლოგიების ტრანსფერი მოჰყვება. Baldwin-ი (2016) აჩვენებს, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა მონივნვე ეკონომიკებისგან აითვისეს ტექნოლოგიური და მმართველობითი ცოდნა, რამაც მათ მწარმოებლურობის გაუმჯობესებისა და უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე დარგების განვითარების საშუალება მისცა. გაღრმავებული ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში ბაზარი მცირე დარგებს ზრდის შესაძლებლობას უქმნის, ხოლო არაეფექტიან დარგებს განდევნის, მომხმარებელს კი საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ეფექტიანობაზე დაფუძნებული კონკურენცია წარმოების ხარჯებზე, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების თვისებრივ გაუმჯობესებაზე აისახება და საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას

განაპირობებს. ემპირიულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით Wacziarg and Welch (2008) ასაბუთებენ, რომ ინტეგრაცია ვაჭრობის გახსნით ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესების წინაპირობებს ქმნის. ეს ძირითადად მიიღწევა რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილებითა და სექტორული ძვრებით. Grossman & Helpman (1991) მიხედვით ლიაობა საერთაშორისო კავშირებით ცოდნის გადადინებას უზრუნველყოფს, რაც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. Venables (2003) ხაზს უსვამს, რომ მართალია, რეგიონული ინტეგრაცია დარგების მიხედვით მოგებულ და დაზარალებულ ჯგუფებს წარმოშობს, ის ეკონომიკის საერთო ეფექტიანობას და მწარმოებლურობას აუმჯობესებს შრომისა და კაპიტალის ოპტიმალური განაწილების შედეგად.

5. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტეგრაცია რეგიონულ ბაზარზე – ინტეგრაციის შედეგად, მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) იღებენ შესაძლებლობას, ჩაერთონ რეგიონულ ღირებულების ჯაჭვებში. ეს უზრუნველყოფს მათ ზრდასა და განვითარებას, რასაც ადასტურებს სექტორში ბრუნვის, დასაქმებისა და ექსპორტის მაჩვენებლების ზრდა.

6. სოციალური და ინფრასტრუქტურული განვითარება – რეგიონული თანამშრომლობა ხშირად მოიცავს ტრანსპორტულ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, რაც აუმჯობესებს ლოგისტიკურ კავშირებს და ზრდის რეგიონულ ინტეგრირებულობას. ამასთან, ინტეგრაცია ხელს უწყობს განათლების, შრომითი მობილობისა და ინოვაციების დონის ამაღლებას.

7. ფინანსური ბაზრების განვითარება – ეკონომიკური ინტეგრაცია ფინანსური ბაზრების ურთიერთკავშირს აღრმავებს და ქმნის დამატებით სარგებელს კაპიტალის მეტი მობილურობის, ფინანსური რისკების გადანაწილებისა და ეკონომიკური მოქნილობის სახით. სარგებელი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გრძელვადიან პერიოდში რისკების გადანაწილებას, რაც Colacito & Croce (2010) შეფასებით, სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოხმარების დაახლოებით 10%-ს შეადგენს. Lane (2008) მიხედვით, რეგიონული ბლოკებს, როგორებიცაა EU და ASEAN მაღალი შიდა რეგიონული ფინანსური ინტეგრაციის დონე აქვთ, ვიდრე იმ ქვეყნებს, რომლებიც ბლოკების წევრი არ არიან. ეს აუმჯობესებს როგორც კაპიტალის განაწილებას, ისე სამამულო შოკებზე რეაგირების უნარს.

8. მონეტარული და ფისკალური სტაბილურობის ხელშეწყობა – ინტეგრაციის მაღალი დონე შესაძ-

ლოა გულისხმობდეს მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციას ან ერთიან ვალუტას, რაც ამცირებს ინფლაციური რყევების რისკს და უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას (De Grauwe. 2018).

საერთო ჯამში, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი გამოიხატება მაკროეკონომიკური და სექტორული მაჩვენებლების გაუმჯობესებით, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების საფუძველს ქმნის.

რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელობა საქართველოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარების სხვადასხვა ასპექტზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, ინტეგრაციული პროცესები უწყობენ ხელს ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური სისტემების გაძლიერებას, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლებას. ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს საქართველოს გეოპოლიტიკური მოქმედების არეს გაფართოებას და მისი როლის გაძლიერებას საერთაშორისო არენაზე. გარდა ამისა, რეგიონული ინტეგრაცია ქმნის ხელსაყრელ პირობებს რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის მხარდასაჭერად. ინტეგრაცია ასევე წარმოადგენს იდენტობის კონსოლიდაციისა და კულტურული თვითმყოფადობის განვითარების მნიშვნელოვან რესურსს. ის უზრუნველყოფს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს როგორც კულტურის, ისე ტურიზმის სფეროების დინამიკურ განვითარებას. (Masclanis, 2025).

ამრიგად, რეგიონული ინტეგრაცია საქართველოსათვის არა მხოლოდ გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტის ინსტრუმენტს წარმოადგენს, არამედ მის სტრატეგიულ ინტერესებში შედის ეროვნული იდენტობის გამტკიცება და კულტურული რესურსების მდგრადი განვითარება.

2. გლობალური და რეგიონული გამოწვევები XXI საუკუნეში - ეკონომიკური ინტეგრაციის ახალი კონტექსტი

გლობალური კრიზისები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონულ ინტეგრაციაზე. XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკამ რამდენიმე მასშტაბური სისტემური შოკი გადაიტანა, რომლებმაც არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკური

პოლიტიკის პრიორიტეტები შეცვალა, არამედ სერიოზულად დააზიანა რეგიონული ინტეგრაციის პროცესების ტემპი და ხარისხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი - გლობალური ფინანსური ინსტიტუტების (განსაკუთრებით ბანკების) გაუმართაობამ აჩვენა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების რისკები. ქვეყნების ნაწილმა დაიწყო პროტექციონისტური პოლიტიკისკენ მიბრუნება (მექვაბიშვილი, 2021), რაც ეწინააღმდეგებოდა ღია ინტეგრაციის პრინციპებს; COVID-19 პანდემია (2020-2022 წწ.) გლობალური ჯანდაცვის კრიზისი გადაიზარდა ლოჯისტიკურ, ენერგეტიკულ და წარმოების შოკად (Silagadze et al, 2022). ქვეყნებმა დროებით დაკეტეს საზღვრები, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახა რეგიონულ კავშირზე, სადაც მიმოსვლა კრიტიკულ როლს ასრულებს. რეგიონულ დონეზე საჭირო გახდა სწრაფი ადაპტაცია და ახალი თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბება (მაგ. ევროკავშირის ფარგლებში საერთო ვაქცინაციის პოლიტიკა); რუსეთ-უკრაინის ომი (2022-დან დღემდე) - ეს გეოპოლიტიკური კონფლიქტი განსაკუთრებული გავლენით მოქმედებს ევრაზიულ რეგიონზე და, შესაბამისად, საქართველოზეც. შავი ზღვის უსაფრთხოების გაუარესება, ლოგისტიკური მარშრუტების ცვლილება და ახალი ენერგეტიკული პარტნიორობის საჭიროება ცვლის რეგიონული ინტეგრაციის პრიორიტეტებს. ეს კრიზისები მიუთითებს, რომ გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, რეგიონული ინტეგრაცია შეუძლებელია იყოს სტატიკური და ინერციული პროცესი. საჭიროა მორგება ახალ რეალობასა და რისკებთან.

რეგიონულ ინტეგრაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური დაძაბულობები და ეკონომიკური ტრანსფორმაცია. გლობალური კონკურენციის ახალი ერა, განსაკუთრებით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დაპირისპირებაში, ასახვას პოულობს რეგიონულ ინტეგრაციაშიც. გეოპოლიტიკური დაძაბულობები მრავალჯერ ინვესტს რეგიონული კავშირების რევიზიას ან ინტეგრაციული პროცესების შენელებას. მაგალითად: რუსეთის იზოლაციამ დასავლური სამყაროდან და EU-ს მიმართ პოლიტიკური უნდობლობის ზრდამ ამ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხი შეასუსტა; ჩინეთის "ერთი სარტყელი, ერთი გზის" ინიციატივამ გამოიწვია ახალი ეკონომიკური ბლოკების და ინფრასტრუქტურული ალიანსების ჩამოყალიბება



ევრაზიულ რეგიონში; ევროკავშირმა, BREXIT-ის შემდეგ, ინტეგრაციის უფრო ღრმა მოდელი აირჩია შიდა კონსოლიდაციისთვის. ეკონომიკური ტრანსფორმაცია მოიცავს ასევე: მწარმოებლობის გადანაწილებას აზიის ქვეყნებისკენ; ციფრული ეკონომიკის გაძლიერებას და რეგიონულ პლატფორმებზე დამყარებულ თანამშრომლობას; ენერგეტიკული პოლიტიკის გადახედვას — ენერგორესურსებზე წვდომა ხდება გეოპოლიტიკური თამაშის ინსტრუმენტი.

კლიმატური გამოწვევები და ენერგეტიკული ტრანზიცია მნიშვნელოვანი ფაქტორები ხდება რეგიონული ინტეგრაციის დღის წესრიგში. ახალი „მწვანე პოლიტიკები“, როგორიცაა: ევროკავშირის მწვანე შეთანხმება (Green Deal); დეკარბონიზაციის მიზნები მსოფლიო მასშტაბით; ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული ინიციატივები. ეს „პოლიტიკები“ ქმნიან აუცილებლობას, რომ რეგიონული ინტეგრაციის ფარგლებში ქვეყნები უკეთ კოორდინირდნენ რესურსების მართვასა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებში. ენერგეტიკული თანამშრომლობა ხდება ერთ-ერთი მთავარი მიმართულება – მაგ., საქართველო მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს შავი ზღვის ენერგეტიკულ პროექტებში (მაგ. „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი“). ამავე დროს, ენერგორესურსებზე დამოკიდებული რეგიონების (მაგ. EEU ან კასპიისპირა ქვეყნები) დამოკიდებულება რუსეთზე ან სპონტანურ ბაზარზე ზრდის არასტაბილურობის რისკებს. ამიტომ ენერგეტიკული დივერსიფიკაცია და განახლებადი ენერგიის განვითარება ხდება ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება.

რეგიონული ინტეგრაციის ამგვარი შენელების პირობებში გაჩნდა რეფორმირების საჭიროება. თანამედროვე გამოწვევების ფონზე ტრადიციულმა რეგიონულმა ინტეგრაციულმა პლატფორმებმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური პრობლემები აჩვენა: რეგიონული გაერთიანებების (მაგ., EEU, ECOWAS, MERCOSUR) არათანაბარი განვითარება; პოლიტიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის სირთულე; გარე საფრთხეების მიმართ არასაკმარისი რეაგირება. ამის შედეგად მიმდინარეობს პლატფორმების რეფორმირების და განახლების პროცესები. ახალი მიდგომები მოიცავს: მოდულური ინტეგრაციის მოდელს („საერთო ბაზარი–მაშინ, როცა ქვეყნები ირჩევენ ჩართულობის დონეს“); ინტეგრაციის ფუნქციური მიდგომა (კონკრეტულ სექტორებზე – ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ციფრული პოლიტიკა); მულტივექტორუ-

ლობა – ერთი ქვეყნის ჩართულობა ერთდროულად რამდენიმე რეგიონულ ინიციატივაში.

განხილული ტენდენციები ცხადყოფს, რომ რეგიონული ინტეგრაცია მომავალშიც შეინარჩუნებს მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში, თუმცა მისი ფორმა და შინაარსი იცვლება. მას სჭირდება მეტი მოქნილობა და ადაპტაციის უნარი, ინკლუზიურობა და მდგრადი განვითარებაზე ორიენტირებულობა, ასევე კონცენტრირება კონკრეტული მიმართულებების გაძლიერებაზე, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ვაჭრობა და უსაფრთხოება. ამ პროცესების ფონზე საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სწორი პლატფორმებისა და სტრატეგიული პარტნიორობების შერჩევა, რაც გაზრდის ეროვნული ინტერესების დაცვისა და განვითარების შესაძლებლობებს.

3. ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის მაჩვენებლების ანალიზი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურისა და დინამიკის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია. ორი უდიდესი ბაზარი, რომლებთანაც საქართველოს აქვს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები ევროკავშირი და ჩინეთია. ამ შეთანხმებების ამოქმედებამდელი, წინასწარი ანალიზისა და ამოქმედების შემდგომი, ფაქტობრივად მიღწეული შედეგების შედარებით შესაძლებელია როგორც მიღებული მოგებების დადგენა, ისე გამოწვევების იდენტიფიცირება. DCFTA-ს წინასწარი კვლევების მიხედვით, რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი იყო მოსალოდნელი, კერძოდ, ტარიფების ლიბერალიზაციისა და ბაზარზე გაზრდილი წვდომის შედეგად, ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის ზრდა; სტრუქტურული ცვლილებები, ბიზნესის მოდერნიზაცია და საქონლის ხარისხის ამაღლება; რეგულირების სფეროში ჰარმონიზაცია და მაკროეკონომიკური მოგებები გაზრდილი ექსპორტისა და მწარმოებლურობის გამო (Adarov et al., 2015) გრძელვადიან პერსპექტივაში, ნავარაუდევია იყო მთლიანი სამამულო პროდუქტის 4.3%-ით ზრდა. ასევე, ექსპორტის 12%-ით და იმპორტის 7.5%-ით ზრდა, რაც საქართველოს სავაჭრო ბალანსზე გაუმჯობესების მიმართულებით იმოქმედებდა. არსებობდა, ასევე, საშუალო ხელფასის 3.6-პროცენტიანი ზრდის და სამომხმარებლო ინდექსის 0.6% კლების პროგნოზი (European Commission, 2012).

DCFTA-ს ამოქმედებიდან 10 წლის შემდეგ, 2024 წლისთვის ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი დაახლოებით 46%-ით არის გაზრდილი, იმპორტი იმატებდა გაცილებით სწრაფად და ის გაზრდილია, დაახლოებით, 146%-ით, რაც, ფაქტობრივად, ევროკავშირთან სავაჭრო დეფიციტის გაღრმავების მიზეზია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს ევროკავშირთან ვაჭრობა საქართველოს მთლიანი ვაჭრობის 22%-ს შეადგენდა, ამ ხნის განმავლობაში საქონლის ექსპორტი აბსოლუტური გამოსახულებით გაიზარდა და 6.56 მლრდ დოლარს მიაღწია, ხოლო საგარეო ვაჭრობა გაიზარდა დაახლოებით 2.5-ჯერ. თუ 2013 წელს ექსპორტისა და იმპორტის ჯამური მაჩვენებელი ევროკავშირთან შეადგენდა დაახლოებით 1.8 მლრდ აშშ დოლარს, 2023 წლის ბოლოსთვის ეს იყო 4.5 მლრდ აშშ დოლარი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) სტრუქტურაში ევროკავშირის წილი მუდმივად მაღალია – 2023 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციები შეადგენდა მთლიანი FDI-ს დაახლოებით 43%-ს. ძირითადი ინვესტიორები ევროკავშირში არიან ნიდერლანდები, გერმანია, საფრანგეთი და ჩეხეთი, რომლებიც უმეტესად ხორციელებენ ინვესტიციებს ენერგეტიკის, ფინანსური მომსახურებისა და მწარმოებელი ინდუსტრიის სექტორებში.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირთან ვაჭრობა სტრუქტურულად რჩება კონცენტრირებული რამდენიმე სასაქონლო კატეგორიაზე. ამდენად, სტრუქტურული ტრანსფორმაციის თვალსაზრისით DCFTA-ს გავლენა შეიძლება შეფასდეს როგორც სუსტად გამოხატული. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ჰარმონიზაცია, რაც სრულად ვერ მოხერხდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედი ფირმების უდიდესი ნაწილი არის მცირე და საშუალო ბიზნესი, მათი ტექნოლოგიური და სტრუქტურული მოდერნიზაცია უმნიშვნელოვანესია თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობებით სარგებლობისთვის, ასევე, ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის. რაც შეეხება ინვესტიციების ნახალისებას, DCFTA-ს ჩარჩოში თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობასთან ერთად, მისი მთავარი ფაქტორია მარეგულირებელი გარემოს პროგნოზირებადობა (Jamagidze, 2019), ზოგიერთ სექტორში გაიზარდა აქტივობა, როგორებიცაა სასურსათო, ლოგისტიკური და ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები, მაგრამ

აგრეგირებულ დონეზე შედეგები მოსალოდნელზე სუსტად გამოხატული აღმოჩნდა.

საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ძალაშია 2018 წლიდან. წინასწარი შეფასებებით, მის ამოქმედებას უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ჩინეთში ექსპორტი ზრდა 9%-ით, ხოლო იმპორტის ზრდა 1.69%-ით (PMCG, 2015). გრძელვადიან პერიოდში კი ნავარაუდები იყო საქართველო-ჩინეთის ვაჭრობის გაორმაგება (Fuenfzig, 2016). იმპორტიდან საგადასახადო შემოსავლების შემცირება 0.5%-ით, ხოლო სატარიფო შემოსავლების შემცირება 11.7%-ით. ასევე, საქართველოს მსპ-ს უმნიშვნელოდ, 0.05%-ით უნდა გაზრდილიყო. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას განსაკუთრებით დიდი ეფექტი უნდა ჰქონოდა ისეთ დარგებზე, როგორებიცაა ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, საფეიქრო წარმოება და მანქანა-მონყობილობები.

შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, მიმდინარე მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, მთლიან ვაჭრობაზე მისი გავლენა დადებითი იყო. ჩინეთთან ექსპორტი და იმპორტი გაიზარდა, კერძოდ 2020 წელს საქართველოს ექსპორტმა ჩინეთში 477.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია და ჩინეთი საქართველოს მონინავე საექსპორტო ბაზარი გახდა, თუმცა 2023-დან 2024 წლებში ექსპორტის კლება დაფიქსირდა და შეადგინა 303.1 მლნ დოლარი. რაც შეეხება იმპორტს, ის ყოველწლიურად იზრდება და 2018 წელთან შედარებით 93%-ით არის გაზრდილი. ამდენად, საქართველო-ჩინეთის ვაჭრობის გაზრდა იმპორტის ზრდის წილად მოდის და საქართველოს სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებით ხასიათდება განსახილველ პერიოდში. 2024 წელს სავაჭრო ბრუნვა 1.92 მლრდ დოლარს გაუტოლდა, რაც 17%-იან ზრდას ნიშნავს წინა წელთან შედარებით. ჩინეთი სიდიდით მეოთხე სავაჭრო პარტნიორი გახდა, დაახლოებით საქართველოს ვაჭრობის 8.2%-იანი წილით. (წყარო: საქსტატი).

ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების უპირატესობა დიდ აზიურ ბაზრებთან გაზრდილი წვდომაა. ჩინეთის შეთხვევაშიც მთავარ გამოწვევად რჩება სავაჭრო დეფიციტი და არახელსაყრელი სავაჭრო სტრუქტურა, რომელშიც საქართველო დაბალი დამატებული ღირებულების მქონე ექსპორტით და სამრეწველო საქონლის იმპორტით არის წარმოდგენილი. ნათელია, რომ საქართველოსთვის ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესობებით სარგებლობა დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ისეთ თანმდევ ნაბიჯებზე, როგორებიცაა სამრეწველო პოლიტიკა საექსპორტო დარგების ხელშეწყობისთვის და



დარგების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია.

მსპ-ში საქართველოს ექსპორტის წილისა და საგარეო ვაჭრობის წილის დინამიკა 2010-2024 წლებში გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საგარეო კავშირები და ინტეგრაცია გაღრმავდა. 2010 წლიდან საქართველოს საგარეო ვაჭრობის კვოტა საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე მაღალი იყო და 80%-ს აღემატებოდა, ხოლო 2014 წლის შემდეგ მისი ზრდა უფრო დაჩქარდა და 2019 წლისთვის 117%-ს მიაღწია. ამავე პერიოდში საქსპორტო კვოტა 35%-დან 54%-მდე გაიზარდა. ამდენად, სტრუქტურულად საქართველოს ეკონომიკა საგარეო სავაჭრო კავშირებზე მაღალ დამოკიდებულებას ავლენს, რაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მისი საკვანძო ფუნქციების შემდგომი გაძლიერების და ღირებულების გლობალურ ჯაჭვში ინტეგრირების გაღრმავების აუცილებლობას უსვამს ხაზს. გეოსტრატეგიული უპირატესობის სრულფასოვანი გამოყენება რეგიონული ინტეგრაციის ფარგლებში ქვეყნის როლის განმტკიცების მთავარი ფაქტორია.

4. საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები რეგიონული ინტეგრაციის პროცესში

საქართველო ღია სავაჭრო პოლიტიკით და რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებებში აქტიური ჩართულობით ეკონომიკური ინტეგრაციის სარგებლის მაქსიმიზაციას ცდილობს. მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესების განვითარების დაგროვილი გამოცდილება მოწმობს, რომ ინტეგრაციის სავაჭრო და კეთილდღეობის სარგებელი არაა ერთმნიშვნელოვნად გარანტირებული (Freund and Ornelas, 2010). ის დამოკიდებულია როგორც ქვეყნის მახასიათებლებზე, ისე რეგიონული შეთანხმების სიღრმეზე, შინაარსსა და დანერგვის თავისებურებებზე. სარგებლისა და დანაკარგების თვალსაზრისით უწინარესად, მნიშვნელობა აქვს ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს. ინტეგრაციის სანჯის ეტაპზე შედარებით სუსტ ქვეყნებს დამატებითი ეკონომიკურ და ინსტიტუციური მხარდაჭერა სჭირდებათ პარტნიორი ქვეყნების მხრიდან. ამასთან, რაც უფრო სუსტი ეკონომიკის მქონეა მონაწილე ქვეყანა, მით უფრო დიდია საფრთხე იმისა, რომ ის დარჩეს კონცენტრირებული დაბალი დამატებული ღირებულების სექტორებზე და პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდით საკმარისად ვერ ისარგებლოს (Felipe et al, 2014). რეგიონული ინტეგრაციის პროცესში საქართველოს როლისა და სტრატეგიული პრიორიტეტების

შესასწავლად, აუცილებელია რამდენიმე ძირითადი მიმართულების განხილვა: საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება რეგიონულ დონეზე; ქვეყნის ჩართულობა რეგიონულ ორგანიზაციებსა და ინიციატივებში და იმ პრიორიტეტების გამოვლენას, რომლებიც საქართველოს რეგიონულ ინტეგრაციაში წარმოადგენს; ასევე იმ მთავარი დაბრკოლებების გაანალიზებას, რომლებიც ქვეყანას რეგიონული თანამშრომლობის გზაზე ექმნება.

1949 წლის მარტში მთავრობამ ქნესეთს წარუდგინა თავისი პროგრამა. მასში ნათქვამი იყო, რომ ის მოახდენდა ყველა ბუნებრივი რესურსის, წყლისა და ყველა იმ სერვისის ნაციონალიზაციას, რომელზეც ქვეყნის თავდაცვა იყო დამოკიდებული. ასევე ნათქვამი იყო, რომ შეეცდებოდა მოსახლეობის გაფანტვას. ამ პროგრამის საფუძველზე, მთავრობამ შექმნა რამდენიმე სახელმწიფო საწარმო ნეგევეში ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად. მან ასევე შეიძინა მათი კერძო მფლობელებისგან როგორც „პოტაშის“ კომპანია (the Potash company), ასევე ელექტროენერგიის კორპორაცია (the electricity corporation). მთავრობამ ასევე დააარსა მრავალი სხვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფირმა. თუმცა, ოფიციალური განცხადებების მიუხედავად, მთავრობამ არ შეიძინა „ჰისტადრუტის“ (the Histadrut) კუთვნილი წყლის კომპანია (the water company), თუმცა სახელმწიფომ დააფინანსა ახალი წყლის პროექტების ლომის წილი. სახელმწიფომ ასევე შექმნა რამდენიმე ფირმა ებრაულ სააგენტოსთან (the Jewish Agency) და „ჰისტადრუტთან“ თანამშრომლობით (მაგალითად, ისრაელის ავიახაზები [the Israeli airline]).

განვითარების მიზნებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობისა და წყლის განვითარების პროექტებზე დაიხარჯა. მაგალითად, 1952-53 წლებში სოფლის მეურნეობა და წყალმომარაგების განვითარება ბიუჯეტის 56 პროცენტს შეადგენდა, წარმოებაზე გამოყოფილ 11 პროცენტს მიმართებით. ეს ბიუჯეტი ძირითადად აშშ-ის ExIm ბანკის სესხიდან და 1951 წლიდან აშშ-ის საფონდო ბირჟაზე მიმოქცევაში არსებული ისრაელის მთავრობის ობლიგაციებიდან მიღებული თანხებიდან დაფინანსდა. ათიათასობით ახალი იმიგრანტი მიიღეს მრავალ ახალ სასოფლო-სამეურნეო დასახლებაში. ეს დასახლებები მოშავიმი

სახელით იყო ორგანიზებული, იმავე პრინციპების საფუძველზე, რომლებიც 1921 წელს შეიმუშავეს იდეოლოგებმა. ახალი იმიგრანტები ახალ მოშავიში (მხ. მოშავი ებრ.: *מיש*, ზ, მრ. მოშავიმი ებრ.: *מיש*. ზ. 'ם – კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო სოფლები/დასახლებები ისრაელში) განთავსდნენ და მიიღეს ფართო დახმარება და გაიარეს გადამზადება. როგორც მათ პოლიტიკურ კუთვნილებას, ასევე სამართლებრივ ორგანიზაციულ ფორმას ცენტრალური დამგეგმავები კარნახობდნენ. მაგალითად, ახალი მოსახლეების 10 პროცენტი რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის წევრებად ითვლებოდა. დანარჩენი ნაწილი ჰისტადრუტის მოშავიმს ეკუთვნოდა.

საჯარო სექტორის აქტივობის ძალიან მაღალმა დონემ გამოიწვია ამავე სექტორში მოთხოვნის ჭარბი რაოდენობა და ეკონომიკის აყვავება. საჯარო სექტორში მოთხოვნის ჭარბი რაოდენობა ინფლაციურ ზენოლასა და ასევე, თავდაცვისა და იმიგრაციის მიზნით ძირითადი საჭიროებების მიღმა იმპორტის ზრდას იწვევდა, მაშინ როცა ექსპორტი არ გაზრდილა.

1951 წლის ბოლოსთვის ახალგაზრდა სახელმწიფო მწვავე უმუშევრობას განიცდიდა. გარდა ამისა, მრავალი იმიგრანტი ჯერ კიდევ დროებით თავშესაფრებში ცხოვრობდა. უფრო მეტიც, აშშ-ს მცირე გრანტების, ებრაული დახმარებისა და სხვადასხვა სესხების მიუხედავად, უცხოური ვალუტის დეფიციტი მწვავე იყო. სახელმწიფო სექტორის მაღალმა აქტივობამ ძლიერი ინფლაციური ზენოლა შექმნა და ფასების კონტროლმა ეს ინფლაცია ვერ შეამცირა – მან მხოლოდ შავი ბაზრის ბუმი გამოიწვია. 1952 წლის თებერვალში, არჩევნების შემდეგ, რომელშიც მემარჯვენე (ფრთის) მთავარმა სიონისტებმა გააფართოვეს თავიანთი ძალაუფლება, ლეიბორისტულმა მთავრობამ გამოაცხადა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (მას შემდეგ რამდენიმე „ახალი“ ეკონომიკური პოლიტიკა გამოცხადდა). ამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, მთავრობამ ინფლაციის დაფინანსებაზე უარის თქმის დაპირება გასცა: მან ვალუტა (ეტაპობრივად) 0.36 ისრაელის ფუნტიდან 1.8 ისრაელის ფუნტამდე გააუფასურა აშშ დოლართან მიმართებაში. დევალვაციების ეს სერია იყო ისრაელის ვალუტის დევალვაციის ხანგრძლივი ისტორიის ერთ-ერთი მცირერიცხოვანი წარმატებული მცდელობებიდან. ეს დიდწილად იმიტომ მოხდა, რომ მთავრობამ წარმატებით შეამცირა საზოგადოების ჭარბი მსყიდველობითი უნარი. მან შეზღუდა კერძო კრედიტები და

გააუქმა ფასების კონტროლის ზოგიერთი პუნქტი. ამ ნაბიჯების შედეგად, დაბალი ინფლაცია აშკარა გახდა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი საშუალოდ 56 პროცენტით გაიზარდა 1952 წელს (და 28 პროცენტით 1953 წელს). გარდა ამისა, უმუშევრობა გაიზარდა და 1953 წელს 11.5 პროცენტს მიაღწია, ხოლო საზოგადოებრივი მოხმარება შემცირდა. მთავრობამ ფაქტობრივად მიატოვა მასობრივი იმიგრაციის პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ იმიგრაცია თავისუფალი დარჩა, ის აქტიურად წახალისდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც არსებული იმიგრანტების აბსორბცია გახდა შესაძლებელი.

მთავრობამ ასევე პირობა დადო, რომ შეამცირებდა საჯარო სამსახურის მოცულობას, გაზრდიდა საშემოსავლო გადასახადის აკრეფის ეფექტურობას და შეებრძოლებოდა კაპიტალის კონტრაბანდას და შავ ბაზარს. ეს პუნქტები მას შემდეგ სტანდარტულ დებულებებად იქცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ყველა გამოცხადებაში. დროთა განმავლობაში პოლიტიკოსებმა ისწავლეს ამგვარი განცხადებების გაკეთება, მაგრამ არაფერი გააკეთეს ამ პრინციპების განსახორციელებლად. ფართო საზოგადოება შეეჩვია ასეთი დაპირებების მოსმენას, ამიტომ დიდ ცვლილებებს არ მოელოდა.

1954-1965: პოლიტიკური ტურბოლენტობისა და ეკონომიკის სწრაფი ზრდის პერიოდი

ნაწილობრივ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად და ძირითადად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან მიღებული 850 მილიონი დოლარის ეკვივალენტი რეპარაციებით/კომპენსაციით განხორციელებული მასშტაბური ინვესტიციების წყალობით, ისრაელის ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ზრდის პერიოდი. მოსახლეობა – ძირითადად განახლებული იმიგრაციის შედეგად – წელიწადში 4 პროცენტით, ხოლო ეროვნული პროდუქტი წელიწადში 10 პროცენტით გაიზარდა, რაც შეეხება უმუშევრობას, ის 3.5 პროცენტამდე შემცირდა. ზრდის ამ დონეს თან ახლდა კერძო მოხმარების 9 პროცენტით მატება წელიწადში.

1950-იანი წლების შუა პერიოდისთვის ცხადი გახდა, რომ მიწისა და წყლის ნაკლებობა ზღუდავდა სოფლის მეურნეობის მომავალ ზრდას. ამ დროისთვის ფერმერებს უკვე შეეძლოთ თითქმის ყველა საკვები პროდუქტით ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება. სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი წელიწადში 5-6 პროცენტამდე შემცირდა. 1955 წლიდან, როდესაც ბატონი პინჰაუს საპირი გახდა

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, წარმოების სექტორმა განსაკუთრებული სტიმული მიიღო. მთავრობამ ინვესტიციების წახალისება დაიწყო და კერძო ინვესტორებზე სუბსიდირებული სესხები და გრანტები გასცა. გარდა ამისა, ის ასევე გადავიდა დამატებითი სასოფლო-სამეურნეო მოშავიშების მშენებლობიდან ნეგევსა (Negev) და გალილეაში (Galilee) განვითარებადი ქალაქების ('development towns') მშენებლობაზე. ამ ქალაქებს დასაქმების წყაროდ საწარმოო ბაზა სჭირდებოდათ. ბატონმა საპირმა პირადად განსაკუთრებული ძალისხმევა გასწია ამ ქალაქებში კერძო ინვესტორების მოსაზიდად, მათთვის ყველანაირი პირდაპირი და შენიღბული სუბსიდიების მიწოდებით.

ექსპორტი, განსაკუთრებით სამრეწველო ექსპორტი, ასევე დაჩქარდა, ისევე როგორც ადგილობრივი წარმოება, რომელმაც ჩაანაცვლა იმპორტი. იმპორტის ჩანაცვლების ეს ნაწილი ეკონომიკისთვის (ქვეყანას) ძვირი დაუჯდა, რადგან ის ძირითადად კონკურენტუნარიანი იმპორტის აკრძალვას (და მოგვიანებით ძალიან მაღალ ტარიფებს) ეფუძნებოდა. ოფიციალურად, მთავრობამ ნედლეულისა და სამრეწველო იმპორტის ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია დაიწყო. თუმცა, იმპორტის ლიცენზიები კვლავ საჭირო რჩებოდა. ინფლაცია კვლავ უფრო მაღალი იყო, ვიდრე საზღვარგარეთ და საგადასახდლო ბალანსის მიზეზების გამო, გაცვლითი კურსის კორექტირება გახდა საჭირო. მთავრობას არ სურდა დეფლაცია, ძირითადად იმიტომ, რომ ერიდებოდა გერმანიისგან კერძო რეპარაციების მიმღებთათვის დიდი მოულოდნელი მოგების მიღებას. მან ეფექტური გაცვლითი კურსის გაზრდა იმპორტის გადასახადების გაზრდით და ექსპორტის სუბსიდიების გაცემით აირჩია. როგორც მოსალოდნელი იყო, არსებობდა ასობით განსხვავებული ეფექტური გაცვლითი კურსი, რამაც ფასების სისტემასა და რესურსების განაწილებაში მრავალი დამახინჯება გამოიწვია.

1956 წლის ივლისში ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა სუეცის არხის (the Suez Canal) ოპერირებაზე პასუხისმგებელი კომპანიის ნაციონალიზაცია. 1956 წლის ოქტომბერში დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა წომოიწყეს შეტევითი ოპერაცია ეგვიპტის წინააღმდეგ. ისრაელმა, ფრანგული სამხედრო რეზერვების დახმარებით დაიკავა **სინის ნახევარკუნძული/სინაი** (The Sinai Peninsula, or simply Sinai (/ˈsaɪnaɪ/ SY-ny; Arabic: سيناء, romanized: Sīnā')) და დაიქვემდებარა პალესტინის ის ნაწილი ლაზას სექტორის გარშემო, რომელიც

ეგვიპტეს 1948-49 წლების ომის შემდეგ ჰქონდა ოკუპირებული. სსრკ-სა და აშშ-ს ზეწოლის ქვეშ, ისრაელმა 1957 წელს ტერიტორიები დატოვა და სინის ნახევარკუნძულზე გაეროს საგანგებო ძალები შეიქმნა.

1960-1964 წლებში გაძლიერდა ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობა. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1966 წლის ფასებში წელიწადში 11 პროცენტით იზრდებოდა. სწრაფად იზრდებოდა მოხმარება და ინვესტიციებიც. გადახდის საშუალების/მეთოდების სწრაფმა მატებამ და მოთხოვნის მზარდმა ზენოლამ ფასებისა და წარმოების ხარჯების ზრდა გამოიწვია, რამაც შეამცირა ისრაელის საქონლის კონკურენტუნარიანობა საზღვარგარეთ. 1955 და 1959 წლებში ექსპორტი ყოველწლიურად 19 პროცენტით, ხოლო 1960 და 1964 წლებში 14 პროცენტით გაიზარდა. შემოსავლების ზრდამ იმპორტის სწრაფი ზრდა გამოიწვია – 12 პროცენტით, 1955-59 წლებში 8 პროცენტთან შედარებით. 1964 წელს მიმდინარე საგადასახდლო ბალანსის დეფიციტმა პიკს მიაღწია – 564 მილიონი აშშ დოლარი, ანუ მშპ-ს 17.5 პროცენტი.

1962 წელს, მას შემდეგ, რაც ფარდობითი ფასების სისტემა თითქმის მთლიანად დამახინჯდა ამდენი ეფექტური გაცვლითი კურსის არსებობის გამო, ისრაელის ფუნტი ორი მესამედით გაუფასურდა, ოფიციალურად ლიბერალიზებული იქნა იმპორტის ზრდა და გაუქმდა ექსპორტის სუბსიდიები. ექსპორტის ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება მხოლოდ 15 პროცენტი იყო. უფრო მეტიც, მთავრობამ არ შეამცირა ადგილობრივი მოთხოვნა. გერმანიიდან პირადი რეპარაციების მიმღებებმა თავიანთი სიმდიდრის ამ ნაწილის ღირებულება 67 პროცენტით გაზარდეს.

მათ ვისაც ნასესხები ჰქონდათ სახსრები, დაკავშირებული დოლართან (ძირითადად იპოთეკური სესხებისთვის), აწყობდნენ დემონსტრაციებს, აპროტესტებდნენ და ახდენდნენ ზენოლას. მთავრობამ დათმო და რეტროაქტიულად შეცვალა კონტრაქტები – გააუქმა დოლართან ბმა. ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი, როდესაც მთავრობამ ობლიგაციების გამოშვებით ისესხა (ფული) ყოფით/საარსებო ხარჯებთან დაკავშირებით (COL, cost of living), თუმცა, ეს ფული ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გაიწა სესხად, რამაც სესხების მიმღებებს შემდგომში (*ex-post facto*) ინფლაციისგან უზარმაზარი, მოულოდნელი მოგება მისცა.

ეს ასევე იყო წარმოების დაჩქარებული ზრდის პერიოდი, რაც ვაჭრობისა და მრეწველობის მი-

ნისტრის, ბატონი საპირის, ძლიერი ზენოლისა და წახალისების შედეგს წარმოადგენდა. ბატონმა საპირმა დააარსა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომლებიც კერძო პირებთან ერთად ქმნიდნენ ერთობლივ საწარმოებს (joint venture) ახალი საწარმოო ფორმების დასაარსებლად. ის ასევე აფინანსებდა მათ საწარმოებს. 1957 წლის ოქტომბერში დაარსდა ინდუსტრიული განვითარების სპეციალიზებული ბანკი. მთავრობამ ასევე დააარსა სოფლის მეურნეობის ექსპორტის კომპანიები (Agrexco), რამდენიმე სავაჭრო კომპანია [სპეციალიზებული] სხვადასხვა რეგიონისთვის (მაგ., დასავლეთ აფრიკა) და აღმოსავლური დარგებისთვის (მაგ., საკვები ზეთი, ტექსტილი). ამ კომპანიების უმეტესობამ ფული დაკარგა და დიდ წარმატებას ვერ მიაღწია.

1963 წელს დასრულდა ჩრდილოეთიდან ნეგევისკენ მიმავალი წყლის ეროვნული მილსადენის (the National Water pipeline) ძირითადი სამუშაოები. ამ პროცესში ჩართულ სამშენებლო და წყლის კომპანიებს არ გააჩნდათ სხვა ახალი საქმიანობის შესაძლებლობა, ამიტომ მათ მოუწიათ ქვეყნის დატოვება, – ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში სამუშაოების გასაგრძელებლად, რამაც უზარმაზარი ზარალი გამოიწვია, და რომელიც საბოლოოდ ისრაელის გადასახადის გადამხდელებმა დაფარეს. სახელმწიფო კონტროლიორის სიტყვებით, კერძო მენარმეებსა და მთავრობას შორის მრავალ ერთობლივ საწარმოში აღმოჩნდა, რომ „მთავრობა, განვითარების გეგმებთან დაკავშირებული რისკების სხვა ინვესტორებზე გადატანის მცდელობისას... ხშირად რისკებსა და ფინანსურ ტვირთს მართო იღებს“.[3]

როდესაც მოშე დაიბნა სოფლის მეურნეობის მინისტრი (1959–1964) გახდა, მან შექმნა წარმოებისა და მარკეტინგის კომიტეტები, როგორც მთავრობისა და მწარმოებლების ერთობლივი ორგანო. იგი მოიცავდა სოფლის მეურნეობის წარმოების ყველა დარგს. ეს კომიტეტები ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვას და საწარმოო კვოტებისა და სუბსიდიების განაწილებას. 1959 წლიდან, როდესაც წყლის კანონი ამოქმედდა, სახელმწიფო წყლის კომისარს მიენიჭა ფართო უფლებამოსილებები, მათ შორის წყლის კვოტების განაწილება. კერძო ფერმერებმა დაკარგეს ავტონომიის დიდი ნაწილი. მათაც კი, ვისაც მიწისა და წარმოების საშუალებები ეკუთვნოდა, მაგალითად, ზოგიერთ ციტრუსის მწარმოებელს, კანონით ეკრძალებოდათ თავიანთი პროდუქციის გაყიდვა,

გარდა სპეციალურად განსაზღვრული შესაფუთი სახლებისა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და განათლების გასაუმჯობესებლად, მთავრობას მოუწია მომსახურების ორგანიზება და ფინანსური რესურსების მობილიზება. რადგან ბუნებრივი რესურსები მწირი იყო, აღიარებული იყო, რომ ეკონომიკური ზრდა ნაწილობრივ განისაზღვრებოდა განათლების განვითარებით. ეს მოიცავდა მრავალი იმიგრანტისთვის წერა-კითხვის გაკვეთილების ჩატარებას ებრაული ენის შესასწავლად, ასევე პროფესიულ მომზადებას.

ერთ-ერთი სოციალური სცენა ის არის, რომ პირველი ათწლეულის მონოლითური კულტურული დომინირება ზოგადად შესუსტდა და იდეოლოგიური კონსოლიდაციის ძალა მნიშვნელოვნად შემცირდა. თანასწორობა სოციალურ მითად იქცა, მაგრამ სინამდვილეში უთანასწორობა გაიზარდა და დეპრივაციის (სურვილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების შეუძლებლობის / შეზღუდვის) განცდა გაძლიერდა.

1950-იანი წლების ბოლოსთვის მთავრობამ საემარისი საცხოვრებელი ობიექტები ააშენა, რათა აღმოფხვრილიყო მასობრივი იმიგრაციის პერიოდის ყველა დროებითი თავშესაფრის საჭიროება. განსაკუთრებული ძალისხმევა გაწეული იქნა ლარიბი საცხოვრებელი ანკლავების აღმოსაფხვრელად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დონე ყველასთვის გაიზარდა, ლარიბები თავს შედარებით ლარიბად გრძნობდნენ, რადგან უთანასწორობა გაიზარდა. მთავრობამ დააარსა **ეროვნული დაზღვევის ინსტიტუტი** (ებრ.: **המוסד לביטוח לאומי**) და თანხები ჩადო უკეთესი საცხოვრებლების, სკოლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების შექმნაში. თუმცა, აზიელ და აფრიკელ ებრაელებში გაჭირვების განცდა გაძლიერდა. 1959 წლის 9 ივლისს, ჩრდილოეთ აფრიკელი ებრაელებით დასახლებულ ჰაიფას ლარიბულ უბანში (ვადი სალიბი / Vadi Salib) არეულობა დაიწყო, რამაც საგონებელში ჩააგდო მთავრობა და პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

1962 წლის მაისში ბატონმა საპირმა მიმართა ლათინური ამერიკის მდიდარ ებრაელებსა და ისრაელის წამყვან ბიზნესმენებს. მათ ერთად დააარსეს ახალი ჰოლდინგური კომპანია, Clal, რომელიც ისრაელში ლათინური ამერიკის ებრაელების ინვესტიციების განსახორციელებლად იყო განკუთვნილი. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში Clal მსხვილ საინვესტიციო კომპანიად გარდაიქმნა,

რომლის დიდ ნაწილსაც ისრაელის ფინანსური ინსტიტუტები (ძირითადად, Histadrut-ის საკუთრებაში არსებული Bank Hapoalim-ი) ფლობდნენ.

დომინანტური პარტია ასევე შეეჩეხა მრავალ შიდა ძალაუფლებისთვის ბრძოლას. „ჰისტადრუტის“ გენერალურმა მდივანმა პინჰას ლავონმა, შემოთავაზებულმა იმით, რომ „ჰისტადრუტის“ უდიდესი კომპანიის, „სოლელ ბონეჰის“ (Solel Boneh) მენეჯერები ზედმეტად გავლენიანები გახდნენ, 1958 წელს კომპანია დაყო სამ ცალკეულ კორპორაციად.

1959 წელს მეოთხე ქნესეთის არჩევნებში, მთავარმა სიონისტებმა თავიანთი ძალაუფლება ქნესეთის მხოლოდ რვა წევრამდე შეამცირეს. მაჰაიმ (ებრაულად: מ.ח.א", აბრევიატურა מ.ח.א.י.י. פועל ערץ ישראל, სიტყვასიტყვით „ისრაელის მიწის მუშათა პარტია“) მნიშვნელოვანი გამარჯვება იხეიმა. ბევრმა იგრძნო, რომ მაჰაი დაუმარცხებელი იყო, ზოგი კი ყველა არასოციალისტური პარტიის გაერთიანებას ცდილობდა. ჰერუთის საბჭომ (ჰერუთი, – ებრაულად: ה.ר.ת, სიტყვასიტყვით „თავისუფლება“ – იყო ისრაელის მთავარი კონსერვატიული ნაციონალისტური პოლიტიკური პარტია 1948 წლიდან 1988 წელს „ლიკუდთან“ ოფიციალურ გაერთიანებამდე.) გადანყვიტა ჰისტადრუტს შეერთებოდა. სინამდვილეში, მაჰაის განადგურება უკვე 1959 წელს დაიწყო.

მაჰაის ახალგაზრდა ლიდერები მთავრობაში უფრო მეტ წარმომადგენლობას მოითხოვდნენ. ეს ლიდერები პარტიის ფარგლებში 1957 წლიდან იყვნენ ორგანიზებულნი და შეიმუშავეს რეფორმების სია, რომელთა განხორციელებაც სურდათ. ახალგაზრდა ლიდერებმა წამყვან თანამდებობებს, ძირითადად, სამხედრო სამსახურში ან საჯარო სამსახურში სანიმუშო საქმიანობის წყალობით მიაღწიეს. მათ პოლიტიკური გადანყვიტებების მიღების პროცესში სურდათ მეტი ჩართულობა, თუმცა ძველ პოლიტიკურ ბოსებთან დაპირისპირებას თავს არიდებდნენ. ნაცვლად ამისა, ისინი (მათ) 'დემოკრატიული რეფორმებისკენ' მოუწოდებდნენ. პრემიერ-მინისტრის რანგში ბენ-გურიონი ცდილობდა ეროვნული ლიდერების შერჩევას, რის გამოც პარტიის ბევრი ლიდერი მეორეხარისხოვან თანამდებობებზე რჩებოდა. ბენ-გურიონი ასევე მიდრეკილი იყო პირად ძალაუფლებაზე დაყრდნობისკენ და მისი ინიციატივები საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაში ყოველთვის არ იყო სრულად მისაღები სხვა ლიდერებისთვის. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი გოლდა მეირი თვლიდა, რომ

თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი გენერალური დირექტორი შიმონ პერესი საფრანგეთთან ძალიან ბევრ პოლიტიკურ კონტაქტს ამყარებდა, რითაც ის საკუთარ უფლებამოსილებას აჭარბებდა. ამან კიდევ ერთი განზომილება შესძინა მას, როგორც მესამე ალიას ჯგუფის მთავარ ლიდერს, და ბენ-გურიონს შორის დაძაბულობას.

1959 წელს ბენ-გურიონმა დამატებით დანიშნა სამი ახალგაზრდა მინისტრი და ძველი გვარდიის ოთხი წევრი გაუშვა სამსახურიდან. 1959 წლის ნოემბერში ბენ-გურიონის ხელმძღვანელობით მთავრობაში მაჰაის ცხრა მინისტრიდან მხოლოდ სამი იყო ვეტერანი. ამასობაში, ლავონმა, ჰისტადრუტის გენერალური მდივნის რანგში შექმნა ალტერნატიული ძალაუფლების ბაზა. 1960 წელს მან მოუწოდა ბენ-გურიონს, არ დაეკისრებინა მისი, ლავონისთვის პასუხისმგებლობა 1954 წლის დანაშაულზე (პინჰას ლავონი შეერთებულ შტატებში ეგვიპტის რეპუტაციის შელახვის წარუმატებელ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს – გეგმა, სავარაუდოდ გულისხმობდა ისრაელის აგენტების მიერ ეგვიპტეში აშშ-ის ობიექტებზე ბომბების აფეთქებების სერიას, რაც არაბ ექსტრემისტებს დაბრალდებოდათ. Britannica <https://www.britannica.com> > ... Pinhas Lavon | Labor leader, Minister of Defense). ბენ-გურიონმა (ამ მოწოდებაზე) უარი თქვა, მაგრამ ლავონმა შეძლო ნაწილობრივი გამართლების უზრუნველყოფა მთავრობის მინისტრთა კომიტეტის მეშვეობით. ლავონმა ასევე დაარღვია დიდი ხნის ტრადიცია და თავისი არგუმენტები პარტიის/პარტიის კომიტეტის დახურული სივრცის მიღმა წარმოადგინა. გარდა ამისა, რამდენიმე პოლიტიკოსი სულ უფრო მეტად უკმაყოფილო იყო ბენ-გურიონის დიქტატორულ ლიდერობის სტილთან დაკავშირებით.

ბენ-გურიონი ცნობილი იყო კონფრონტაციების შექმნისა და კრიზისების გამოყენების უნარით, რათა თავი დაეღწია ალტერნატიული ლიდერებისგან. ის ასევე ცდილობდა შეემცირებინა პოლიტიკური პარტიის ძალაუფლება მთავრობასთან მიმართებაში. ამ ყველაფერმა გამოიწვია უკმაყოფილების, თუ არა სიძულვილის დაგროვება. მას ზედმეტად ძლიერად და უკომპრომისოდ მიიჩნევდნენ.

1961 წელს ლავონი იძულებული გახდა გადამდგარიყო „ჰისტადრუტის“ გენერალური მდივნის თანამდებობიდან. ბენ-გურიონმა დატოვა მთავრობა. მეხუთე მოწვევის ქნესეთის არჩევნები ვადაზე ადრე – 1961 წლის 15 აგვისტოს ჩატარდა.

მაპაიმ ქნესეთში ექვსი ადგილი დაკარგა. „მთავარი სიონისტები“ პროგრესულ პარტიას შეუერთდნენ და ლიბერალური პარტია ჩამოაყალიბეს. პრემიერ-მინისტრი გახდა ლევი ეშკოლი.

1964 წლისთვის გაიზარდა იმპორტის ჭარბი რაოდენობა და შეწყდა გერმანიის მიერ მთავრობისთვის რეპარაციების გადახდა (კერძო/ფიზიკური პირები კვლავ იღებდნენ რესტიტუციის გადასახადებს.). მთავრობა ასევე განიცდიდა ძლიერ ზენოლას საჯარო სექტორში ხელფასების უზარმაზარი ზრდის გამო. 1964 წელს მაპაი დათანხმდა მემარცხენე პარტიებთან ალიანსის შექმნას. ეს ნიშნავდა, რომ საარჩევნო მეთოდის ნებისმიერი ცვლილება შეუძლებელი იყო. 1965 წლის ივნისში ბენ-გურიონი გავიდა თავისი ძველი პარტიიდან და დააარსა რაფი (ებრ.: ר.פ.י, აბრევიატურა Reshimat Poalei Yisrael -დან. ებრ.: ר.ש. יְהוּדָה פּוֹלֵי יִשְׂרָאֵל, სიტყვასიტყვით: „ისრაელის მუშაკთა სია“, - პოლიტიკური პარტია ისრაელში, რომელიც დაარსდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, დევიდ ბენ-გურიონის მიერ 1965 წელს. 1968 წელს ეს იყო ერთ-ერთი სამი პარტიიდან, რომლებიც გაერთიანდნენ ისრაელის ლეიბორისტული პარტიის შესაქმნელად.). მანამდე ჰერუთმა გადაწყვიტა „ჰისტადრუტში“ გაწევრიანება. ჰისტადრუტმა უარი თქვა და ჰერუთმა ლიბერალებთან ალიანსი შეკრა. რადგან ლიბერალები ჰისტადრუტის ნაწილი იყვნენ, ჰისტადრუტის ხელმძღვანელობას იმ დროს ახალი ერთეულის აღიარება არ მოეთხოვებოდა. გარდა ამისა, „ჰისტადრუტის“ ხელმძღვანელობას არ სურდა არჩევნების გადადება, რაც რაფის ორგანიზების დროს მისცემდა, ამიტომ ჰერუთი „ჰისტადრუტში“ იქნა მიღებული. მაპაის პარტიის აპარატი რაფის შესაჩერებლად და 1965 წლის სექტემბერში „ჰისტადრუტის“ არჩევნებში მოსაგებად იქნა დაკომპლექტებული. ამ „ღერძმა/ერთმანეთთან კავშირმა“ „ჰისტადრუტს“ ხმების 58.0 პროცენტი მოუტანა, მაშინ როდესაც რაფიმ მხოლოდ 12 პროცენტი მიიღო. მაპაიმ შეინარჩუნა ძალაუფლება (14.5 პროცენტი), ხოლო გაჰალმა (Gahal) 15.2 პროცენტი მიიღო, მაშინ როცა 1959 წელს მთავარმა სიონისტმა (the General Zionist) – მხოლოდ 3.5 პროცენტი. ამ შოკის გათვალისწინებით, მაპაის მექანიზმა უფრო მეტი ძალისხმევა გასწია ქნესეთის არჩევნებში გამარჯვებისთვის. 1964 წლის ბოლოს ხარჯების შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მთავრობა დათანხმდა არჩევნებამდე საჯარო სექტორში ხელფასების 30-40 პროცენტით გაზრდას. არჩევნებში

გამარჯვებისკენ კონცენტრირებულ ძალისხმევას მხარი დაუჭირა მინისტრმა საპირმა.

ეს ასევე იყო სხვა პარტიებში დაპირისპირების პერიოდი. ბატონი ბეგინის (მენახემ ბეგინი [ებრ.: מנחם בגין]; ქვეყნის მეშვიდე პრემიერ-მინისტრი 1977-1983 წლებში. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში [1978]) ერთპიროვნულ ლიდერობას ჰერუთში (1943 წლის დეკემბერში ბეგინი გახდა იატაკქვეშა ორგანიზაციის ირგუნის ხელმძღვანელი. 1948 წელს ისრაელის შექმნის შემდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია ირგუნი დაიშალა და შეუერთდა ისრაელის თავდაცვით ძალებს. ირგუნის ბაზაზე ბეგინმა შექმნა პარტია ჰერუთი [„თავისუფლება“] და გახდა ოპოზიციის ლიდერი ქნესეთში. ქნესეთის პირველი მოწვევის არჩევნებში მიიღო ხმების 11,5 %.) დაუპირისპირდა ბატონი ტამირი, რომელიც იძულებული გახდა გადამდგარიყო. ლიბერალებსაც ჰქონდათ კონფლიქტები სხვადასხვა ლიდერებს შორის. მსგავსი მეტოქეობა არ იყო დაფუძნებული იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე, როგორც ეს ხდება ნარსულში, არამედ ძალაუფლებისკენ პირდაპირ სწრაფვაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დაუსრულებელი ბრძოლა დომინანტურ პარტიაში, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა იგი. პოლიტიკური წესრიგის შეცვლის, ან სულ მცირე, მთავარი მოთამაშეების შეცვლის აუცილებლობის მზარდი აღქმა ახალგაზრდებს უფრო მეტად აიძულებდა პოლიტიკური კარიერისგან დისტანცირებას.

1966-1972: საჯარო ინვესტიციები თავდაცვის ინდუსტრიაში და ომებს შორის ზრდის პერიოდი

მოხმარების, ინვესტიციებისა და იმპორტის ჭარბი რაოდენობის სწრაფი ზრდის წინაშე მდგომმა მთავრობამ გადაწყვიტა შეეცავალა ეკონომიკური სტრუქტურა ექსპორტის გასაძლიერებლად, მაგრამ შეემცირებინა სამთავრობო ინვესტიციები, გაეზარდა არაპირდაპირი გადასახადები მოთხოვნის შესამცირებლად და განეხორციელებინა შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა. რეცესიული პოლიტიკა გამოცხადდა მაშინ, როდესაც მოთხოვნა უკვე იწყებდა შემცირებას მსხვილი განვითარების პროექტების დასრულების გამო. რეალური მოთხოვნა შემცირდა, უმუშევრობამ 12.5 პროცენტს მიაღწია, ხოლო უმუშევართა უმეტესობა აზიიდან და აფრიკიდან იყო. 1966 წელს მშპ მხოლოდ 1.0 პროცენტით გაიზარდა. კერძო ინვესტიციები 1967 წელს გაიზარდა 2 პროცენტით. მთლიანი ინვესტიციები შემცირდა ერთი მესამედით. თუმცა, ექსპორტი არ გაზრდილა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ რეალური

მოთხოვნის შემცირება პარალელური დევალვაციის გარეშე მოხდა.

რეცესიამ მრავალი გაკოტრება გამოიწვია, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტების. 1967 წლის ბოლო კვარტიდან დაიწყო ზრდა. ეს პროცესი დააჩქარა ექვსდღიანმა ომმა. ომის შემდეგ მთავრობამ სწრაფად გაზარდა თავდაცვის ხარჯები. გარდა ამისა, სწრაფმა გამარჯვებამ გააჩინა ოპტიმიზმი და გამოიწვია დიდი იმიგრაცია [1967 წლის ომის შემდეგ ისრაელის ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ თავდაცვის ინდუსტრიაში მოხდა]. (შენიშვნა: ისრაელის სამხედრო კვლევისა და განვითარების, ასევე წარმოების დიდი ნაწილი ისტორიულად თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფირმებში ხდებოდა. ეს ფირმებია „Israel Aircraft Industries“, „Israel Military Industries“ და „Rafael“.) სახელმწიფოებრიობამდელი იშუვის შექმნამდელი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული და 1950-იან წლებში გაფართოებული მცდელობები საზღვარგარეთ შესყიდვების შესახებ ხშირად წარუმატებელი იყო, [4] ისრაელის სამხედრო სექტორი 1967 წლამდე მსუბუქი იარაღისა და საკომუნიკაციო აღჭურვილობის წარმოებაზე იყო ორიენტირებული. [5] ომის შემდეგ, ფანტასტიკური გამარჯვებით ნასაზრდოები ამბიციებით, ისრაელმა დაიწყო თანამედროვე (დახვეწილი/ზუსტი) იარაღის, მათ შორის გამანადგურებლებისა და ტანკების წარმოება, როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე მოგვიანებით ექსპორტისთვის. სამხედრო წარმოების დაჩქარება განპირობებული იყო რიგი ფაქტორებით, ძირითადად ეს იყო: საჭიროება 1960-იანი წლების ბოლოს ეგვიპტესთან განხორციელებული გამოფიტვის ომის, ასევე მიმდინარე სასაზღვრო ტერორისტული თავდასხმების გათვალისწინებით; 1967 წელს საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ საფრანგეთის მიერ დაწესებული იარაღის ემბარგო, რომელმაც ისრაელისთვის იარაღის ძირითადი მიწოდება შეწყვიტა; აშშ-ს უარი ისრაელისადმი 1970-იან წლებამდე რაიმე მნიშვნელოვანი შეიარაღების სისტემების მიყიდვაზე; და მთავრობის სურვილი, სამხედრო საჭიროებებზე ისე ეპასუხა, რომ ადგილობრივი ინდუსტრია განვითარებულიყო. (ibidem)

სამხედრო წარმოების მკვეთრი ზრდა იყო ასევე ტექნოლოგიური უპირატესობისკენ სწრაფვა, ისრაელსა და მის მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს შორის მოსახლეობის თანაფარდობის

გათვალისწინებით. თავდაცვის ხარჯები მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) წილში გაორმაგდა 1967 წელს 10.4%-დან 1969 წელს 20.2%-მდე და 1970 წელს 25.7%-ს მიაღწია, (იხ. [5] Kochav, p.30.) რადგან მთავრობამ უზარმაზარი რესურსები მიმართა კვლევასა და განვითარებაში (Research and Development, R&D), რამაც თავდაცვის სფეროში დასაქმების რაოდენობა 1966 წლის 14 000-დან 1972 წელს 34 000-მდე გაზარდა (იხ. [4] Sadeh, p.6.) და შექმნა ეკონომიკური ზრდის საფუძველი.

1967-1972 წლებს შორის პერიოდი ხასიათდებოდა სწრაფი ზრდით, რაც განპირობებული იყო თავდაცვის ინდუსტრიების სწრაფ გაფართოებაში ჩადებული დიდი ინვესტიციებით. ოკუპირებული ტერიტორიები იაფასიანი მუშახელის წყაროს წარმოადგენდა, ხოლო მზარდი იმიგრაცია მოთხოვნის ზრდის მიზეზი იყო. იმპორტის ჭარბი ნაწილი იფარებოდა აშშ-ის მთავრობის სესხებით და მსოფლიო ებრაელობის შენატანების ცალმხრივი გადარიცხვებით. 1967 წელს დევალვაცია 17 პროცენტით, ხოლო 1971 წელს კიდევ 20 პროცენტით შემცირდა. 1967-დან 1969 წლამდე ინფლაცია იმდენად მკვეთრად დაეცა, რომ ცხოვრების ღირებულების ინდექსი (Cost of Living Index / COL Index) წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 2 პროცენტით გაიზარდა. ინვესტიციები მშპ-ს 30 პროცენტს შეადგენდა, ხოლო წმინდა გადასახადები – მშპ-ს 16-დან 17 პროცენტამდე.

სერიოზული უსაფრთხოების პრობლემების ფონზე არსებული ეკონომიკური გამოწვევების უზარმაზარმა მასშტაბმა მრავალი საკითხის უგულებელყოფა და უთანასწორობის გაგრძელება განაპირობა. ამან ისრაელში დაბადებული, ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩამოსული, სოციალურად დაუცველი იმიგრანტების მეორე თაობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა სოციალური და პოლიტიკური შედეგები 1970-იან და 1980-იან წლებში. რაც უფრო იზრდებოდა ცხოვრების დონე, მით უფრო ნაკლებად გრძნობდნენ თავს მოქალაქეები მთავრობაზე დამოკიდებულად. პარადოქსულია, მაგრამ რაც უფრო ნაკლებად რჩებოდნენ მოქალაქეები დამოკიდებულნი, მით უფრო მეტად ხდებოდნენ ისინი იმედგაცრუებულნი. რეჟიმს სულ უფრო და უფრო ცუდი იმიჯი ჰქონდა და ლარიებში გაჭირვების განცდა იზრდებოდა. 1971 წელს ახალმა ჯგუფმა – „შავმა პანტერებმა“ – საპროტესტო აქცია გამართეს იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი სავალალო უთანასწორობას უწოდებდნენ. შეიქმნა პრემიერ-მინისტრის სპეციალური

კომიტეტი გაჭირვებულ ბავშვთა და ახალგაზრდებთან დაკავშირებით. მისი დისკუსიების ერთ-ერთი შედეგი იყო სოციალური მომსახურების ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა, რაც ძირითადად იმ დროს მიღებულ ახალ კანონებს ეფუძნებოდა. ზრდას ხელს უწყობდა სოციალური არეულობა და აზიური და აფრიკული წარმოშობის ისრაელელებს შორის თანაბარი შესაძლებლობების მოთხოვნები. შედეგად, ტრანსფერებისა და სუბსიდიების მთლიანი მოცულობა სწრაფად გაიზარდა.

იდეოლოგიის მოტივაციური ღირებულება შემცირდა და ცინიზმის განცდა გაიზარდა. „დნობის ქვების“ პოლიტიკა, რომელიც სხვადასხვა წარმოშობის ებრაელებს შორის ყველა განსხვავების აღმოფხვრას ისახავდა მიზნად, ოფიციალურად არასწორად და ძალადაკარგულად გამოცხადდა. პოლიტიკოსები იძულებულნი იყვნენ, აფრიკული და აზიური წარმოშობის ამომრჩეველებს მომსახურებოდნენ. 1970-იან წლებში, ეს სოციალური ხარჯების ზრდის კიდევ ერთი მიზეზი იყო. ახალმა სოციალურმა პროგრამებმა და უმუშევრობის ზრდისადმი გულგრილობამ 1970-იან წლებში საჯარო სერვისების გაფართოება გამოიწვია. გარე შოკებთან ადაპტაციის მიზნით, მთავრობამ გაზარდა გადასახადები და შეამცირა ინვესტიციები. გადასახდელების ბალანსის შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, ვალუტა განუწყვეტილ დეფლაციას განიცდიდა, რამაც მხოლოდ ინფლაციას შეუწყო ხელი. მაღალი სამთავრობო ხარჯების ერთ-ერთი შედეგი იყო (ეკონომიკური) ზრდის (ტემპის) შემცირება როგორც დაუყოვნებლივ, ასევე შემდგომ წლებში ბიზნეს-/კორპორატიული სექტორისთვის ხელმისაწვდომი რესურსების შეზღუდვით.

1970 წელს ფასების ზრდა შეჩერდა მთავრობას, მუშებსა და პროფკავშირებს შორის საყოველთაო შეთანხმების ხელმოწერით. 1971 წლიდან ფასები კვლავ იზრდებოდა, ისევე როგორც ხელფასები – ჭარბი მოთხოვნის გამო. მთავრობას კიდევ ერთი რეცესიის ეპინოდა და 1971/75 წლებში ფასები საშუალოდ 15 პროცენტით გაიზარდა.

1968-დან 1972 წლამდე მთავრობამ დაიწყო პრივატიზაციის პროგრამა: მან 46 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო გაყიდა, – ძირითადად მცირე. ჩიკაგოს ეკონომიკის სკოლაში აღზრდილი ეკონომისტების მზარდი რაოდენობა მიუთითებდა ისრაელის ეკონომიკაში არსებულ მრავალ დამახინჯებაზე და ფასების სიგნალებზე საპასუხოდ მოუწოდებდა საბაზრო ძალების გამოყენებისა და რესურსე-

ბის შეუზღუდავი ნაკადებისკენ და არა მთავრობის ღირექტივებისკენ. არსებული პატერნალისტური ეკონომიკური სტრუქტურა ბევრის მხრიდან მტრულად იქნა აღქმული და აღშფოთებას იწვევდა, თუმცა თავდაცვის საჭიროებები და ახალი იმიგრანტების ეკონომიკაში ფართოდ ინტეგრირების აუცილებლობა ბიუროკრატიაში ეკონომიკის რეგულირებისა და წარმართვის მნიშვნელოვან მიზეზებად მიიჩნია, იმის ნაცვლად, რომ ის ბაზრის დეპერსონალიზებული (უპიროვნო) კაპრიზებისთვის მიენდო.

დასკვნა

ათასწლოვანი ლტოლვილობის მიუხედავად, ებრაული ენისა (ებრ. *עברית* [Ivrit] – „ივრით“) და ტრადიციების დაცვამ, საკუთარი წარსულის მეხსიერებამ, მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაელობას შეაძლებინა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და მისი თავიდან დაბადება, რაც წარმოადგენდა არა მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ისრაელის ეკონომიკაში დომინირებდა საჯარო ინტევენციები, ნელ-ნელა ისრაელის ეკონომიკა სტაბილურად გადავიდა სახელმწიფო კონტროლიდან თავისუფალი ბაზრის რეჟიმზე. ისრაელის განვითარების ტენდენციამ, მისი არსებობის რამოდენიმე დეკადის განმავლობაში ნათაოდ აღჩვენა, თუ როგორ დაუთმო თანდათანობით ლეიბორისტულმა სიონიზმმა ადგილი გაცილებით კაპიტალისტურ ეკონომიკას, ნაწილობრივ 1960-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში რეფორმებისა და ასევე 1985 წელს შემოღებული სტაბილიზაციის პოლიტიკის შედეგად.

ისრაელის მდგომარეობა მრავალი თვალსაზრისით უნიკალურია. არცერთ სხვა ქვეყანას არ მიუღია ამდენი იმიგრანტი მის ზომასთან შედარებით. ცოტა სხვა ქვეყანას თუ შეეძლო ასე სწრაფად ზრდა, ასე ფართოდ მოდერნიზაცია და თავისუფალი საზოგადოებისა და რესპუბლიკური დემოკრატიის შენარჩუნება. მან ეს შეძლო მრავალი მეზობლის აქტიური მტრობის მიუხედავად და უზარმაზარი ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და სოციალური ვალდებულებების აღების პირობებში, რითაც ის მსგავს გარემოებში (ასევე, ბედისწერის ქვეშ) მყოფი ქვეყნებისთვის (აქ უცილობლად იგულისხმება საქართველო) იქცა ერის სიმტკიცის, რწმენისა და გამარჯვების მაგალითად!



DEVELOPING SPORT SATELLITE ACCOUNTS IN GEORGIA: METHODOLOGICAL APPROACH, CHALLENGES, AND PERSPECTIVES

Copyright © 2024 the Author/s

Peer review method: Double-Blind

Accepted: August 29, 2025

Published: September 14, 2025

Original scientific article

DOI suffix: 10.36962/NEC20032025-53

David Oboladze

(PhD), Doctor of Business Administration, Associate Professor at the Georgian State University of Sport
Chief Specialist at the Staff of the Sports Committee of the Parliament of Georgia

<https://orcid.org/0000-0002-6143-9194>

E-mail: david.oboladze2013@gmail.com



ABSTRACT

The article is focused on examining the limitations and opportunities that affect the comprehensive assessment of the economic and social significance of sport in a country. Satellite accounts in sport represent a method that enables the evaluation of both the direct and indirect effects of the sports sector on the national economy as well as on social life, employment, and healthcare. The article describes the functional composition of sport, identifies sources of information, and sets standards for data collection. It also presents the principles for calculating value added, revenues and expenditures, employment, and other indicators, along with their induced effects (multipliers), as well as a description of the factors that hinder or facilitate the related processes. The importance of creating sports satellite accounts is emphasized for highlighting the economic and social role and significance of a country's sports sector. Proposed next steps are outlined to enhance the transparency and efficiency of sport reporting and planning systems.

The development of Sport Satellite Accounts (SSA) in Georgia represents a critical step towards a comprehensive understanding of the economic impact of sport within the national economy. SSA offers a specialized statistical framework aligned with the System of National Accounts (SNA), enabling the distinct measurement of sport's contribution to GDP, employment, and macroeconomic indicators. Globally, the sports industry accounts for approximately 2% of GDP and contributes substantially to employment, yet this sector remains underexplored in Georgia due to the absence of an SSA model. Recent increases in state investment in sport infrastructure and development accentuate the need for robust economic measurement tools such as SSA.

This paper outlines the methodological approach for SSA development, emphasizing multi-sector integration, compliance with international standards (including the Vilnius definition of sport), and the use of diverse data sources ranging from national statistics to administrative and survey data. The creation of SSA involves careful classification of sport-related activities, products, and services, alongside estimating their shares within overlapping economic sectors.

Key challenges identified for Georgia include limited detailed data, the complexity of defining sport intensity within broader economic activities, and resource constraints. Recommendations include international collabo-



ration with experienced SSA-implementing countries, pilot projects on specific sport economic segments, and enhanced data collection methods.

The establishment of SSA in Georgia will enable evidence-based policymaking, effective resource allocation, and strategic promotion of the sports economy, reinforcing sport as a growing mainstream economic sector and valuable contributor to national development. SSA is a vital instrument for quantifying the full contribution of sport across all economic areas to inform policy and investment decisions effectively.

KEYWORDS: Sports Economics; Economic Impact of Sport; Sport Satellite Accounts (SSA); System of National Accounts (SNA)

REFERENCES:

1. European Commission. (2012). Study on the Economic Impact of Sport through Sport Satellite Accounts. DG Education and Culture. (While not the absolute latest, this remains a foundational document for SSA methodology in the EU context).

2. European Commission. (2020). The economic impact of COVID-19 on the sport sector in the EU. Publications Office of the European Union.

3. ECORYS for DG EAC. (2023). Study on the European Sport Model. Publications Office of the European Union.

4. Leontief, W. W. (1986). Input-Output Economics. Oxford University Press.

5. Miller, R. E., & Blair, P. D. (2009). Input-Output Analysis: Foundations and Extensions (2nd ed.). Cambridge University Press.

6. United Nations. (2008). System of National Accounts 2008 (2008 SNA). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank.

7. Hwang, J., & Kim, H. (2019). An analysis of the Input-Output Table in the Sports Industry of Thailand. KUOJS, 27(1). (Specific example of I-O analysis for a country's sports industry).

8. Pigeassou, A. (2004). The economic impact of sport: Review and critical issues. Journal of Sports Economics, 5(2), 163-177. (Broader review of sport economic impact studies).

9. Weed, M., & Taylor, S. (2010). Sport and Leisure Management: A Global Perspective. Routledge. (May contain discussions on economic impact methodologies).

10. Wicker, P., & Breuer, C. (2012). The economic relevance of sports for municipalities. European Sport

Management Quarterly, 12(4), 387-402. (Examples of sub-national level analysis that could involve I-O principles).

11. Deloitte Sports Business Group. (Ongoing). Annual Review of Football Finance. (Regularly updated reports with deep financial insights into football, often touching upon wider economic impacts).

12. Deloitte. (Ongoing). Global Sports Industry Outlook. (Annual reports providing an overview of global trends and financial projections in the sports sector).

13. PwC. (Ongoing). Sports Industry Outlook (various regional editions, e.g., North America, Middle East). (Annual reports focusing on industry trends, investment, and market growth).

14. KPMG Football Benchmark. (Ongoing). Football Clubs' Valuation: The European Elite. (Focuses on club valuations, but often includes broader market analysis).

15. Kereselidze, B. (2020). The Impact of the Sport Industry on the Economy. <https://shorturl.at/7UHnN> [In Georgian]

16. National Statistics Office of Georgia (Geostat) (2021). "Strengthening the Capabilities of the Statistical System of Georgia" (Expert Mission Report to Support Geostat: "Assessment of Geostat's Capabilities and Existing Difficulties in the Direction of Compiling Sports Satellite Accounts") [In Georgian]

17. National Statistics Office of Georgia (Geostat) (2024). Statistics Development Strategy. Strategy for the Development of the National System of Official Statistics for 2024-2027. <https://shorturl.at/FAdLs> [In Georgian]

18. Government of Georgia (2024). Government Program "Only with Peace, Dignity, and Welfare Towards Europe - 2025-2028" <https://shorturl.at/pozH7> [In Georgian]



საქართველოს სპორტის საბელადო ანგარიშების შემუშავება: მეთოდოლოგიური მიდგომა, გამონკვევები და პერსპექტივები

დავით ობოლადე

(PhD), ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი საქართველოს პარლამენტის სპორტის

კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

<https://orcid.org/0000-0002-6143-9194>

ელ.ფოსტა: david.oboladze2013@gmail.com

აბსტრაქტი

სტატია მიმართულია იმ შეზღუდვებისა და შესაძლებლობების შესწავლაზე, რაც ქვეყნად სპორტის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის სრულყოფილად შეფასებაზე ახდენს გავლენას. სატელევიზიო ანგარიშები სპორტში - ეს არის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სპორტის სექტორის პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები როგორც ეროვნული ეკონომიკაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში, დასაქმებასა და ჯანდაცვაში. სტატიაში აღწერილია სპორტის ფუნქციური შემადგენლობა, ინფორმაციის წყაროების იდენტიფიკაცია და მონაცემთა შეგროვების სტანდარტები, განხორციელებულია დამატებული ღირებულების, შემოსავლების და ხარჯების, დასაქმების და სხვა მაჩვენებლების გამოთვლის პრინციპების, მათი გამომწვევი ეფექტების (multipliers), აგრეთვე შესაბამისი პროცესის ხელშეშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების აღწერილობა. ხაზგასმულია სპორტის სატელევიზიო ანგარიშების შექმნის მნიშვნელობა ქვეყნის სპორტული სექტორის ეკონომიკური და სოციალური როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენისათვის. შემოთავაზებულია შემდგომი ნაბიჯები სპორტის ანგარიშებისა და დაგეგმვის სისტემის ტრანსპარენტულობისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად.

სპორტის სატელევიზიო ანგარიშების (SSA) განვითარება საქართველოში გადამწყვეტი ნაბიჯია ეროვნულ ეკონომიკაში სპორტის ეკონომიკური გავლენის ყოვლისმომცველი გაგებისკენ. SSA გვთავაზობს სპეციალიზებულ სტატისტიკურ ჩარჩოს, რომელიც შეესაბამება ეროვნული ანგარიშების სისტემას (SNA), რაც შესაძლებელს ხდის სპორტის წვლილის ცალკე გაზომვას მშპ-ში (GDP), დასაქმებასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. გლობალურად, სპორტის ინდუსტრია მშპ-ს დაახლოებით 2%-ს შეადგენს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დასაქმებაში, თუმცა ეს სექტორი საქართველოში კვლავ ნაკლებად არის შესწავლილი SSA მოდელის არარსებობის გამო. ბოლო დროს სახელმწიფოს მხრიდან სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციების ზრდა ხაზს უსვამს ისეთი მძლავრი ეკონომიკური გაზომვის ინსტრუმენტების საჭიროებას, როგორიცაა SSA.

ეს ნაშრომი ასახავს SSA-ს განვითარების მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს მრავალსექტორულ ინტეგრაციას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას (მათ შორის სპორტის ვილნიუსის განმარტება), და მრავალფეროვანი მონაცემთა წყაროების გამოყენებას, დაწყებული ეროვნული სტატისტიკიდან ადმინისტრაციულ და გამოკითხვის მონაცემებამდე. SSA-ს შექმნა მოიცავს სპორტთან დაკავშირებული საქმიანობის, პროდუქტებისა და სერვისების ფრთხილ კლასიფიკაციას, მათ წილთა შეფასებასთან ერთად გადაფარვით ეკონომიკურ სექტორებში.

საქართველოსთვის იდენტიფიცირებულ ძირითად გამოწვევებს შორისაა დეტალური მონაცემების შეზღუდული რაოდენობა, სპორტის ინტენსივობის განსაზღვრის სირთულე უფრო ფართო ეკონომიკურ საქმიანობაში, და რესურსების შეზღუდულობა. რეკომენდაციები მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობას SSA-ს დანერგვის გამოცდილების მქონე ქვეყნებთან, საპილოტე პროექტებს სპორტის კონკრეტულ ეკონომიკურ სეგმენტებზე და მონაცემთა შეგროვების გაძლიერებულ მეთოდებს.

SSA-ს დანერგვა საქართველოში ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკის შემუშავებას, რესურსების ეფექტურ განაწილებას და სპორტის ეკონომიკის სტრატეგიულ პოპულარიზაციას. სპორტის სატელევიზიო ანგარიში არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი როგორც ეკონომისტებისთვის,

ისე სახელმწიფოსა და კერძო სექტორისთვის, რათა განისაზღვროს სპორტის ინდუსტრიის სრული ეკონომიკური წვლილი, დაიგეგმოს ეფექტური პოლიტიკა და განხორციელდეს მომგებიანი ინვესტიციები სპორტის სფეროში.

საკვანძო სიტყვები: სპორტის ეკონომიკა; სპორტის ეკონომიკური გავლენა; სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA); ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA)

შესავალი

სპორტის ეკონომიკური მნიშვნელობა გლობალურად სულ უფრო მეტად არის აღიარებული. სოციალური და ჯანმრთელობის სარგებლის გარდა, სპორტი არის დინამიკური და მზარდი სექტორი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნულ ეკონომიკაში. თუმცა, ეროვნული აღრიცხვის ტრადიციული სისტემები ხშირად აერთიანებენ სპორტთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს უფრო ფართო კატეგორიებში, რაც მის ნამდვილ გავლენას აბუნდოვნებს. **სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA)** ამ პრობლემას წყვეტს, რადგან ის უზრუნველყოფს სპეციალურ სტატისტიკურ ჩარჩოს სპორტის სრული ეკონომიკური კვალის აღსაბეჭდად.

საქართველოსთვის SSA-ს შემუშავება გადამწყვეტია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირებისთვის, რესურსების უკეთესი განაწილებისთვის და სპორტის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

სპორტის სატელიტური ანგარიშების (Sport Satellite Accounts - **SSA**) მოდელი/სისტემა წარმოადგენს ეროვნული ანგარიშების სისტემის (System of National Accounts - **SNA**) გაფართოებას, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის ეკონომიკური წვლილის სრულყოფილად შეფასებას ქვეყნის მშპ-ში, დასაქმებასა და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში.

აღსანიშნავია რომ, სპორტის ინდუსტრიის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე მზარდია. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, სპორტის ეკონომიკა გლობალური მშპ-ს დაახლოებით 2%-ს (დაახლოებით 4.0 ტრილიონ აშშ დოლარს, PPP-ით) შეადგენს. მაგალითად, ევროკავშირის მასშტაბით, სპორტის წილი მშპ-ში დაახლოებით 1.7-2.0%-ია ანუ ევროკავშირის მასშტაბით, ეს მაჩვენებელი იმავე დონეზეა, რაზეც სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა ერთად აღებული. ხოლო, იგივე დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 2.5%-ს აღწევს. ეს ციფრები ხაზს უსვამს სპორტის სექტორის, როგორც ძლიერი ეკონომიკური მამოძრავებლის, როლს. აგრეთვე, სპორტის ინდუსტრიას მნიშვნელოვანი

წვლილი შეაქვს დასაქმებაში. კვლევები აჩვენებს, რომ ევროკავშირში მთლიანი დასაქმების დაახლოებით 2.7%-ზე მეტი (დაახლოებით 5.6 მილიონი ადამიანი) სწორედ სპორტთან დაკავშირებულ სფეროებზე მოდის.

საქართველოში სპორტის ეკონომიკური პოტენციალი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი და ათვისებული. თუმცა, ბოლო წლებში შესაბამისი სტრატეგიები და ზრდადი ბიუჯეტური ხარჯები ხელს უწყობს ამ მიმართულების განვითარებას. სპორტის სფეროზე, მათ შორის, სპორტის ინფრასტრუქტურასა და სპორტის განვითარებაზე მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოსგან ბიუჯეტური დაფინანსება. მაგალითად, საქართველოში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ჯამურად საბიუჯეტო დაფინანსება, სპორტის განვითარებასა და სპორტის ინფრასტრუქტურის დაფინანსების გათვალისწინებით, დაახლოებით 1.5 მილიარდ ლარს აჭარბებს. აღსანიშნავია რომ, მხოლოდ 2025 წელს, სპორტის სამინისტროს დაფინანსება დაახლოებით 300 მილიონ ლარამდეა გაზრდილი.

სახელმწიფოს მხრიდან სპორტის სფეროზე განეული მზარდი დაფინანსება, ერთი მხრივ, აქტუალურს ხდის სპორტის, როგორც დარგის/სფეროს განვითარების პერსპექტივის წარმოჩინებას და მეორე მხრივ, საქართველოში სპორტის სექტორის ეკონომიკური განზომილების შეფასების მნიშვნელობას. სპორტის ეკონომიკური ზეგავლენის სრულყოფილი შეფასების მექანიზმების შექმნის შედეგად, გაუმჯობესდება ქვეყანაში სპორტის სფეროში ინვესტიციების მოზიდვა, ხელი შეეწყობა სპორტული ინდუსტრიის/ეკონომიკის, ტურიზმის განვითარებასა და ზოგადად ქვეყნის პოპულარიზაციას.

საქართველოს სპორტის ინდუსტრიის/ეკონომიკის მოცულობის, მშპ-ში წილისა და დასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი ანუ საქართველოში ჯერჯერობით არ არის შემუშავებული და დანერგული SSA მოდელი/სისტემის მეთოდოლოგია. შესაბამისად, არ არის დათვლილი და ხელმისაწვდომი ინფორმაცია სპორტის ინდუსტრიის/ეკონომიკას რა წვლილი შეაქვს



ქვეყნის მშპ-ში და დასაქმებაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მშპ-სა და დასაქმების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა, „სპორტის სექტორი; სპორტის ინდუსტრია/ეკონომიკა“ როგორც ცალკე კატეგორია, ამ მონაცემებში არ ფიგურირებს ანუ სპორტის სატელიტური ანგარიშების სისტემის არქონის გამო, არ/ვერ არის გამოყოფილი (დათვლილი) სპორტის სფეროს რა წვლილი მიუძღვის ქვეყნის მშპ-ში და დასაქმებაში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დაწყებული აქვს სპორტის სატელიტური ანგარიშების წარმოებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე დამტკიცებული სპორტის ეკონომიკის სტატისტიკის წარმოებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიური მიდგომა/მეთოდოლოგია არ არის მიღებული და ხელმისაწვდომი.

საქართველოში -SSA-ს სისტემის აგება, მეთოდოლოგიური მიდგომისა და წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება და მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სპორტის სექტორის დაფინანსებისა და სპორტის განვითარების პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. მათ შორის, SSA-ს წარმოების სისტემა ხელს შეუწყობს სპორტის სექტორის ეკონომიკური გავლენის გაგებას და ცნობიერების ამაღლებას.

რას წარმოადგენს და რისთვის გამოიყენება სპორტის სატელიტური ანგარიში (SSA)

სპორტის სფერო, სპორტის ინდუსტრია, ეკონომიკური სექტორის მნიშვნელოვანი სეგმენტია და მოიცავს სპორტულ ტურიზმს, სპორტული პროდუქტებით კომერციულ საქმიანობას/ვაჭრობას, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და მართვას, სამედიცინო მომსახურებასა და რეაბილიტაციას, კვლევასა და განვითარებას, სპორტულ ღონისძიებებს, რეკლამასა და მარკეტინგს და სხვას. ის არის სწრაფად მზარდი დასვენებისა და გართობის ინდუსტრიის ნაწილი და გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორიცაა მზარდი მწარმოებლურობა და ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განვითარება. ეს ინდუსტრია გლობალურ ეკონომიკაზე ახდენს ფართო და პერსპექტიულ ზეგავლენას, რადგან გააჩნია „მულტისექტორალური“, „ტრანსცენდენტური“ ანუ გადამკვეთი ურთიერთზემოქმედება სხვა ისეთ სექტორებთან, როგორებიცაა მაგალითად: განათლება, ჯანდაცვა, ტურიზმი, უძრავი ქონება, ვაჭრობა, ტრან-

სპორტი, გართობა, დასვენება და სხვა. სპორტის ინდუსტრია მიიჩნევა ეკონომიკის ერთ-ერთ მზარდ მენისტრიმულ სექტორად. სპორტის ინდუსტრია და მასთან კავშირში მყოფი სექტორები ქმნიან სამუშაო ადგილებს და ბიზნეს შესაძლებლობებს. შესაბამისად, თანდათან იზრდება სპორტთან დაკავშირებული საქმიანობათა გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, ხელისუფლებისთვის მეტად საინტერესო გახდა სპორტთან დაკავშირებული საქმიანობები, რომლის შესახებაც უფრო ზუსტი და დეტალური სურათის შექმნა საჭირო ეკონომიკაში სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების მნიშვნელობისა და ეკონომიკაში მისი წვლილის უფრო სრულყოფილად შესაფასებლად და გასაზომად. აღნიშნული კი, სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების სატელიტური ანგარიშების ანუ სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) სისტემის შექმნას მოითხოვს. ეს არის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების მსგავსი სტრუქტურის მქონე ანგარიშები, რომელშიც სპორტთან დაკავშირებული ყველა საქონელი და მომსახურებაა ასახული და კონსოლიდირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია SSA-ის წარმოებისთვის არსებული სიტუაციისა და მისი მომზადებისა და წარმოებისთვის საჭირო პირობების ანალიზი და შეფასება. მათ შორის, მეთოდოლოგიური მიდგომის, გადასადგმელი ნაბიჯების, ეტაპების განსაზღვრა და შემუშავება.

სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA) არის სტატისტიკური ჩარჩო-სისტემა, რომელიც სპორტთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ აქტივობას ეროვნული ანგარიშების სისტემიდან გამოყოფს და ცალკე (სატელიტურ) ანგარიშში აერთიანებს. ეს საშუალებას იძლევა დავინახოთ სპორტის რეალური წვლილი ეკონომიკაში, რაც სხვა შემთხვევაში ფარული რჩება ფართო კატეგორიებში. მაგალითად, სპორტული ტანსაცმლის წარმოება ხვდება ტანსაცმლის ინდუსტრიაში, სპორტული კომპლექსის ელექტროენერგიის ხარჯი აისახება - ენერგეტიკის სექტორში და ა.შ. შესაბამისად, ამის საპირისპიროდ სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA) სპორტთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ აქტივობას ფართო კატეგორიებიდან გამოყოფს და კონსოლიდირებულად სპორტის კონტექსტში გაერთიანებულად (აჯამებს) და აფასებს მონაცემებს. მაგალითად, საფეხბურთო კლუბ მადრიდის „რეალის“ შემოსავლებში კომერციული შემოსავალი - შემოსავალი „რეალის“ ბრენდის, სავაჭრო

მარკის გამოყენების უფლების რეალიზაციიდან თითქმის 2-ჯერ აღემატება კლუბის შემოსავალს საფეხურთო მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციიდან (შესაბამისად, 482 მლნ ევრო vs 248 მლნ. ევრო, 2023/2024 სეზონის მიხედვით)...

მაშასადამე, SSA წარმოადგენს სპეციალურ სტატისტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც საქვეყნო ეროვნული ანგარიშების სისტემის ფარგლებში გამოიყენება სპორტის სექტორის რეალური ეკონომიკური მნიშვნელობის გამოსავლენად. იგი მიზნად ისახავს სპორტთან დაკავშირებული ყველა ეკონომიკური აქტივობის გარჩევას, გაფილტვრას და გაზომვას, რომლებიც სხვაგვარად დამალულია ეროვნული ანგარიშების სხვა, უფრო ფართო კატეგორიებში.

სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) მეთოდოლოგიური მიდგომის ძირითადი პრინციპები, ჩარჩო და შინაარსი

სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) შემუშავებისთვის, მეთოდოლოგიური მიდგომის ძირითადი პრინციპები ეფუძნება შემდეგ პოსტულატებს:

- **დამოუკიდებელი და სისტემური მიმოხილვა:**
 - SSA წარმოადგენს სტანდარტულ, დამოუკიდებელ, სისტემატურ და ყოვლისმომცველ სტატისტიკას სპორტის ეკონომიკაში, რაც უზრუნველყოფს სპორტის სექტორის ეკონომიკური აქტივობების ზუსტ გამოყოფასა და შეფასებას.
 - **მრავალსექტორული ინტეგრაცია:**

SSA მოიცავს როგორც სპორტული საქმიანობის პირდაპირ ეკონომიკურ აქტივობებს, ასევე სპორტის გავლენას სხვა დარგებზე (თუმცა აქ გადამწყვეტი ფოკუსია სპორტულ ინდუსტრიასა და მომსახურებებზე).
 - **ინტერნაციონალური სტანდარტების შესაბამისობა:**
 - SSA მეთოდოლოგია შეესაბამება საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებს, კერძოდ ნაციონალურ სატელიტურ ანგარიშების მოდელს, რაც საშუალებას იძლევა შედარებადობა მოხდეს სხვადასხვა ქვეყნების სპორტის ეკონომიკურ მაჩვენებლებთან.
 - **მონაცემთა მრავალწყაროიანობა:**
 - SSA-ს შემუშავებისას გამოიყენება არაერთი მონაცემთა წყარო: საბაზო ეკონომიკური სტატისტიკა, სპორტული ორგანიზაციებისა და ფედერაციების მონაცემები, გამოკითხვები, ფინან-

სური ანგარიშგებები, ოფიციალური სტატისტიკა და სხვა.

• **დეტალირება და დიფერენცირება:**

SSA უზრუნველყოფს სპორტის სფეროს დეტალურ კლასიფიკაციას რესურსების, შემოსავლების, დასაქმების და საქმიანობის მიხედვით.

• **სახელმწიფო და არა-სახელმწიფო სექტორის ჩართულობა:**

• მოდელი აღრიცხავს სპორტის აქტივობებს როგორც საჯარო სექტორში, ისე კორპორაციულ და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

SSA-ს ჩარჩო (სტრუქტურა) და მისი შინაარსი მოიცავს შემდეგ შემადგენელს:

• **სპორტის ეკონომიკური აქტივობების განსაზღვრა**

- სპორტული თამაშები და შეჯიბრებები
ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი კომპონენტები

ბრიქსის ქვეყნები ფლობენ მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ბუნებრივ რესურსებს. რუსეთი არის ენერგორესურსების მთავარი მომწოდებელი; ბრაზილია გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და ბიომრავალფეროვნებით; ჩინეთსა და ინდოეთს აქვთ უზარმაზარი მოსახლეობა და

შრომითი ბაზარი, ხოლო სამხრეთ აფრიკა ცნობილია მინერალური რესურსებით, განსაკუთრებით – პლატინითა და ოქროთი (UNCTAD, 2023).

ინდოეთსა და ჩინეთში ერთად 2.8 მილიარდზე მეტი მოსახლეა, რაც მათ არა მხოლოდ შრომითი რესურსების უზარმაზარ ბაზრად აქცევს, არამედ ზრდის მომხმარებლური მოთხოვნის პოტენციალს. განათლების დონე, ციფრული უნარები და დემოგრაფიული ტრენდი ქმნის მნიშვნელოვან უპირატესობას გრძელვადიანი განვითარებისათვის (World Bank, 2023).

ბრიქსის ქვეყნები სულ უფრო მეტად იქცევიან უცხოური ინვესტიციების მიზიდულობის ობიექტებად. მაგალითად, 2022 წელს ბრიქსის ქვეყნებმა მიიზიდეს მსოფლიოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 22% (UNCTAD, 2023).

ჩინეთი ლიდერია ტექნოლოგიურ ინოვაციებში, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტსა და მწვანე ენერგიაში, ხოლო ინდოეთი სწრაფად ვითარდება როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრი. ტექნოლოგიური ინვესტიციები ქმნის დამატებით პოტენციალს გლობალურ კონკურენციაში მონაწილეობისათვის (Saba, C. S., Adegbite, E., & Yusuf, A. 2025).

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები როგორც ეკონომიკური პოტენციალის ინდიკატორები

ეკონომიკური პოტენციალის ანალიზში მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური მონაცემების გამოყენება (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბრიქსის საერთო მშპ 2020–2024 წლებში მუდმივად იზრდებოდა და 2024 წლის პროგნოზით 28 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს, რაც აძლიერებს მათ პოზიციას მსოფლიო ეკონომიკაში. (Kumar, S. 2024).

2022 წელს ბრიქსის ქვეყნებში inward-FDI 470 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, საიდანაც 57%

ცხრილი 1. ბრიქსის ქვეყნების მშპ (მილიარდი აშშ დოლარი, 2020–2024)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023	2024* (პროგნ.)
ბრაზილია	1,449	1,608	1,920	2,131	2,243
რუსეთი	1,478	1,778	2,240	2,250	2,350
ინდოეთი	2,660	3,170	3,730	4,150	4,520
ჩინეთი	14,687	17,820	18,100	18,630	19,200
სამხრეთ აფრიკა	301	419	405	399	412
ჯამი	20,575	24,795	26,395	27,560	28,725

* წყარო: IMF (2023), World Bank (2023).

მოდიოდა ჩინეთზე, 22% – ინდოეთზე, ხოლო დანარჩენი განაწილდა ბრაზილიასა და რუსეთს შორის (UNCTAD, 2023).

ბოსტონ ქონსალტინგ ჯგუფის მონაცემებით, 2024 წლისთვის ბრიქსის წევრებს შორის სავაჭრო ბრუნვა ორჯერ აღემატებოდა ბრიქსისა და G7-ის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვას (Boston Consulting Group, 2024). ეს ტენდენცია მიუთითებს ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებაზე

თეორიული ხედვები გლობალურ ეკონომიკაში ბრიქსის როლის შესახებ

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიები მიუთითებენ, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ზრდის წარმოების ეფექტიანობას და ამცირებს სავაჭრო ბარიერებს (Balassa, 1961). ბრიქსის მაგალითი ადასტურებს ამ მიდგომას, ვინაიდან წევრი ქვეყნები თანდათანობით ზრდიან ერთმანეთთან სავაჭრო ბრუნვას და ინვესტიციების ნაკადს.

გლობალური დივერსიფიკაციის თეორიის თანახმად, ეკონომიკები, რომლებიც აერთიანებენ განსხვავებულ სტრუქტურებს – ენერგეტიკული, ინდუსტრიული, აგრარული და ტექნოლოგიური – უკეთესად უძლებენ გლობალურ შოკებს (Krugman, 1980). ბრიქსის ქვეყნების მრავალფეროვანი ეკონომიკური სტრუქტურა სწორედ ასეთ უპირატესობას ქმნის.

გარდა ამისა, სტაბილურობის თეორიები ხაზს უსვამენ ფინანსური ინსტიტუტების როლს გლობალურ ეკონომიკაში (North, 1990). ბრიქსის ქვეყნებმა უკვე დააფუძნეს ახალი განვითარების ბანკი (New Development Bank – NDB), რომლის მიზანია ინფრასტრუქტურულ და ინოვაციურ პროექტებში ფინანსური რესურსების კონცენტრაცია, რაც მათ ეკონომიკურ პოტენციალს კიდევ უფრო აძლიერებს. (Banque de France. 2024, February 13).

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი განპირობებულია ბუნებრივი რესურსებით, შრომითი

ბაზრის მასშტაბით, საინვესტიციო მიმზიდველობითა და ტექნოლოგიური განვითარების ტემპებით. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ მათი წილი მსოფლიო ეკონომიკაში სწრაფად იზრდება და 2023 წელს უკვე 31.5%-ს შეადგენდა (IMF, 2023).

თეორიული ანალიზი მიუთითებს, რომ ბრიქსის ძალა არ შემოიფარგლება ინდივიდუალური ეკონომიკური ზრდით; მათ შორის თანამშრომლობა ქმნის სინერგიას, რომელიც აძლიერებს მათ პოზიციას გლობალურ ბაზარზე. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა – სტრუქტურული უთანასწორობა, ინფრასტრუქტურული ხარვეზები და პოლიტიკური რისკები – ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალი რჩება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გარდაქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

თავი II. ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ეკონომიკური ზრდის დინამიკა

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი ზრდის დინამიკა გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვან განსხვავებებს ქმნის. პანდემიის კრიზისის ფონზე 2020 წელს ყველა წევრმა ქვეყანამ ნეგატიური ზრდა განიცადა, თუმცა აღდგენის სიჩქარე და სტრუქტურა მკვეთრად განსხვავებული აღმოჩნდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2023 წელს ბრიქსის ბლოკის საშუალო ეკონომიკური ზრდა 4.9%-ს შეადგენდა, მაშინ როცა გლობალური ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 3% იყო (IMF, 2024). ეს განსხვავება მიუთითებს არა მხოლოდ რაოდენობრივ მდგრადობაზე, არამედ იმ ხარისხობრივ ფაქტორებზე, რომლებიც განსაზღვრავს ბრიქსის ბლოკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას (იხ. ცხრილი 2).

ინდოეთი და ჩინეთი ამ კონტექსტში გამორჩეული ლიდერები არიან. ინდოეთის ეკონომიკამ

ცხრილი 2. ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპები (% წლიურად, 2020–2024)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023	2024* (პროგნ.)
ბრაზილია	-4.1	4.6	3.0	2.9	2.1
რუსეთი	-2.7	4.7	-2.1	2.2	2.6
ინდოეთი	-6.6	8.9	6.8	6.3	6.5
ჩინეთი	2.2	8.4	3.0	5.2	4.8
სამხრეთ აფრიკა	-6.3	4.9	2.0	1.1	1.4
საშუალო	-3.5	6.3	2.9	3.5	3.5

*წყარო: IMF (2024), World Bank (2024).

2021 წელს თითქმის 9%-იანი ზრდა აჩვენა, ხოლო 2022–2023 წლებში სტაბილურად 6%-ის ზემოთ შენარჩუნება შეძლო. აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია როგორც შიდა მოთხოვნის ზრდით, ისე მომსახურების სექტორის, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ფარმაცევტული ინდუსტრიის დინამიკით. ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც 2020 წელსაც დადებით ზრდას იწარჩუნებდა (2.2%), პოსტპანდემიურ პერიოდში სწრაფად აღდგა და 2021 წელს 8.4%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში ზრდა შენედა 5%-ის ფარგლებში, ქვეყანა მაინც რჩება მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტის მთავარ ცენტრად (World Bank, 2024).

რუსეთისა და ბრაზილიის მაჩვენებლები შედარებით ცვალებადია. რუსეთის ეკონომიკა 2022 წელს 2%-ზე მეტით შემცირდა, რაც დაკავშირებულია გეოეკონომიკურ შეზღუდვებთან და გლობალური ენერგეტიკული ბაზრების რყევებთან. მიუხედავად ამისა, 2023 წელს ეკონომიკამ პოზიტიური ტემპი აჩვენა, რაც დიდწილად ენერგორესურსების ექსპორტზე მაღალი ფასებით იყო განპირობებული. ბრაზილიის ეკონომიკამ კი პანდემიის შემდეგ სტაბილური, მაგრამ შედარებით დაბალი ზრდა შეინარჩუნა – საშუალოდ 2–3% წელიწადში.

ეს ტენდენცია ასახავს ქვეყნის სტრუქტურულ დამოკიდებულებას სასოფლო-სამეურნეო ექსპორტზე, რომელიც ხშირად ექვემდებარება გლობალური ფასების მერყეობას (UNCTAD, 2023).

სამხრეთ აფრიკის ეკონომიკა ყველაზე მოწყვლადია ბლოკში. პანდემიის შედეგად 2020 წელს 6%-ზე მეტით შემცირების შემდეგ, აღდგენის ტემპები საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა და 2023 წელს მხოლოდ 1%-ის ფარგლებში გაიზარდა. ამის მთავარი მიზეზია სტრუქტურული პრობლემები – ინფრასტრუქტურული დეფიციტი, სოციალური უთანასწორობა და სუსტი საინვესტიციო კლიმატი (World Bank, 2024).

ამგვარად, ბრიქსის ბლოკის ეკონომიკური ზრდის საერთო სურათი ორპირია: ერთი მხრივ, ინდოეთი და ჩინეთი ქმნიან ბლოკის ზრდის ბირთვს, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალოზე მაღალ მაჩვენებლებს და ქმნიან გლობალური ეკონომიკური დინამიკის მნიშვნელოვან ნაწილს; მეორე მხრივ, ბრაზილიის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის შედარებით ნელი და არასტაბილური ზრდა მიუთითებს სტრუქტურულ პრობლემებზე, რომელთა დაძლევა საჭიროებს ინსტიტუციური რეფორმების გაღრმავებასა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაძლიერებას. (Cochrane, L. 2024).

საერთაშორისო ვაჭრობა

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ანალიზში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, 2023 წლისთვის მათი წილი გლობალურ სავაჭრო ბრუნვაში უკვე 20%-ს აჭარბებდა (WTO, 2024). ეს ციფრი კარგად აჩვენებს, რომ ბრიქსი აღარ არის მხოლოდ რეგიონული გაერთიანება, არამედ გლობალური სავაჭრო სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ძალა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს როგორც G7-ს, ისე სხვა მსხვილ ბლოკებს.

ცხრილი 3. ბრიქსის ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა (ტრილიონი აშშ დოლარი, 2023)

ქვეყანა	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსი
ბრაზილია	0.34	0.27	+0.07
რუსეთი	0.49	0.28	+0.21
ინდოეთი	0.45	0.59	-0.14
ჩინეთი	3.38	2.55	+0.83
სამხრეთ აფრიკა	0.13	0.12	+0.01
ჯამი	4.79	3.81	+0.98

*წყარო: WTO (2024).

ბლოკის შიგნით ქვეყნები განსხვავებული ეკონომიკური პროფილით გამოირჩევიან, რაც ქმნის ვაჭრობის კომპლემენტარულ სტრუქტურას. ჩინეთი ლიდერია როგორც ექსპორტის, ისე სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლებით – 2023 წელს მისი ექსპორტი 3.3 ტრილიონ დოლარს აღემატებოდა, ხოლო დადებითი ბალანსი თითქმის 1 ტრილიონს შეადგენდა (World Bank, 2024). ეს წარმატება განპირობებულია ინდუსტრიული წარმოების მასშტაბით, ტექნოლოგიური პროდუქციის სწრაფი ზრდით და გლობალურ ბაზრებზე პოზიციების გაძლიერებით.

რუსეთის სავაჭრო პროფილი უმთავრესად ენერგორესურსებზეა დაფუძნებული. 2023 წელს ქვეყანამ 490 მილიარდ დოლარზე მეტი ექსპორტი განახორციელა, საიდანაც ძირითადი ნაწილი ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე მოდიოდა. მაღალი ფასების პირობებში ქვეყანამ შეძლო პოზიტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება, თუმცა მისი



სტრუქტურა მკვეთრად არადივერსიფიცირებული რჩება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხეს ქმნის.

ბრაზილიის ეკონომიკური სიძლიერე აგრარულ სექტორშია. 2023 წელს ექსპორტის მოცულობა 340 მილიარდ დოლარს შეადგენდა, რაც ძირითადად სოიას, ყავასა და ხორცს უკავშირდება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალი მოთხოვნა, განსაკუთრებით აზიურ ბაზრებზე, ბრაზილიას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს პოზიტიური სავაჭრო ბალანსი, თუმცა მისი დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე სტრუქტურულად მოწყვლადს ხდის გლობალური ფასების ცვალებადობის მიმართ (UNCTAD, 2023).

ინდოეთის შემთხვევაში სურათი განსხვავებულია. 2023 წელს ექსპორტის მოცულობა 450 მილიარდ დოლარს შეადგენდა, თუმცა იმპორტმა 590 მილიარდს გადააჭარბა, რის შედეგადაც ქვეყანას 140 მილიარდიანი დეფიციტი დაუგროვდა. დეფიციტის ძირითადი წყარო ენერგორესურსების და სამრეწველო საქონლის მაღალი იმპორტია. მიუხედავად ამისა, ინდოეთის სერვისების ექსპორტი, განსაკუთრებით IT-სფეროში, ზრდის პოზიტიურ პერსპექტივას და ანაზღაურებს საქონლის ვაჭრობაში არსებულ დისბალანსს (IMF, 2024).

სამხრეთ აფრიკის სავაჭრო მაჩვენებლები შედარებით მცირეა, თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. მისი ექსპორტი 2023 წელს 130 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საიდანაც დიდი ნაწილი პლატინზე და ოქროზე მოდიოდა. მიუხედავად ზომის სიმცირისა, რესურსებზე ორიენტირებული სტრუქტურა ქვეყნისთვის გლობალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს, განსაკუთრებით მეტალურგიული ინდუსტრიების მიწოდების ჯაჭვში. (United Nations Conference on Trade and Development, 2023).

ამრიგად, ბრიქსის ქვეყნების სავაჭრო ტენდენციები ნათლად აჩვენებს განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ პროფილს: ჩინეთი ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ექსპორტით, ინდოეთი მომსახურებით, რუსეთი ენერგორესურსებით, ბრაზილია სასოფლო-სამეურნეო საქონლით, ხოლო სამხრეთ აფრიკა მინერალური რესურსებით ქმნიან მრავალფეროვან, თუმცა სტრატეგიულად დაბალანსებულ სტრუქტურას. ეს დივერსიფიკაცია, მიუხედავად ინდივიდუალური გამოწვევებისა, უზრუნველყოფს ბლოკის საერთო სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას და ზრდის მათ შესაძლებლობას გლობალური ბაზრების სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა მიიჩნევა, რადგან ის ნათლად ასახავს საერთაშორისო კაპიტალის ნდობას და ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობას. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და ამით ბრიქსის ბლოკი მსოფლიო საინვესტიციო რუკაზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

ცხრილი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) (მილიარდი აშშ დოლარი, 2020-2023)

ქვეყანა	2020	2021	2022	2023
ბრაზილია	28	50	91	92
რუსეთი	10	38	19	20
ინდოეთი	65	83	71	76
ჩინეთი	149	181	189	200
სამხრეთ აფრიკა	3	5	9	8
ჯამი	255	357	379	396

*წყარო: UNCTAD (2023).

გაეროს სავაჭრო და განვითარების კონფერენციის (UNCTAD, 2023) მონაცემებით, 2023 წელს ბრიქსის ქვეყნებში inward-FDI-ით შემოსული 400 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 2020 წელთან შედარებით დაახლოებით 55%-ით მეტია. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ გლობალური ინვესტორები სულ უფრო მეტად აფასებენ ბრიქსის ბაზრების პოტენციალს როგორც ინფრასტრუქტურის, ისე ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის მიმართულებით. UNCTAD (2023).

ჩინეთი ინვესტიციების უდიდეს მიმღებად რჩება. 2023 წელს ქვეყანამ დაახლოებით 200 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია მოიზიდა, რაც მთლიანი BRICS ინვესტიციების ნახევარს აღემატება. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ტექნოლოგიურ სექტორში, სადაც ინვესტიციები მიმართულია ხელოვნური ინტელექტის, მწვანე ენერგეტიკისა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ინდოეთი მეორე ადგილზეა ინვესტიციების მოცულობით. 2023 წელს ქვეყანამ 76 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია მიიღო, რაც ძირითადად ინფორმაციული ტექნოლოგიების, ფარმაცევტული ინდუსტრიისა და სერვისების სექტორში ხორციელდება. ეს ტენდენცია ადასტურებს ქვეყნის მზარდ როლს როგორც გლობალური ინოვაციური ჰაბისა.

ბრაზილიის ინვესტიციების ზრდაც საგულისხმოა. 2022-2023 წლებში ქვეყანამ საშუალოდ 90 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია მიიღო, რაც უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო სექტორსა და განახლებად ენერგიებს უკავშირდება. ეს მიუთითებს, რომ ბრაზილია არა მხოლოდ აგრარული პროდუქციის ექსპორტში, არამედ მწვანე ინვესტიციების მიმართულებითაც ხდება კონკურენტუნარიანი.

რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის მაჩვენებლები შედარებით მცირეა, თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. რუსეთში ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 20 მილიარდ დოლარს შეადგენდა და ძირითადად ენერგეტიკასა და ბუნებრივ რესურსებზე იყო კონცენტრირებული. სამხრეთ აფრიკაში კი ინვესტიციები 8 მილიარდ დოლარამდე იყო, რაც ქვეყნის ეკონომიკის მცირე მასშტაბს ასახავს, თუმცა მინერალური რესურსების სექტორის გლობალური მნიშვნელობის გათვალისწინებით ინვესტიციებისთვის მაინც საინტერესო მიმართულებად რჩება.

საერთო სურათი ცხადყოფს, რომ ბრიქსის ქვეყნებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის ტენდენცია მუდმივად მზარდია. ამ პროცესს ხელს უწყობს შიდა ბაზრების მასშტაბი, დემოგრაფიული რესურსი და სექტორული მრავალფეროვნება. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების გეოგრაფიული განაწილება მკვეთრად უთანასწოროა: ძირითადი ნაკადები კონცენტრირებულია ჩინეთსა და ინდოეთში, მაშინ როდესაც სამხრეთ აფრიკა და ნაწილობრივ რუსეთი შედარებით მცირე წილს იკავებენ.

ეს უთანასწორობა ქმნის როგორც გამოწვევას, ისე შესაძლებლობას. ერთი მხრივ, პატარა ეკონომიკები ნაკლებად სარგებლობენ კაპიტალის ნაკადებით, მეორეს მხრივ კი, ბრიქსის შიგნით თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ფინანსური ინსტიტუტების (მაგალითად, ახალი განვითარების ბანკის) გამოყენება საშუალებას იძლევა ინვესტიციების განაწილება უფრო დაბალანსებული გახდეს.

სექტორული სტრუქტურის ტენდენციები

ბრიქსის ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია მისი სტრუქტურული მრავალფეროვნება, რომელიც თითოეულ ქვეყანას უნიკალურ როლს ანიჭებს გლობალურ ეკონომიკაში. სწორედ ამ მრავალფეროვნებას უკავშირდება მათი საერთო ეკონომიკური სიმძლავრე: სხვადასხვა სექტორზე დაყრდნობით, ისინი ქმნიან კომპლემენტარულ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს მდგრადობას გლობალური რყევების მიმართ.

ცხრილი 5. სექტორული წილი მშპ-ში (% 2023)

ქვეყანა	აგრარული	ინდუსტრია	სერვისები
ბრაზილია	7	26	67
რუსეთი	4	32	64
ინდოეთი	17	25	58
ჩინეთი	8	39	53
სამხრეთ აფრიკა	2	30	68

*წყარო: World Bank (2024).

ჩინეთის ეკონომიკა მკვეთრად ინდუსტრიული ხასიათისაა. მსოფლიო ბანკის (2024) მონაცემებით, 2023 წელს ინდუსტრიის წილი ქვეყნის მშპ-ში 39%-ს შეადგენდა, რაც წარმოებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მწვანე ენერგეტიკის განვითარებას უკავშირდება. ჩინეთი არამხოლოდ „მსოფლიო ქარხანად“ რჩება, არამედ თანდათან გადადის მაღალი ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე, რაც ტექნოლოგიური ექსპორტის ზრდაში კარგად ჩანს. (An evolving BRICS and the shifting world order. 2024, April 29).

ინდოეთის ეკონომიკა განსხვავებული პროფილით გამოირჩევა. აქ სერვისების სექტორი წამყვან როლს თამაშობს და მშპ-ის 58%-ზე მეტს შეადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია IT-სექტორი და ფარმაცევტული ინდუსტრია, რომელთა სწრაფი განვითარება ინდოეთს გლობალურ ინოვაციურ ჰაბად აქცევს. ამასთან, აგრარული სექტორი კვლავინდებურად დიდ წილს იკავებს (17%), რაც მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის ორმაგ ბუნებაზე: ტრადიციულსა და თანამედროვე მიმართულებებს შორის თანაცხოვრებაზე.

რუსეთის ეკონომიკა ენერგეტიკაზეა ორიენტირებული. 2023 წელს ინდუსტრიის წილმა მშპ-ში 32% შეადგინა, საიდანაც უმეტესი ნაწილი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის წარმოებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სერვისების სექტორი 64%-ს მოიცავს, რუსეთის ეკონომიკური სტრუქტურა კვლავ მკვეთრად დამოკიდებულია ენერგორესურსებზე, რაც მის გრძელვადიან მდგრადობას გარკვეულ რისკებს უქმნის (IMF, 2024).

ბრაზილიის ეკონომიკური პროფილი აგრარულ სექტორზეა დამყარებული. 2023 წელს სოფლის მეურნეობა მშპ-ის 7%-ს შეადგენდა, თუმცა მისი მნიშვნელობა გაცილებით აღემატება სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რადგან ქვეყანა მსოფლიო ბაზრისთვის სოიოს, ყავისა და ხორცის ერთ-ერთი

უმთავრესი მომწოდებელია. ინდუსტრიისა და სერვისების წილი შესაბამისად 26% და 67%-ია, რაც მიუთითებს, რომ აგრარული სიძლიერე ემყარება მომსახურებისა და ტრანსპორტის განვითარებულ სისტემას (World Bank, 2024).

სამხრეთ აფრიკა სტრუქტურულად ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მინერალურ რესურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 2%-ია, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი უკავია მეტალურგიასა და საბადოების ექსპლუატაციას. ინდუსტრიის წილი მშპ-ში 30%-ია, ხოლო სერვისების – 68%, თუმცა ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა მაინც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პლატინისა და ოქროს ექსპორტზე. (Fliagin, D., Ivanov, V., & Petrova, E. 2025).

ამ სურათის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ბრიქსის ქვეყნები ქმნიან ურთიერთშემავსებელ მოდელს: ჩინეთი და ინდოეთი ტექნოლოგიებითა და სერვისებით, რუსეთი ენერგორესურსებით, ბრაზილია აგრარულ პროდუქტებით, ხოლო სამხრეთ აფრიკა მინერალური რესურსებით ერთობლივად ქმნიან ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მნიშვნელოვნად შეამცირონ გლობალური შოკების რისკი და განამტკიცონ საკუთარი პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე. სწორედ ეს სტრუქტურული მრავალფეროვნება ქმნის ბრიქსის ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს.

ინდოეთსა და ჩინეთში სამუშაო ძალის ზომა 1.2 მილიარდზე მეტია, რაც წარმოადგენს მსოფლიო შრომითი ბაზრის თითქმის 40%-ს (ILO, 2024). ეს ქმნის როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობებს (დაბალი წარმოების ხარჯები, შიდა მოთხოვნა), ასევე გამოწვევებს (დასაქმების მაღალი საჭიროება, განათლების ხარისხი).

ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციები ცხადყოფს: ბრიქსის ქვეყნები ინარჩუნებენ მაღალი ზრდის ტემპს, განსაკუთრებით ინდოეთი და ჩინეთი; ბრიქსის ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში და ინვესტიციებში წლიდან წლამდე იზრდება; ბრიქსის ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის მრავალფეროვნება ქმნის კომპლემენტარულ უპირატესობას; გრძელვადიან პერსპექტივაში ბრიქსი თანდათან გადაიქცევა გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

დასკვნა

სტატიის ფარგლებში განხილულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბრიქსის ქვეყნები დღეს არა მხოლოდ

რეგიონული, არამედ გლობალური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მათი წილი მსოფლიო მშპ-ში უკვე 30%-ს აღემატება, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები მნიშვნელოვანწილად სჯობნის გლობალურ საშუალო მაჩვენებლებს (IMF, 2024). ეს დინამიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში სტაბილურად 5–6%-ის ფარგლებში რჩება.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბრიქსის ეკონომიკური სიძლიერე მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებში არ გამოიხატება. მათ სტრუქტურული მრავალფეროვნება – ინდოეთისა და ჩინეთის ტექნოლოგიური და სერვისული დომინანტობა, რუსეთის ენერგეტიკული რესურსები, ბრაზილიის აგრარული ბაზარი და სამხრეთ აფრიკის მინერალური სიმდიდრე – ქმნის ისეთ კომპლემენტარულ სტრუქტურას, რომელიც ბლოკს საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანად უპასუხოს გლობალური ბაზრების ცვლილებებს.

დემოგრაფიული ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან უპირატესობას ქმნის: ინდოეთსა და ჩინეთში შრომითი ბაზარი მსოფლიო სამუშაო ძალის თითქმის 40%-ს შეადგენს (ILO, 2024), რაც ზრდის როგორც წარმოების მასშტაბებს, ისე შიდა მოთხოვნას. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბა (UNCTAD, 2023), რაც მიუთითებს ბრიქსის მზარდ როლზე როგორც გლობალური კაპიტალის მიმღებ ბაზარზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბრიქსის ბლოკის მნიშვნელობა ზრდადი ტრენდით ხასიათდება არა მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების მასშტაბით, არამედ სტრუქტურული მდგრადობისა და გლობალური ეკონომიკური ნებსრიგის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც. ბლოკის განვითარების ტენდენციები ცხადყოფს, რომ მათი ეკონომიკური ინტეგრაცია, დივერსიფიცირებული სტრუქტურა და დემოგრაფიული რესურსი ქმნის წინაპირობას, რომ ბრიქსი მომავალში იქცეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ბირთვად. ამასთან, მათი სრული პოტენციალის რეალიზება საჭიროებს შიდა სტრუქტურული პრობლემების – უთანასწორობის, ინფრასტრუქტურული დეფიციტისა და ინსტიტუციური სისუსტეების გადალახვას, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან სტაბილურობასა და კონკურენტუნარიანობას.

GET SMARTER RESPONSES, UPLOAD FILES
AND IMAGES, AND MORE

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: August 24, 2025
Published: September 11, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20032025-80

Giorgi Oboladze

Master of Geology

Phd student at Georgian Technical University

Email: giorgioboladze1@gmail.com



ABSTRACT

Quantitative Risk Assessment (QRA) is one of the key tools in industrial safety, aimed at estimating the probability and consequences of potential hazardous events. Despite its widespread application, practical experience reveals that the reliability and interpretability of QRA heavily depend on the level and sources of uncertainty embedded within the assessment process. This article explores the internal limitations of QRA methodology, classifies the primary sources of uncertainty, and outlines opportunities for reducing uncertainty—particularly through the integration of physical sciences.

A well-known case study is analyzed in which multiple expert groups independently conducted QRA for an ammonia storage facility. The results demonstrated significant dispersion in risk indicators: for example, the estimated frequency of pipeline rupture ranged from 2×10^{-8} to 4×10^{-4} per year. Such variability highlights the lack of methodological consistency and points to systemic uncertainty. The study identifies various contributing factors, including inconsistent or insufficient initial data, divergent modeling approaches, oversimplified physical assumptions, and human errors during modeling and analysis.

This article proposes a structured classification of uncertainty sources and argues that QRA improvement is unattainable without active integration of the physical sciences. Thermodynamics allows the calculation of critical parameters—such as pressure, temperature, and density—under real accident conditions, while chemical kinetics helps estimate the rate and intermediate stages of processes. Unfortunately, these methods are often replaced in practice by oversimplified assumptions (e.g., constant temperature during evaporation), reducing the physical accuracy of the models.

The article offers practical recommendations for reducing uncertainty in QRA, including: Improving the quality and availability of initial data; Standardizing and validating the models used; Integrating accurate physical descriptions of processes into QRA models; Enhancing the interdisciplinary qualifications of specialists; Applying the conservative assumption principle appropriately under uncertainty.

In conclusion, the advancement of QRA methodology depends not only on better statistics or software tools but also on a system-level understanding that includes physics, chemistry, and engineering. Uncertainty should be seen as a manageable component of the risk assessment process rather than an inherent flaw. Achieving this perspective will lay the groundwork for more reliable and outcome-driven industrial safety strategies.

Keywords: Industrial Safety, Quantitative Risk Assessment, Uncertainty, Modeling, Conservative Approach, QRA, Thermodynamics.



REFERENCES

1. Lauridsen, K., Kozine, I., Markert, F., et al. (2002). *Assessment of uncertainties in risk analysis of chemical establishments. The ASSURANCE project: Final summary report*. Risø-R-1344(EN). <https://core.ac.uk/reader/13786169>
2. Yakushev, A.I., Vorontsov, L.N., Fedotov, N.M. (1987). *Exchangeability, standardization and technical measurements* [Взаимозаменяемость, стандартизация и технические измерения]. 6th ed., revised. Moscow: Mashinostroyeniye. (Russian)
3. Samsonov, R.O., Skrepnyuk, A.B., Ovcharov, S.V., et al. (2007). *Role and place of an industrial safety declaration in solving problems of technical state control* [Роль и место промышленной безопасности в решении проблем технического регулирования]. *Безопасность труда в промышленности*, №9, pg. 34–40. ISSN 0409-2961. (Russian)
4. ISO 31000:2018 – *Risk management – Guidelines*.
5. CCPS (Center for Chemical Process Safety). (2000). *Guidelines for Chemical Process Quantitative Risk Analysis*, 2nd ed. American Institute of Chemical Engineers.
6. Lees, F.P. (2012). *Lees' Loss Prevention in the Process Industries: Hazard Identification, Assessment and Control*. 4th ed., Butterworth-Heinemann.
7. Crowl, D.A., Louvar, J.F. (2011). *Chemical Process Safety: Fundamentals with Applications*. 3rd ed., Prentice Hall.
8. HSE (UK Health and Safety Executive). (2001). *Reducing Risks, Protecting People: HSE's Decision-Making Process*.
9. Неопределенности количественной оценки риска аварий на нефтегазовых объектах М.В. Лисанов^{1*}, С.И. Сумской², А.А. Швыряев³____ Научно-технический сборник · ВЕСТИ ГАЗОВОЙ НАУКИ_№ 2 (34) / 2018_ https://safety.ru/sites/default/files/lisanov-sumskoy-shvyryaev-neopredelennosti_kor.pdf
10. Uncertainty in industrial practice: a guide to quantitative uncertainty management / ed. by E. de Rocquigny, N. Devictor, S. Tarantola. – Нью-Йорк: John Wiley & Sons, 2008. – 366 с.
11. Guidelines for chemical process quantitative risk analysis. – 2-е изд. – Нью-Йорк: American Institute of Chemical Engineers, 2000. – 724 с.
12. Лисанов М.В. О техническом регулировании и критериях приемлемого риска / М.В. Лисанов // *Безопасность труда в промышленности*. – 2017. – № 12. – С. 51–56.
13. Колесников Е.Ю. Количественное оценивание неопределенности техногенного риска. Ч. 2 / Е.Ю. Колесников // *Проблемы анализа риска*. – 2013. – Т. 10. – № 3. – С. 8–31

ნავთობგაზის სფეროში რისკის შეფასების გამოწვევები

გიორგი ობოლაძე

გეოლოგიის მაგისტრი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

რაოდენობრივი რისკის შეფასება (QRA) სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტრუმენტს პოტენციური ავარიული მოვლენების ალბათობისა და შედეგების განსაზღვრისთვის. თუმცა, მიუხედავად მისი ფართო გამოყენებისა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ QRA-ს სანდოობა და ინტერპრეტაციის სიზუსტე მნიშვნელოვნად იზრდება ან კლებულობს იმავე სისტემაში არსებული გაურკვევლობის ხარისხზე დაყრდნობით. მოცემული სტატია ეხება ამ მეთოდოლოგიის შიდა შეზღუდვებს, მათი გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაციას და შესაძლებლობებს გაურკვევლობის შემცირებისთვის, განსაკუთრებით ფიზიკური მეცნიერებების ინტეგრაციის გზით.

სტატიაში წარმოდგენილია ერთი ცნობილი ქეის-სტადის — ამიაკის საცავ ობიექტზე ჩატარებული მრავალექსპერტული QRA-ანალიზის შედეგები, რომლებიც ნათლად აჩვენებს რისკის მაჩვენებლების ფართო გაფანტვას. მაგალითად, ერთსა და იმავე ობიექტზე მილსადენის დაზიანების სიხშირის შეფასება მერყეობდა 2×10^{-8} -დან 4×10^{-4} -მდე წელიწადში, რაც პრაქტიკულად აუქმებს რისკის შეფასების უნიფი-

ცირებულობას. განხილული გაურკვეველობა წარმოიშობა სხვადასხვა წყაროდან: საწყისი მონაცემების არასაკმარისი ან არათანაბარი სანდოობა, გამოყენებული მოდელების არაკონსისტენტურობა, ფიზიკური პროცესების ზედაპირული აღწერა და ადამიანური შეცდომები, განსაკუთრებით მოდელირების პროცესში.

სტატია სთავაზობს მკითხველს გაურკვევლობის ძირითადი წყაროების კლასიფიკაციას და ავითარებს არგუმენტს, რომ QRA-ს გაუმჯობესება შეუძლებელია ფიზიკური მეცნიერებების აქტიური ინტეგრაციის გარეშე. თერმოდინამიკის მეშვეობით შესაძლებელია რეალურ ავარიულ პირობებში ისეთი პარამეტრების გათვლა, როგორიცაა წნევა, ტემპერატურა და სიმკვრივე, ხოლო ქიმიური კინეტიკა საშუალებას იძლევა შეფასდეს პროცესების განვითარების სიჩქარე და შუალედური მდგომარეობები. სამწუხაროდ, ეს მიდგომები პრაქტიკაში ხშირად იცვლება გამარტივებული დაშვებებით (მაგალითად, აორთქლების პროცესში ტემპერატურის უცვლელობა), რაც ამცირებს მოდელის შესაბამისობას რეალურ ფიზიკურ პროცესებთან.

სტატია მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს გაურკვევლობის შემცირებისთვის, მათ შორის: საწყისი მონაცემების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; გამოყენებული მოდელების სტანდარტიზაცია და ვალიდაცია; ფიზიკური პროცესების სწორად ინტეგრირება QRA-მოდელებში; სპეციალისტთა გადამზადება და მათი ინტერდისციპლინარული კვალიფიკაციის ამაღლება; კონსერვატორული დაშვების პრინციპის გონივრულად გამოყენება გაურკვევლობის პირობებში.

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ QRA-ს მეთოდოლოგიის განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტატისტიკური ან პროგრამული გაუმჯობესებებზე, არამედ ღრმა სისტემურ გააზრებაზე – მათ შორის ფიზიკის, ქიმიის და ინჟინერიის ერთობლივი ჩართვით. გაურკვევლობა უნდა განიხილებოდეს როგორც მართვადი კომპონენტი და არა როგორც გადაულახავი ბარიერი. სწორედ ამის მიღწევა გახდება საფუძველი სანდო და შედეგზე ორიენტირებული სამრეწველო უსაფრთხოების სტრატეგიებისთვის.

თემის აქტუალობა: სამრეწველო და განსაკუთრებით საშიში რისკების უსაფრთხოება თანამედროვე ტექნოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ამავდროულად, რისკის რაოდენობრივი შეფასება (Quantitative Risk Assessment - QRA) არის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ინსტრუმენტი უსაფრთხოების დონის განსასაზღვრად. თუმცა, პრაქტიკაში ამ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულია სერიოზული პრობლემები – სანდოობა, გაურკვევლობა და ინტერპრეტაციის სირთულე. სტატია ეხება იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც ხელს უშლის რაოდენობრივი ანალიზის ერთმნიშვნელოვნად გამოყენებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მით უფრო პოლიტიკის დაგეგმვაში.

კვლევის მიზანი: რისკის რაოდენობრივი შეფასების პროცესში გაურკვევლობის ძირითადი წყაროების იდენტიფიცირება, ანალიზი და ამ მეთოდოლოგიის გამოყენების სანდოობის პრობლემების გამოყოფა სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში.

კვლევის ობიექტი: სამრეწველო უსაფრთხოების სისტემები და მათში გამოყენებული რისკის რაოდენობრივი შეფასების მოდელები.

კვლევის საგანი: რისკის რაოდენობრივი შეფასებისას არსებული გაურკვევლობების წყაროები, მათ შორის სანყისი მონაცემების, მოდელების და ადამიანის ფაქტორის (შემსრულებლების) გავლენა შედეგებზე.

კვლევის მეთოდები: ლიტერატურისა და სტანდარტების ანალიზი (მაგ. ASSURANCE პროექტი); საკვლევი მაგალითების (ამიაკის საცავის შემთხვევა) განხილვა; მეთოდოლოგიური შედარება (თერმოდინამიკური vs პრაქტიკულად გამოყენებული მიდგომები); გაურკვევლობის კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია; კონსერვატორული მიდგომების განხილვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო უსაფრთხოება, რისკის რაოდენობრივი შეფასება, გაურკვევლობა, მოდელირება, კონსერვატორული მიდგომა, QRA, თერმოდინამიკა.

შესავალი

სამრეწველო უსაფრთხოება თანამედროვე ტექნოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან, გარემოს დაცვის მოთხოვნებთან და ეკონომიკური დანაკარგების მინიმიზაციასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება უსაფრთხოების დაცვა საშიში ტექნოლოგიური პროცესების მქონე ობიექტებზე, სადაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო გაუმართაობამაც კი შეიძლება მიგვიყვანოს მასშტაბურ ავარიებამდე, ხანძრებსა და ეკოლოგიურ კატასტროფებამდე.



ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში, უსაფრთხოების ინოვაციური მიდგომებია საჭირო წარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ოპერაციული რისკების შესამცირებლად და პერსონალისა და აღჭურვილობის დასაცავად რთულ ოპერაციულ გარემოში. ძირითადი ინოვაციები მოიცავს ხელოვნური ინტელექტისა და მაღალი სიზუსტის სენსორების გამოყენებით ციფრული სისტემების დანერგვას, ასევე ინფრასტრუქტურის მთლიანობის მონიტორინგისთვის ბოჭკოვანი ოპტიკური სისტემების შემუშავებას. ეს ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის პროცესების ოპტიმიზაციას, ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებას და ავარიების თავიდან აცილებას, რითაც უზრუნველყოფილია ინდუსტრიის მდგრადი განვითარება.

ნავთობისა და გაზის ინდუსტრია სშირად რთულ და სახიფათო გარემოში მუშაობს, როგორცაა ოფშორული პლატფორმები ან ღრმა ჭაბურღილები, რაც მოითხოვს უსაფრთხოების მონიწივე გადაწყვეტილებების დანერგვას. ტექნოლოგიების განვითარება იწვევს წარმოების პროცესების გართულებას, რაც თანამედროვე უსაფრთხოების სისტემების გამოყენებას სავალდებულოს ხდის. ინოვაციები ხელს უწყობს ავარიების, გაჟონვის და სხვა ინციდენტების ალბათობის მინიმუმამდე დაყვანას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს, პერსონალსა და აღჭურვილობას. ციფრულ ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ახალი მონიტორინგისა და კონტროლის მეთოდები ოპტიმიზაციას უკეთებს სამუშაო პროცესებს და ამცირებს ხარჯებს. ინოვაციური გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს სახიფათო პირობებში მუშაკთა უსაფრთხოების გაზრდას.

ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში სამრეწველო და შრომის უსაფრთხოება ურთიერთდაკავშირებულია და მიზნად ისახავს რისკების მინიმიზაციას, მაგრამ განსხვავებული აქცენტები აქვთ: სამრეწველო უსაფრთხოება იცავს სახიფათო წარმოების ობიექტებს უბედური შემთხვევებისა და განადგურებისგან, ხოლო შრომის დაცვა ფოკუსირებულია მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე დაზიანებებისა და პროფესიული დაავადებებისგან.

სამრეწველო უსაფრთხოების ობიექტია სახიფათო სამრეწველო ობიექტები და მათი კონსტრუქციები, ხოლო მიზანია ავარიებისა და ნგრევის თავიდან აცილება, ნეგატიური შედეგების მინიმალიზაცია.

ძირითადი ასპექტები:

- საშიში საწარმოო ობიექტების პროექტირება,

მშენებლობა, ექსპლუატაცია, შეკეთება და ლიკვიდაცია;

- აღჭურვილობის, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფა;

- ავარიების შედეგების ლოკალიზაციისა და აღმოფხვრის სამოქმედო გეგმების შემუშავება;

- სამუშაო გარემოში საშიში ნივთიერებების (მაგ., გოგირდწყალბადის) კონტროლი და აღმოფხვრა;

შრომის უსაფრთხოების მიზნები:

- თანამშრომლების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შრომის უნარიანობა.

- უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა, საწარმოო დაზიანებებისა და პროფესიული დაავადებების პრევენცია.

ძირითადი ასპექტები:

- თანამშრომლების უზრუნველყოფა საჭირო პირადი დამცავი აღჭურვილობით;

- სამუშაო ადგილზე უსაფრთხო პირობების შექმნა;

- საგანგებო სიტუაციებში ევაკუაციის წესების შემუშავება და დაცვა;

- თანამშრომელთა გადამზადების საგანგებო რეაგირების წესი.

სამრეწველო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში წარმატება პირდაპირ გავლენას ახდენს შრომის უსაფრთხოებაზე და პირიქით, რადგან ობიექტზე მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლების დაზიანებები, ხოლო შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევები;

ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც სახიფათო, ავარიული, ასევე დადებითი ფაქტორების ანალიზს, რადგან ეს ხელს უწყობს არა მხოლოდ პოტენციური საფრთხეების, არამედ უკვე განხორციელებული დადებითი ცვლილებების იდენტიფიცირებას, რომლებიც აუმჯობესებს საერთო უსაფრთხოებას. ეს მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორცაა საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი ალბათობისა და შედეგების შეფასება (სცენარის ანალიზის გამოყენებით), ინციდენტების მონაცემებისა და წარმატებული ზომების ანალიზი, ასევე ექსპერტების შეფასებები, რომლებიც ერთად საშუალებას იძლევა შემუშავდეს ყოვლისმომცველი ზომები რისკების კონტროლისა და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.

თანამედროვე პრაქტიკაში უსაფრთხოების რისკების შეფასება სულ უფრო მეტად ეყრდნობა რაოდენობრივ ანალიზს (QRA – Quantitative Risk Assessment), რომელიც შესაძლებლობას იძლევა, განსაზღვრული იყოს ავარიის დადგომის ალბათობა და მისი პოტენციური ზეგავლენა ადამიანებზე, მატერიალურ ღირებულებებსა და გარემოზე. ეს მეთოდოლოგია გამოიყენება როგორც ინჟინერიულ მოდელირებაში, ისე საკანონმდებლო რეგულირებისა და მენეჯმენტის დონეზე.

თუმცა, რაოდენობრივი ანალიზის სანდოობა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთი და იმავე ობიექტის რისკის მაჩვენებლები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა მკვლევართა ან სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიზისას. ამის თვალსაჩინო მაგალითია **ASSURANCE** პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა, სადაც ამიაკის საცავის ავარიის სიხშირის შეფასებისას მიღებული შედეგები ინტერვალებში განანილდა ისეთად, რაც საგრძნობლად სცდება რისკის სტანდარტულ ზღვრებს.

აღნიშნული ფაქტორი, რომელიც ძირითადად გამოწვეულია **გაურკვევლობის სხვადასხვა წყაროებით**, როგორც საწყის მონაცემებში, ისე მოდელების შერჩევასა და ადამიანის ფაქტორში, საფუძვლად გვევლინება მოცემული კვლევის ჩატარებისთვის. რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგია ვერ იქნება ეფექტიანი ინსტრუმენტი, თუ მისი გამოყენება ეფუძნება დაუზუსტებელ ან არათანმიმდევრულ მიდგომებს.

ამ სტატიაში განიხილება რაოდენობრივი რისკის შეფასებისას არსებული გაურკვევლობის ძირითადი წყაროები, მათ შორის საწყისი მონაცემების, გამოყენებული მოდელების და ადამიანური ფაქტორის გავლენა საბოლოო შედეგებზე. კვლევის მიზანია გაანალიზოს არსებული მეთოდოლოგიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეაფასოს გაურკვევლობის როლი და გააკეთოს რეკომენდაციები ამ სფეროს გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი ტერმინები

რისკის რაოდენობრივი შეფასება (Quantitative Risk Assessment – QRA) წარმოადგენს სისტემურ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ტექნიკური სისტემების, პროცესებისა და ობიექტების ავარიის ან არასასურველი მოვლენის დადგომის ალბათობა და მათი შესაძლო შედეგების

მასშტაბი.

QRA ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ ეტაპებს (კითხვებს): **საფრთხის იდენტიფიკაცია** – რა ტიპის ავარიები ან მოვლენები შეიძლება განვითარდეს ობიექტზე? **სიხშირის ანალიზი** – რა ალბათობა აქვს თითოეული მოვლენის დადგომას? **გაფანტვის და შედეგების მოდელირება** – როგორ გავრცელდება ავარიის შედეგები (მაგ. ტოქსიკური ღრუბელი, აფეთქება)? **დაზიანების შეფასება** – რა ზეგავლენა ექნება ამ შედეგებს ადამიანებზე, გარემოზე და ინფრასტრუქტურაზე? **საბოლოო რისკის შეფასება** – შედეგებისა და მათი სიხშირეების კომბინაცია, ხშირად წარმოდგენილი როგორც რისკის კრიტერიუმების შედარება (მაგ. სიკვდილიანობის მაჩვენებელი წელიწადში).

QRA ფართოდ გამოიყენება ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა: ნავთობ-გაზის მრეწველობა; ქიმიური წარმოება; სამრეწველო დიზაინი და საინჟინრო უსაფრთხოება; საწარმო და კანონმდებლობით რეგულირებული უსაფრთხოების შეფასებები; საპროექტო გადაწყვეტილებების განსამართლებლად; ავარიული გეგმების და საინვესტიციო რისკების განსაზღვრა.

QRA საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, გაანალიზონ სხვადასხვა სცენარის ზემოქმედება და შეაფასონ უსაფრთხოების ღონისძიებების ეფექტიანობა.

შეიძლება მოვიყვანოთ (განვიხილოთ) **ASSURANCE** პროექტის მაგალითი. ერთ-ერთი ცნობილი პროექტი, რომელმაც ფართო გამოხმაურება გამოიწვია რისკების შეფასების სანდოობის კუთხით, იყო **ASSURANCE (Assessment of Uncertainties in Risk Analysis of Chemical Establishments)** – განხორციელებული 2002 წელს. (Lauridsen, et al, 2002). პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სპეციალისტთა ჯგუფებმა შეაფასეს ამიაკის საცავის ავარიის შესაძლო სცენარები და მათი სიხშირეები. შედეგები აჩვენებდა სერიოზულ განსხვავებებს შეფასებებში: მიწოდების მილსადენის გახეთქვის სიხშირე: $2 \cdot 10^{-8} \dots 4 \cdot 10^{-4}$ წელიწადში; საცავი ცისტერნების სრული ავარიის სიხშირე: $1.5 \cdot 10^{-9} \dots 2.3 \cdot 10^{-7}$ წელიწადში; ტრაგიკული შედეგების სიხშირე: $2 \cdot 10^{-5} \dots 10^{-3}$ და მეტი წელიწადში. ასეთი გაფანტვა მიანიშნებს, რომ რისკის შეფასება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს გამოყენებული მეთოდოლოგიის, მონაცემებისა და სპეციალისტთა ინტერპრეტაციის მიხედვით.

აუცილებელია განვიხილოთ კრიტიკა და მე-



თოდოლოგიური სირთულეები. რამდენიმე მკვლევარი და პრაქტიკოსი მიუთითებს QRA-ს სუსტი მხარეებისკენ, მათ შორის: არაერთგვაროვანი სანყისი მონაცემები; მოდელის მრავალსახეობა და არაკოორდინირებული გამოყენება; სუბიექტურობა ექსპერტულ შეფასებებში; გაურკვევლობის მაღალი დონე, რომელიც შეიძლება სისტემურად არ აისახოს საბოლოო შედეგებში. QRA-ს სანდოობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოდელის არჩეულ კომპლექსსა და მათ შესაბამისობაზე რეალურ პროცესებთან. მიუხედავად ამისა, ბევრი რეგულაცია მაინც სწორედ QRA-ზეა დაყრდნობილი, რაც აქცენტს აკეთებს მის პრაქტიკულ აუცილებლობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია კონსერვატორული მიდგომის აუცილებლობა უსაფრთხოების სფეროში. სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში დამკვიდრებულია დაუნერელი პრინციპი: ნებისმიერი გაურკვევლობის პირობებში უნდა შეირჩეს ყველაზე კონსერვატორული ვარიანტი, რაც ითვალისწინებს მოსალოდნელ საფრთხის გაზვიადებულ შეფასებას, ვიდრე მის გამარტივებას. ეს მიდგომა მიზნად ისახავს უსაფრთხოების მაქსიმალურ დაცვას მაშინაც კი, როცა მონაცემები არასრულია ან გაურკვეველია. აღნიშნული პრინციპი ხშირად იგნორირებულია რეალურ პრაქტიკაში, რაც აჩენს სერიოზულ სისტემურ რისკებს. (Lisanov, et al, 2018).

გაურკვევლობის წყაროების კლასიფიკაცია

რისკების რაოდენობრივი შეფასების (QRA) პრაქტიკაში გამოყენებისას ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია გაურკვევლობასთან, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს შეფასების სიზუსტეს და მოდელის სანდოობას. გაურკვევლობა იჩენს თავს როგორც **სანყის მონაცემებში**, ისე **გამოთვლით მოდელებში**, **ინტერპრეტაციის პროცესში** და **ადამიანურ ფაქტორში**. (Kolesnikov, 2013)).

ქვემოთ წარმოდგენილია გაურკვევლობის ძირითადი წყაროების კლასიფიკაცია:

1. სანყისი ინფორმაციის გაურკვევლობა. ეს ტიპი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და სისტემურ პრობლემას. **ძირითადი მაგალითები:** ავარიული გამონაბოლქვისა და აალების/აფეთქების სტატისტიკური მონაცემების სიმცირე ან მოძველებულობა; მეტეოროლოგიური პირობების ცვალებადობა (ქარის სიჩქარე და მიმართულება, ტემპერატურა, ტენიანობა და

სხვ.); ობიექტის გეოგრაფიული თავისებურებები — რელიეფი, შენობების განლაგება, ადამიანთა თავმოყრის ლოკაციები; საცავის ტექნიკური მდგომარეობის რეალური მონაცემების მიუწვდომლობა; ექსპლუატაციის პირობების დამახასიათებელი მახასიათებლები (შინაგანი წნევა, ტემპერატურა და სხვ.). **შედეგი:** სხვადასხვა ანალიტიკოსების მიერ განსხვავებული სანყისი მონაცემების გამოყენება იწვევს რისკის მაჩვენებლების გაფანტვას, როგორც ეს ASSURANCE პროექტში გამოვლინდა. (Lauridsen, et al, 2002).

2. მოდელის გაურკვევლობა. მოდელის გაურკვევლობა ნიშნავს იმას, რომ: გამოყენებული ფიზიკურ-ქიმიური მოდელები არ ასახავენ საკმარისად რეალურ პროცესებს; არსებობს მრავალი ალტერნატიული მოდელი, რომელთა შერჩევა სუბიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული; ხშირია მეტისმეტად გამარტივებული დაშვებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ რთული პროცესების დინამიკას. **მაგალითები:** დისპერსიის პროცესის არაკორექტული ან ზედაპირული აღწერა; აალებისა და აფეთქების კრიტერიუმების შეუსაბამო შეფასება; თერმოდინამიკური წონასწორობის არასწორი მოდელირება; ორთქლის/ღრუბლის სიმკვრივის ცვლილებების უგულებელყოფა კონდენსაციის ან აორთქლებისას; კონსერვატორული დაშვებების არასისტემური გამოყენება. **შედეგი:** მოდელის შერჩევაზე დამოკიდებული ხდება რისკის შედეგების ინტერპრეტაცია, რაც ამცირებს შეფასების ობიექტურობას. (Lisanov, et al, 2018)).

3. შემსრულებლების მიერ დაშვებული შეცდომები და ინტერპრეტაციის გაურკვევლობა. **ადამიანური ფაქტორი** ასევე წარმოადგენს გაურკვევლობის მნიშვნელოვან წყაროს, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფის არაკორექტული გამოყენება; არასწორი ან ნაადრევი დაშვებების მიღება; ექსპერტების კომპეტენციის დონეს შორის განსხვავება; იმპლიციტური (დაუფიქსირებელი) გადაწყვეტილებების მიღება ან ინტერპრეტაციის სუბიექტურობა; სხვადასხვა ექსპერტის მიერ მიღებული შეფასებების თანმიმდევრულობის არქონა. **შედეგი:** ერთსა და იმავე მოდელზე დაყრდნობით მიღებული შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შემსრულებლის პროფესიონალიზმისა და ინტერპრეტაციის სტილის მიხედვით.

4. მეთოდოლოგიური მხარდაჭერის არაეფექტიანობა. ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა კრიტიკული შეფასებები იმასთან დაკავშირებით,

რომ რისკის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები ხშირად არ უზრუნველყოფენ სათანადო მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს ან სტანდარტებს. ეს გამოიხატება შემდეგში: არ არსებობს საკმარისი ერთიანი სტანდარტიზაცია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდებზე; არ არის დადგენილი, როგორ უნდა განხორციელდეს გაურკვევლობის რაოდენობრივი შეფასება თვით რისკის მაჩვენებლებში; მოქმედი რეკომენდაციები არ ითვალისწინებს სხვადასხვა მოდელის შერჩევის გავლენას შედეგებზე. **შედეგი:** პრაქტიკულად ერთსა და იმავე ობიექტზე ჩატარებული შეფასებები შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ მიცემულ იქნას რადიკალურად განსხვავებული დასკვნებით.

5. სისტემური გაურკვევლობა და გადანეწევა ტილების მიღების რისკი. როდესაც ყველა ზემოაღნიშნული გაურკვევლობა ერთდროულად მოქმედებს, წარმოიქმნება **სისტემური გაურკვევლობა**, რომლის პირობებშიც: რთულდება რისკის ზღვრული კრიტერიუმების განსაზღვრა; იზრდება არასარფიანი ან უსაფუძვლოდ კონსერვატიული გადანეწევა ტილების რისკი; დგება ეთიკური და მენეჯერული კითხვები: როგორი უნდა იყოს გადანეწევა ტილების საფუძველი გაურკვევლობის პირობებში?

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ გაურკვევლობა რისკის რაოდენობრივი შეფასების პროცესში არა მხოლოდ ტექნიკური საკითხია, არამედ სტრატეგიული გამოწვევაც. იგი ზღუდავს შეფასების სანდოობას, ართულებს გადანეწევა ტილების მიღებას და საფრთხეს უქმნის უსაფრთხოების მართვის მიზნობრივობას. ამიტომ აუცილებელია გაურკვევლობის წყაროების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია და მათი სისტემური გათვალისწინება როგორც მოდელირებაში, ასევე რეგულირებაში და სტრატეგიულ დაგეგმვაში.

თერმოდინამიკისა და კინეტიკის როლი გაურკვევლობის შემცირებაში. არსებულ პრაქტიკაში რისკის რაოდენობრივი შეფასებისას (QRA) გამოყენებული ბევრ მოდელს აკლია ღრმა ფიზიკური დასაბუთება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოდელური გაურკვევლობის დონეს. ხშირად აღინიშნება, რომ **ავარიული პროცესების მოდელირება არ ეფუძნება თერმოდინამიკისა და ქიმიური კინეტიკის პრინციპებს**, რაც იწვევს არასრული ან დამახინჯებული სურათის მიღებას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: ტოქსიკური ღრუბლების გავრცელება; აალების და აფეთქების პროცესები; ნივთიერებების ფაზური გარდაქმნები

(აორთქლება/კონდენსაცია); წვის პროცესის მექანიზმები. ამგვარად, რეალური სისტემების უფრო ზუსტი მოდელირების ერთ-ერთი გზა არის **ფიზიკური მეცნიერებების (თერმოდინამიკა, კინეტიკა) ინტეგრირება QRA-ს მოდელებში**.

თერმოდინამიკა – წონასწორობის მდგომარეობის პროგნოზი. თერმოდინამიკა გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ, რომელი წონასწორობის მდგომარეობები შეიძლება მიიღოს სისტემამ მოცემული საწყისი პირობების პირობებში — მაგალითად: წნევა; ტემპერატურა; სიმკვრივე; ფაზური მდგომარეობა (ორთქლი, სითხე, წვეთები); ენერგიის განაწილება სისტემაში. მოვიყვანოთ **პრაქტიკული მაგალითი:**

ტოქსიკური ღრუბლის აფეთქებისას (მაგ. ამიაკი, ბენზინი, მეთანოლი) მის მდგომარეობაზე კრიტიკულ გავლენას ახდენს კონდენსაციის/აორთქლების ეფექტი. სწორედ კონდენსაციის პროცესში ხდება ღრუბლის სიმკვრივის მატება, რაც მის გაფანტვასთან და გავრცელების არეალთან უშუალო კავშირშია. თუ არ გავითვალისწინებთ თერმოდინამიკურ წონასწორობას და ცვლილებებს ფაზურ მდგომარეობაში, მივიღებთ ან არასრულად გაფანტულ ღრუბელს, ან რეალობაზე შეუთავსებელ აფეთქების ეფექტებს.

ქიმიური კინეტიკა – რეაქციის სიჩქარისა და შუალედური სტადიების ანალიზი. თერმოდინამიკა პასუხობს კითხვაზე: **"რა მდგომარეობაში აღმოჩნდება სისტემა საბოლოოდ?"** ხოლო კინეტიკა პასუხობს კითხვაზე: **"როგორ და რა სიჩქარით მივა სისტემა ამ მდგომარეობამდე?"**

რაოდენობრივი რისკის შეფასებისას ეს ნიშნავს: აფეთქების შემთხვევაში არ არის საკმარისი მხოლოდ ფინალური წნევისა და ტემპერატურის ცოდნა — აუცილებელია ვიცოდეთ, **რა დროში და როგორ მიმდინარეობს წვის რეაქცია**, რადგან სწორედ ამან შეიძლება განაპირობოს ზემოქმედების არეალის სიდიდე და შედეგების სიმძიმე; მაგალითად, სწრაფი წვის რეაქციები ქმნიან უფრო ძლიერ დარტყმით ტალღებს, ხოლო ნელი წვის შემთხვევაში აფეთქების ეფექტი გაცილებით მცირეა; ავარიულ სიტუაციებში კინეტიკური ფაქტორები განსაზღვრავენ, მოხდება თუ არა თვითაალება, რა დრო იქნება ხელმისაწვდომი ევაკუაციისთვის და რამდენად სწრაფად უნდა იმოქმედოს უსაფრთხოების სისტემამ.

არსებულ პრაქტიკაში ფიზიკური მოდელის უგულვებელყოფის პრობლემები. სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკა QRA-ს სფეროში ხშირად იყენებს



გამარტივებულ დაშვებებს, როგორცაა: ტემპერატურის უცვლელობა აორთქლებისას; ღრუბლის განოლილი დისპერსიის არასწორი მექანიზმები; ონდენსაციის ეფექტის იგნორირება; წვის სითბოს ზედაპირული გათვალისწინება, სინამდვილეში კი შინაგანი ენერგიის განაწილების იგნორირება. ამის გამო: გაურკვევლობა მხოლოდ სტატისტიკურ გამოთვლებში კი არ რჩება — არამედ ღრმად იძირება მოდელურ დონეზე; ზოგიერთი ავარიის სიხშირის ან შედეგების შეფასება შეიძლება იყოს დრამატულად გადაჭარბებული ან პირიქით — გადმოფარებული; მიღებული მონაცემები შესაძლოა მხოლოდ ფურცელზე იყოს „სარწმუნო“, რეალურ პირობებთან კი არ იყოს თავსებადი.

ფიზიკურად საფუძვლიანი მოდელების პოტენციალი გაურკვევლობის შემცირებაში. თერმოდინამიკისა და კინეტიკის ინტეგრაცია QRA-ში იძლევა შემდეგ უპირატესობებს: უფრო რეალისტური პროგნოზები ავარიული პროცესების მიმდინარეობის შესახებ; შესაძლებლობა, ჩატარდეს სიმკვრივის, წნევის, ტემპერატურის, სითბოს განაწილების მაღალი სიზუსტის გამოთვლები; გაურკვევლობის შემცირება მოდელური მახასიათებლების დონეზე (არა მხოლოდ სტატისტიკურ დონეზე); სტანდარტიზაციის ახალი საფუძველი — **რეკომენდაციების დაფუძნება ფიზიკურ კანონზომიერებებზე.**

ბარიერები და პერსპექტივები. ბარიერები: ფიზიკურად საფუძვლიანი მოდელების კომპლექსურობა და მათემატიკური სიმძიმე; არსებული ექსპერტებისა და ინჟინრების არასაკმარისი მომზადება ამ მიმართულებით; რეგულატორული ჩარჩოს არამზადობა — ბევრ ეროვნულ თუ საერთაშორისო დოკუმენტში ჯერ კიდევ დომინირებს სტატისტიკურ-მოდელური მიდგომა. **პერსპექტივები:** ინტერდისციპლინური მოდელების შემუშავება (ინჟინერია + ფიზიკა); ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ფიზიკურ საფუძველზე მუშაობს (მაგ. CFD-სიმულაციები, რეაქტიური კინეტიკის მოდელები); განათლების სისტემაში QRA-ს ფიზიკური ასპექტების ინტეგრაცია.

დასკვნა

ანალიზის საფუძველზე მიღებულია ძირითადი შედეგები:

1. გაურკვევლობის სამი ძირითადი წყარო გამოვლინდა: საწყისი ინფორმაციის გაფანტულობა ან არარსებობა; მოდელების არასრულყოფილება ან შეუსაბამობა რეალურ პროცესებთან; ადამიანური ფაქტორი — არაკორექტული გამოყენება, არათა-

ნაბარი კომპეტენცია, პროგრამული შეცდომები;

2. ანალიზმა აჩვენა, რომ რისკის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაფანტვა (მაგალითად, ავარიების სიხშირის ინტერვალები) ხშირად გამოწვეულია სხვადასხვა საწყისი მონაცემების გამოყენებით და არა მხოლოდ მოდელების არათანმიმდევრულობით;

